არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Институт языкознания Арнольда Чикобава

ქეთევან ლომთათიძე
Кетеван Ломтатидзе

აბაზური ენა
(მოკლე მიმოხილვა)

Абазинский язык
(Краткое обозрение)

თბილისი
Тбилиси
2006

რედაქტორები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **თეიმურაზ გვანცელაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი **რუსუდან ჯანაშია**

რუსული ვერსიის რედაქტორი —
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი **მაია აბალაკი**

Редакторы:

доктор филологических наук, профессор
Теймураз Гванцеладзе
кандидат филологических наук, доцент
Русудан Джанашиа

Редактор русской версии —
кандидат филологических наук
Майа Абалаки

© ქ. ლომთათიძე, 2006

გამომცემლობა „უნივერსალი", 2006

თბილისი, 0128, ი. ვაჩნაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-61-38-0

წინასიტყვაობა

ამ ოციოდე წლის წინ კლივლენდის უნივერსიტეტის თაოსნობით (კერძოდ ბ-ნ ჯონ გრეპინის ხელმძღვანელობით და მთავარი რედაქტორობით) წამოწყებულ იქნა კეთილი საქმე — გამოცემულიყო ინგლისურ ენაზე კავკასიის მკვიდრ ხალხთა ენების მიმოხილვა ცალკეული ჯგუფების მიხედვით. დაგეგმილ იქნა 3 ტომი. პირველი უნდა მისძღვნოდა სამხრულ ჯგუფს, ე.ი. ქართველურ ენებს (რედაქტორი ალისა ჰარისი. ტომი უკვე გამოქვეყნდა); მეორე ტომი ჩრდილო-დასავლურს, ე.ი. აფხაზურ-ადიღურს (რედაქტორი ჯორჯ ჰიუიტი. ტომი უკვე გამოქვეყნდა) და მესამე აღმოსავლურს, ე.ი. ნახურსა და დაღესტნურს (რედაქტორები მიხ. ჯობი და რიჭს სმიტი).

ავტორებად უმთავრესად თვით ევროპელი და ამერიკელი მეცნიერები ივარაუდებოდნენ და არიან კიდეც.

ამ კოლექტიურ სამუშაოში მიწვეული ვიქენით თბილისელი ენათმეცნიერებიც, კერძოდ, ცალკეულ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მიმოხილვების ავტორებად.

ტიპობრივი გეგმა შედგენილ იქმნა თვით რედაქციის მიერ და დაეგზავნა ავტორებს. გეგმა გულისხმობდა აუცილებელ ცნობებს ამ ხალხთა შესახებ და მათ ენათა მოკლე მიმოხილვებს (არსებულ გამოკვლევათა საფუძველზე).

მე დამევალა აბაზური ენის მიმოხილვა, რომელიც მეორე ტომში შედიოდა. ამ ტომშივეა მიმოხილვები აფხაზური ენისა ბ-ნ ჯ. ჰიუიტისა, აბძახურის (ადიღეურის) შესახებ ქ-ნ კატრინ პარისა, უაბარდოულის შესახებ ბ-ნ ჯონ კოლარუსოსი და უბიხურის შესახებ ბ-ნ გიორგი შარაშიძისა.

აბაზურის ენის მონაკვეთიდან მე დავწერე აბაზური ენის ფონოლოგია და მორფოლოგია, ხოლო რედაქციასთან ჩემი შეთანხმებით სინტაქსის მიმოხილვა შევთავაზე აბაზა მეცნიერს რაუფ კლიჩევს. ეს მის მიერ შესრულებული მიმოხილვა, რომლის სათაურია „Некоторые вопросы синтаксиса абазинского языка“, გამოქვეყნდა პარალელურად ჟურნ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულში“ (ტ. XIV, 1987).

აბაზური მიმოხილვის (ჩემი ქართული და რ. კლიჩევის რუსული ტექსტი) ინგლისურად თარგმნა და რედაქცია იკისრა ბ-ნმა ჯ.ჰიუიტმა. ამ მხრივ მას დიდი მუშაობა აქვს გაწეული (ტექსტის თარგმნა, მიმოხილვათა საერთო სისტემის მიხედვით გაწყობა) და ამდენადვე მადლობის მეტი რა გვეთქმის, ოღონდ რედაქტირებისას

ზოგი ნაწილი შეკვეცილია. რედაქტირებისას ტექსტის შეკვეცა, ალბათ, მოულოდნელი არც უნდა იყოს, მაგრამ შეკვეცა ზოგჯერ ისე არის ხოლმე ჩატარებული, რომ აზრთა მსვლელობა და ავტორის არგუმენტაცია ზარალდება. თანაც ზოგჯერ რედაქტორის კომენტარებია დართული, ისე რომ საკითხის ისტორია არაა გათვალისწინებული.

ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ ჩვენი ტექსტი გამოცემულიყო იმ სახით, რა სახითაც იგი იყო ჩვენ მიერ შესრულებული და რედაქციისთვის წარდგენილი.

*
* *

აბაზები აფხაზების ახლო მონათესავე ხალხია და ცხოვრობენ ჩრდილოეთ კავკასიაში ჩერქეზთა და ყარაჩაელთა გვერდით ყარაჩაი-ჩერქეზეთში (ცენტრი ქ.ჩერკესკი). მათი სოფლები (14) მდინარეების უუბანის, იენჯუგის (ზელენჩუკის) და ფსიჟის სანაპიროებზეა განლაგებული.

აბაზურ ენაში გამოიყოფა ორი დიალექტი: აშხარული დიალექტი (რომელზედაც შედარებით მცირერიცხოვანი მეტყველია) და ტაპანთური. ტაპანთური დიალექტი, როგორც უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის დიალექტი, უდევს საფუძვლად სამწერლობო ენას. ჩვენს მიმოხილვაში საყრდენად აღებულია სამწერლობო აბაზური ენა.

სახელწოდება **აბაზა** მეზობელ ხალხთა სიტყვახმარებაში ისტორიულად აფხაზსაც მიემართებოდა და, როგორც კარგადაა ცნობილი, ქართველებსაც (შდრ. რუსული ისტორიული წყაროების „ობეზები“).

ბოლო აღწერის მიხედვით აბაზების რიცხვი ოცდაათი ათასის ფარგლებშია.

აბაზურ სამწერლობო ტრადიციას საფუძველი ეყრება 1932-1933 წლებიდან ჯერ ლათინურისა და შემდეგ რუსულ გრაფიკაზე დაყრდნობით. აბაზებს ჰყავთ საკუთარი ინტელიგენცია, ვითარდება აბაზური მწერლობა. გამოცემულია ხალხური შემოქმედების ნიმუშები, აბაზური **ნართების** ეპოსი, სასკოლო სახელმძღვანელოები და სხვ.

ფონოლოგია

1.1. ფონემური სისტემა

აბაზურ სამწერლობო ენაში არის 58 ძირითადი, საკუთარი ლექსიკური ფონდისათვის დამახასიათებელი, თანხმოვანი და ორი ძირითადი ხმოვანი. კილოკავებში შემორჩენილია თანხმოვანთა, კერძოდ, ლაბიალიზებულ თანხმოვანთა, ალოფონური რიგები, გარკვეულ შემთხვევებში ფონოლოგიურადაც განაწილებული. ამ ქვესისტემათა მიხედვით აბაზურის ძირითად თანხმოვან ფონემათა რიცხვი 63-ს აღწევს.

გარდა ამისა, ნასესხებ ლექსიკურ ფონდს სხვა ენათაგან შემოჰყოლია 8 თანხმოვანი, რომელთაგან სამწერლო ენაში დღეს აისახება მხოლოდ სამი.

მარტივ, ორწევრიან ხმოვანთა სისტემას თან ერთვის პოზიციური ცვლილებების საფუძველზე წარმოქმნილი ოთხი ხმოვანი, მეტწილად დიფთონგური ბუნებისა.

თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი :

ხშულები, აფრიკატები:
ლაბიო-ლაბიალური მჟღერი ხშული **ბ**
ლაბიო-ლაბიალური ფშვინვიერი ხშული **ფ**
ლაბიო-ლაბიალური მკვეთრი ხშული **პ**
აპიკო-დენტალური მჟღერი ხშული **დ**

აპიკო-დენტალური ფშვინვიერი ხშული **თ**
აპიკო-დენტალური მკვეთრი ხშული **ტ**

ლამინო-ალვეოლარული მჟღერი აფრიკატი **ძ**
ლამინო-ალვეოლარული ფშვინვიერი აფრიკატი **ც**
ლამინო-ალვეოლარული მკვეთრი აფრიკატი **წ**

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული მჟღერი აფრიკატი **ჯ**
ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ფშვინვიერი აფრიკატი **ჩ**
ლამინო-პოსტ-ალვეოლარული მკვეთრი აფრიკატი **ჭ**

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ლაბიალიზებული მჟღერი აფრიკატი **ჯ°**

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ლაბიალიზებული ფშვინვიერი აფრიკატი ჩ°
ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ლაბიალიზებული მკვეთრი აფრიკატი ჭ°

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ლაბიალიზებული აფრიკატები სასაუბრო ენაში განსხვავებული ლაბიალიზაციით გვხვდება სხვადასხვა მთქმელთა მეტყველებაში (კილოკავთა მიხედვით). ზოგი მთქმელი გამოთქვამს შიშინა აფრიკატებს, რომელთა ლაბიალიზაცია ბაგეთა მომრგვალების მიხედვით თითქმის თანაბარია და ქმნის ⟨ჳ⟩ (w) სონანტის შთაბეჭდილებას. ზოგი მთქმელი კი იმავე შემთხვევაში გამოთქვამს სისინა აფრიკატების მსგავს ბგერებს, რომელთა ლაბიალიზაცია განსხვავებულია: ზემო კბილები თითქმის ეხება ქვემო ბაგის შიგნითა ნაწილს, ხოლო ლაბიალიზაცია ქმნის ⟨ვ⟩ (v) ლაბიო-დენტალური სპირანტის შთაბეჭდილებას. ლაბიალიზაციის ხარისხი მთქმელთა მიხედვით სხვადასხვაგვარია, ზოგჯერ სრულ დელაბიალიზაციამდე დასულიც.

სალიტერატურო ენას ორიენტაცია აღებული აქვს სიბილანტთა შიშინა ლაბიალიზებულ სახეობებზე.

აპიკო-პალატალური მჟღერი აფრიკატი (მაგარი) ჯ'
აპიკო-პალატალური ფშვინვიერი აფრიკატი (მაგარი) ჩ'
აპიკო-პალატალური მკვეთრი აფრიკატი (მაგარი) ჭ'

დორსალურ-ველარული მჟღერი ხშული გ
დორსალურ-ველარული ფშვინვიერი ხშული ქ
დორსალურ-ველარული მკვეთრი ხშული კ

დორსალურ-ველარული მჟღერი ხშული წინ წამოწეული (რბილი) გ̗
დორსალურ-ველარული ფშვინვიერი ხშული წინ წამოწეული (რბილი) ქ̗
დორსალურ-ველარული მკვეთრი ხშული წინ წამოწეული (რბილი) კ̗

დორსალურ-ველარული მჟღერი ლაბიალიზებული ხშული გ°
დორსალურ-ველარული ფშვინვიერი ლაბიალიზებული ხშული ქ°
დორსალურ-ველარული მკვეთრი ლაბიალიზებული ხშული კ°

ლაბიალიზაცია არის ლაბიო-ლაბიალური, რომელშიაც თანაბრად ხდება ზემო და ქვემო ბაგის მომრგვალება და წინ წამოწევა. ლაბიალიზაცია ქმნის **უ** სონანტის მარტივ თანხმოვანთან შეერთების შთაბეჭდილებას.

დორსალურ-უვულარული (ფარინგალური) ფშვინვიერი ხშული **ჰ**
დორსალურ-უვულარული (ფარინგალური) მკვეთრი ხშული **უ**
ამ (ფარინგალური) წყვილიდან პალატალიზებული სახეობა აქვს მხოლოდ მკვეთრს: **უ̑**

დორსალურ-უვულარული (ფარინგალური) ფშვინვიერი ხშული ლაბიალიზებული **ჰ°**
დორსალურ-უვულარული (ფარინგალური) მკვეთრი ხშული ლაბიალიზებული **უ°**
ლაბიალიზაცია აქაც იმ ტიპისაა, როგორისაც დორსალურ-ველარულ რიგში.

ფ რ ი კ ა ტ ი ვ ე ბ ი:
ლაბიო-დენტალური მჟღერი (სპირანტი) ფრიკატივი **ვ**
ლაბიო-დენტალური ფშვინვიერი (სპირანტი) ფრიკატივი **ფ**.
იგი გამოითქმის ზემო კბილების ქვემო ბაგის შიგნითა ნაწილზე საკმაო ენერგიული ჰყლეტით.
ამ რიგის მჟღერი ფრიკატივი **ვ** და მკვეთრი **ფ** გვხვდება აბაზურ სალაპარაკო ენაში ნასესხებ სიტყვებში (ისინი საკუთარ ლექსიკურ ფონდში დამახასიათებელია აბაზურის აშხარული დიალექტისათვისაც, თუმცა მხოლოდ თითო-ოროლა ფუძეში), მათგან **ფ**, ძალზე იშვიათი გამოყენების გამო, ამოღებულ იქნა სალიტერატურო ენიდან და მის ადგილას იხმარება ლაბიო-ლაბიალური მკვეთრი ხშული **პ**. მაგ., **ფეჲ** გადმოიცემა, როგორც პეი „ჭუჭყი, ტალახი“.

ლამინო-ალვეოლარული მჟღერი ფრიკატივი **ზ**
ლამინო-ალვეოლარული ფშვინვიერი ფრიკატივი **ს**

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული მჟღერი ფრიკატივი **ჟ**
ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ფშვინვიერი ფრიკატივი **შ**

აპიკო-პალატალური მჟღერი ფრიკატივი (მაგარი) **ჟ̑**
აპიკო-პალატალური ფშვინვიერი ფრიკატივი (მაგარი) **შ̑**

ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ლაბიალიზებული მჟღერი ფრიკა-ტივი ჹ°
ლამინო-პოსტ-ალვეოლარული ლაბიალიზებული ფშვინვიერი ფრი-კატივი შ°

მათ ლაბიალიზაციის ისეთივე სახეობები ახასიათებს სასაუბრო ენაში, როგორიც დამახასიათებული იყო ზემოთ დასახელებულ შესაბამის ლაბიალიზებულ აფრიკატთა მიმოხილვისას.

დორსალურ-ველარული მჟღერი ფრიკატივი ღ
დორსალურ-ველარული ფშვინვიერი ფრიკატივი ხ

დორსალურ-ველარული მჟღერი ფრიკატივი წინ წამოწეული (პალატალიზებული) ღ´
დორსალურ-ველარული ფშვინვიერი ფრიკატივი წინ წამოწეული (პალატალიზებული) ხ´

დორსალურ-ველარული მჟღერი ლაბიალიზებული ფრიკატივი ღ°
დორსალურ-ველარული ფშვინვიერი ლაბიალიზებული ფრიკატივი ხ°
ლაბიალიზაცია აქაც ისეთივეა, როგორიც სათანადო ხშულებში.

რადიკო-ფარინგალური (ლარინგალური) მჟღერი ფრიკატივი ჰ
რადიკო-ფარინგალური (ლარინგალური) ფშვინვიერი ფრიკატივი ჰ

რადიკო-ფარინგალური (ლარინგალური) მჟღერი ლაბიალიზებული ფრიკატივი ჰ°
რადიკო-ფარინგალური (ლარინგალური) ფშვინვიერი ლაბიალ-იზებული ფრიკატივი ჰ°

რადიკო-ფარინგალური (ლარინგალური) მკვეთრი სპირანტოიდი ც. იგი არის წარმოქმნილი ჟ ხშულისაგან ინტერვოკალურ (ა–ა) პოზიციაში.

მისი ლაბიალიზებული სახეობა ადიღურ ენათაგან აბაზურში შეთვისებულ სიტყვებში გადმოიცემა ჳ (=ჳ) ნახევარ-ხმოვნის ც-ზე დართვით, მაგ.: ъытлхIа (цӀэгъ´Ӏэ) „ქრთამი“.

სონანტები
ლაბიო-ლაბიალური მჟღერი ნაზალური მ
აპიკო-ალვეოლარული მჟღერი ნაზალური ნ
აპიკო-ალვეოლარული მჟღერი ლატერალი აპროქსიმანტული ლ

ლაბიო-ლაბიალური მჟღერი დაუხშავი **ჶ**
დორსალურ-პალატალური მჟღერი დაუხშავი **ჲ**
აპიკო-ალვეოლარული მჟღერი მთრთოლი **რ**

აბაზურს, როგორც აღინიშნა, ნასესხებ მასალაში აქვს ადიღურ ენათაგან შეძენილი სპირანტები (ფრიკატივები): ლაბიო-დენტალური მჟღერი ფრიკატივი **ვ** (ეს სპირანტი, გარდა ყაბარდოული ენიდან შეთვისებული სიტყვებისა, გვხვდება აგრეთვე რუსული ენიდან შესულ სიტყვებში და დამკვიდრებულია სალიტერატურო ენაშიც).

ლაბიო-დენტალური მკვეთრი ფრიკატივი **ფ̣**.

აპიკო-ალვეოლარული მჟღერი ლატერალი (ერთი დარტყმისმიერი) **ლ´** აბაზურში გადმოსულია რბილი ლატერალური **ლ˝** მჟღერი სონანტის სახით.

აპიკო-ალვეოლარული ფშვინვიერი ლატერალი (ერთი დარტყმისმიერი) **ლ´** აბაზურში **თლ** (თუ: **თლ˝**)კომპლექსის სახით გამოითქმის.

აპიკო-ველარული მკვეთრი ლატერალი (ერთი დარტყმისმიერი) **ლ** აბაზურში **ტლ** კომპლექსის სახით გამოითქმის; წერაში აისახებოდა როგორც лӀ. ამჟამად სალიტერატურო ენაში, სათანადო ნასესხები სიტყვების სიმცირის გამო, მას აღარ ასახავენ და მის გამოსახატავად იყენებენ **კ˝**-ს (кӀь-ს) მაგ.: **ლ̣ჵ°აბა** გადმოცემულია ასე: **кӀьгӀваба** (**კ˝ჵ°აბა**) „ქვრივი".

გარდა ამისა, აბაზურში ნასესხებ სიტყვებს (ძირითადად ადიღურ ენათაგან) შეჰყოლია ადიღური დორსალურ-პალატალური სპირანტები: **ხ‘** და ლაბიალიზებული **ხ‘°**, ოღონდ წერაში ეს ფონემები ჩვეულებრივი დორსალურ—ველარული **ხ, ხ°** სპირანტებისაგან განსხვავებულად არ გადმოიცემიან (შდრ. **хакв** „მშობლიური მხარე", **хвытныг|а** „თავისუფლება"...). სამეტყველო ენაში დორსალურ-ველარული ლაბიალიზებული სპირანტი **ხ‘°** გამოითქმის ადიღურ ენათა შესაბამისი ფონემის მსგავსად, ხოლო მარტივი, არალაბიალიზებული დორსალურ-ველარული **ხ‘** ადიღური ენებისა აბაზურში უფრო წინაა წამოწეული და დარბილებულად გამოითქმის, როგორც **ხ‘˝**: **ხ‘˝აზზა, ხ‘˝აქ°** და მისთ. (ლომთ. 1944, 38-39).

აბაზური ენის ძირითად თანხმოვანთა ტაბულა

	ხშულები			აფრიკატები			ფრიკატივები			სონანტები	
	მკერი	ფშვინვიერი	მკვეთრი	მკერი	ფშვინვიერი	მკვეთრი	მკერი	ფშვინვიერი	მკვეთრი		ნაზალური
ლაბიო-ლაბიალური	ბ	ფ	პ							ჭ	მ
ლაბიო-დენტალური							[ვ]	ფ			ნ
აპიკო-დენტალური	დ	თ	ტ								
ლამინოალვეოლარული				ძ	ც	წ	ზ	ს			
აპიკო-ალვეოლარული მთრთოლი										რ	
აპიკო-ალვეოლარული ლატერალი										ლ	
ლამინო-პოსტ-ალვეოლარული				ჯ	ჩ	ჭ	ჟ	შ			
ლამინო-პოსტ-ალვეოლ ლაბიალ.				ჯ°	ჩ°	ჭ°	ჟ°	შ°			
აპიკო-პალატალური				ჯჲ	ჩჲ	ჭჲ	ჟჲ	შჲ			
დორსალურ-პალატალური										ჲ	
დორსალურ-ველარული	გ	ქ	კ				ღ	ხ			
დორსალურ-ველარული რბილი	გ̆	ქ̆	კ̆				ღ̆	ხ̆			
დორსალურ-ველარული ლაბიალიზ.	გ°	ქ°	კ°				ღ°	ხ°			
დორსალურ-უვულარული	ჴ		ყ								
დორსალურ-უვულარული რბილი			ყ̆								
დორსალურ-უვულარული ლაბიალიზ.	ჴ°		ყ°								
ლარინგალური							ჰ	ჰ	Ჰ		
ლარინგალური ლაბიალიზებ.							ჰ°	ჰ°			

აბაზურს ორი ძირითადი ვიწრო ხმოვანი აქვს: დახურული **ჷ** და ღია **ჲ**. ამჟამად მათს განაწილებაში მნიშვნელოვანი სხვაობაა: **ჲ** ყველა პოზიციაში გვხვდება; თავკიდურად — ჲბა „მამა"..., სიტყვის შუაში — დაგ° „ყრუ", ჩჲან „ჭაკი ცხენი...," ბოლოკიდურად — ბაგ' „მელა", ჰჲა „პირი"... **ჷ** ხმოვანი გვხვდება მხოლოდ სიტყვის შუაში და ბოლოში: თჷფ „ქოხი", ლჷმჰა „ყური", ჩჷ „ცხენი"... ლარინგალურ **ჱ ჵ** სპირანტებთან **ჷ** (აფხაზურის მსგავსად) ერთ მარცვალში მოხვედრილი არც აბაზურშია ჩვეულებრივი, თუმცა შეუძლებელი არაა. **ჷ** ხმოვანი ჩვეულებრივ მახვილიანია, უმახვილო **ჷ** გარკვეული ფაკულტატიურობის მქონეა. ამიტომაც შესაძლებელია ერთი და იმავე სიტყვის (მაგ. „ენის") ფუძის ასეთი სახეობები: **ბჷზჷ / ჲბჷზ / ჲბზ / ბზჷ / ბჷზ.**

მისი გამოვლინება-არგამოვლინება ამა თუ იმ ფუძეში ხშირად დამოკიდებული გამოდის თანხმოვანთა შეჯგუფებაზე. ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება ე.წ. ორი თანხმოვნის კანონის თაობაზე: „თუ თანხმოვნურ არტიკულაციებს დავთვლით კომპლექსის ბოლოდან, ან რომელიმე ხმოვნური არტიკულაციიდან, რომელსაც მთავარი ან მეორეხარისხოვანი მახვილი აქვს, მეორე და მესამე თანხმოვნურ არტიკულაციებს შორის გვექნება ხმოვნური გადასვლა..." (ალენი, 1956, 142; ლომთ. 1976, 41-43). ირაციონალური **ჷ** ხმოვანი ხშირ შემთხვევაში **ჲ** ხმოვნისაგან (უმთავრესად მახვილიანისაგან) ჩანს მომდინარე (მაგ., **ჲნჷ** <*ჲნა „დედა").

ზემოთ აღნიშნული მომენტები თითქოს **ჷ** ხმოვანს აყენებს თავისებურ პირობებში, რის გამოც გამოთქმულია მოსაზრება მისი არაფონემურობისა და, ამდენადვე, აბაზურის მონოვოკალურ ენად მიჩნევის თაობაზე.

ამ მოსაზრებას გარკვეული დაბრკოლებები ეღობება წინ. უმახვილო **ჷ** ხმოვნის ფაკულტატურობა შედეგია ამოსავალი სრულხმოვნიანი ფუძეების სხვადასხვა საფეხურის რედუქციისა მახვილის მოქმედების ნიადაგზე (აბაზურში იშვიათი არაა ისეთი მინიმალური წყვილების არსებობა, როგორიცაა: ბჟა „წვრთნა, გაწვრთნილი" — ბჟჷ „ხმა", ძა „გვერდი" — ძჷ „წყალი", ჱ°ა „გამხმარი" — ჱ°ჷ „ადამიანი" და მისთ.).

როგორც ირკვევა, თავკიდურ პოზიციაში ისევე არ გვხვდებოდა **ჲ** ხმოვანი, როგორც დღეს არ გვხვდება **ჷ** ხმოვანი. თავკიდურა **ჲ**

ხმოვნიან ფუძეებში წინ ყველგან თანხმოვანია ჩამოცილებული (ლომთ. 1976, 75...).

აბაზურის ორი ძირითადი ხმოვნის (ა, ჷ) **ჲ** და **ჳ** სონანტებთან (ნახევარხმოვნებთან) შეერთებით (ან იშვიათად სათანადო პალატალურ, ლაბიალიზებულ თანხმოვნებთან მეზობლობით) წარმოიქმნება ხოლმე არაფონემური **ი, ე, ო, უ** ხმოვნები, დიფთონგოიდები (რომლებიც ხშირად გრძლად გამოითქმის). მათში შედარებით უფრო გავრცელებულია ზმნის დროების წარმოებისას დიფთონგის შერწყმა **ი, უ** ხმოვნებად. სალიტერატურო ენასა და მის ფუძედიალექტში (ტაპანთურში) შედარებით იშვიათია აღნიშნული პროცესით **ე** და **ო** ხმოვნების წარმოქმნა. გვხვდება თითო-ოროლა შემთხვევა ამისა, მაგ.: **მეჲრა < მაჲრა** „ადვილი“, **ნეჲრა < ნაჲრა** „მისვლა“ **წოლა < წოჳლა < წაჳლა** „ღრმა“, შჷკ°ოკ°ა < შჷკ°აკ°ა „თეთრი“. შედარებით უფრო გავრცელებულია **ე** და **ო** ხმოვნების და მათი გრძელი სახეობების პოზიციურად მიღება აბაზურის აშხარულ დიალექტში, რომელშიც ჭარბობს ასიმილაციის პროცესი.

ი მონოფთონგი აბაზურში გვხვდება თითო-ოროლა შემთხვევაში და იგი მომდინარეა **ჷ** ირაციონალური ხმოვნისაგან (წინაენისმიერ თანხმოვანთა მომდევნოდ), მაგ., **წის** „ბელურა“, **სიფსა** „ზვავი“... (შდრ.აფხ. ა-წჷს „ჩიტი“, ა-სჷფსა „თოვლ-ყინული“).

1. 2. ფონოტაქტიკა

აბაზური სიტყვების (როგორც სახელებისა, ისე ზმნებისა) და აფიქსურ ელემენტთა ძირები ჩვეულებრივ მარტივი ერთმარცვლოვანია (უმეტეს შემთხვევაში ღია მარცვლით წარმოდგენილი — CV ტიპი): **ჴა** „თავი“, **ჩჷ** „ცხენი“, **ჟ°ჷ** „ძროხა“, **გ°ჷ** „გული“, **ცა** „წასვლა“, **გა** „წაღება“, **ბა** „ნახვა“, **თა** „მიცემა“, **აჳ** „რგება, შოვნა“, **-ქ°ა** მრავლობითი რიცხვის სუფიქსი, **-ლა** ინსტრუმენტალისის სუფიქსი და სხვ.

ამიტომაც თავისებურად დგას ამ ენაში თავკიდურ-შუაბოლოკიდურ თანხმოვანთა საკითხი. დასახელებულ ერთმარცვლიან სიტყვებში თანხმოვნები თავკიდურადაც არის და ბოლოკიდურადაც (რაც ხშირი შემთხვევაა ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოშორებისას).

ოდენ თანხმოვნით წარმოდგენილი ძირები გარკვეულ, განცალკევებულ პოზიციაში ხმოვანს იახლებენ, მაგ., **ჟ°** „ხარშვა“ — **ჲ-ჟ°ჷ** „მოხარშე ის (რაღაც)!“

გვხვდება, რა თქმა უნდა, რთული — ორი, სამი, ოთხი, ხუთი — ერთად მიჯრილ თანხმოვნიანი ფუძეებიც (მაგ., **ცხა** „თაფლი", **მშჷგ** „დღე", **სსა** „წვნიკი", **კ°ასთხა** „მუგუზალი", **აჩჴ́ა** „ბალიშისპირი", **ფსსშარა** „ფრენა", **ფსთჰ°ა** „ღრუბელი" და მისთ.), მაგრამ ამ რიგის ფუძეები მეტწილად ან ნაწარმოებნი არიან, ან სიტყვათა და მორფემათა შეერთებით და ფუძეთა რედუპლიკაციით წარმოქმნილნი. ასეთ შემთხვევაში ხდება ცალკეული ფუძეებისა თუ მორფემების რთულ შენაერთში გაერთიანება, მაგ., **ჲჷლსხხპ < [ჲ]-ჲ-ჷ-ლ-ს-ხ-ხ-პ** „მისგან გამოვიღებ, გამოვაცლი": (მას(ნ.)-მის(მ.) (სამიმართ.პრ.) შიგნიდან მე(I პ.) ღებ-უკუ-მყოფ. ფინ.), რაც იწვევს ერთი მთავარი მახვილით მათს გაერთიანებასაც და რასაც ხშირად მოსდევს ხმოვანთა რედუქცია, თანხმოვანთა შეჯრა და ზოგჯერ კომპლექსის გამარტივება.

ამგვარი პროცესების ნიადაგზეა, მაგალითად, **ჰ°სჷსა** „ქალები" „ქალიშვილები", მომდინარე ***ფჰ°სასა** < ***ფა-ჰ°ა-სა-სა**-საგან (შდრ. მხ.რ. **ფჰ°ჷს** „ქალი", თავადაც რთული შედგენილობისა, მომდინარე ***ფა-ჰ°ა-სა**-საგან). **ზაკგ́ჷჲ გ́რა́ლჷმჰ°ხტ** („მან მათ არაფერი უთხრა" მომდინარე: **ზა-კა-ჷ-გ́ა [ჲ][ჲჷ]-გ́ა-რ-ა-ლ-ჷმ-ჰ°ა-ხჷ-ჲ-ტ** — „ერთი - რამ-ც იგი(ნ.)- კიდეც-მათ-სამიმართ.პრ. -მან(ქ.)-არ-თქვა-ლა-ფინიტ."

არსებითად ფუძეთა თხზვის ასეთი გზით არის წარმოშობილი მრავალრიცხოვანი თანხმოვანთა კომპლექსები, რომლებსაც მეორეული კომპლექსები შეიძლება ეწოდოს. ბუნებრივია, აქაც გვქონდეს გარკვეული შეზღუდვები, კერძოდ, იშვიათი სიხშირის ისეთი ფონემები, როგორიცაა, მაგალითად, მაგარი **ჯь**, **ჟь** ერთ მარცვალში გაერთიანებულ თანხმოვნიან კომპლექსში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გვხვდება (შდრ. **ჟьრა** „თხრა". **ჲჷზჟьჲჷტ** „ვთხრი",... გაორკეცებული ძირები...). ძნელად ეწყობა სხვა თანხმოვნებს პირველ წევრად ერთ მარცვალში რბილი ველარული ხშულები **გ́ ქ́ კ́**; შეუთავსებელი გამოდის **ნპ, პნ, ბს, ფზ, მქ°, ჶმ, მჶ...** მიმდევრობები.

სამაგიეროდ, ძალზე გავრცელებულია ე.წ. „პირველადი" კომპლექსები. ესენია კომპლექსები ბაგისმიერთა მონაწილეობით პირველ წევრად (მკვეთრი წევრის გამოკლებით), რომელთაც ლარინგალური არტიკულაციის მიხედვით გარკვეული ჰარმონიულობა ახასიათებს: **ფს, ფშ, ფშь, ფხ, ფხ́, ფჰ, ფჰ°, ფჩ, ფჩь, ფთ, ფრ... ბზ, ბჟ, ბჟь, ბღ, ბღ́, ბგ, ბწ, ბჟ ბშ...**

ყველაზე მეტად მაინც ამ „მტკიცე“ თანამიმდევრობის კომპლექსებში პირველ წევრად გვხვდება **მ ხონანტი: მზ, მპ, მყ°, მრ, მს, მტ, მყ°, მშ, მშა, მშ°, მჩ, მც, მძ, მწ, მჳ, მხ, მჰ...**

აღნიშნულ კომპლექსთა დაშლა დღეს სინქრონულ დონეზე ჭირს.

როგორც გაირკვა, ასეთ თავდაპირველ კომპლექსებში შეუთავსებელი გამოდის დენტალები **დ, თ, ტ,** მაგალითად, ***თჳ(<*დჳ), *დმ°** და მსგავსნი. ამ რიგის კომპლექსები პირველი წევრის ჩამოშორების შედეგად გამარტივებულა (ლომთ.1976, 246-247). აბაზურში დიდი გავრცელებისა არ არის, მაგრამ ბუნებრივ კომპლექსებად ჩანს **პლ, ტლ.**

1. 3. სუპრასეგმენტული ერთეულები

სიგრძე ხმოვნებისა აბაზურისათვის დამახასიათებელი არ არის. გრძლად გამოითქმის დიფთონგის შერწყმით მიღებული მეორეული ხმოვნები.

მახვილი არის დინამიკურ-ინტენსიური. იგი ყველა პოზიციაში დასტურდება: **ა́ჟ°ა** „სიტყვა“, **აჭა́სა** „ასე, ამრიგად“, **აშა́** „ძმა“, **გბ́ლრა** „დგომა“, **ნაპ́გ** „ხელი“...

მახვილის მოძრაობის მხრივ მეტად რთული სურათია აბაზურში. შედარებით უფრო უძრავია და მეტ სიმტკიცეს იჩენს ის მახვილი, რომელიც ფუძის შუა ხმოვანზე მოდის (იმისდა მიუხედავად, მარცვალი დახურულია თუ ღია), როგორიცაა, მაგალითად, **გბ́ლრა** „დგომა“, **შბ́გლა** „ფქვილი“, **გა́რა** „აკვანი“, **ათბ́ფ** „ქოხი“ და მისთ. თუმცა არც ამ პოზიციაში ჩაითვლება იგი სავსებით უძრავად (შდრ. გენკო, 1954. 64; ლომთ. 1976, 100. ზოგი კანონზომიერების შესახებ იხ. ლომთ.1976, 77, 99-138).

მახვილის ადგილის განსაზღვრის მხრივ სირთულეს ქმნის, ჯერ ერთი, აბაზური მახვილის ბუნება — დინამიკურობა და, მეორე მხრივ, მისი შეწყობის ხასიათი რთულ სახელთა და ზმნურ მონაცემებში. აბაზურში, ისევე როგორც აფხაზურში, რომელთა ძირები CV ტიპისაა, როგორც ძირეული, ისე აფიქსური მორფემები მახვილის მქონეა, ფორმანტთა დიდ წილს შესწევს უნარი მახვილი მიიზიდოს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ერთსა და იმავე ფორმანტს ხან შესწევს უნარი მახვილი მიიზიდოს, ხან კი — არა. ეს კი დამოკიდებული გამოდის სხვადასხვა მორფემათა რთულ ფუძეში შეწყობაზე. ადვილი გასათვალისწინებელია, რა რთული

სურათი იქმნება მახვილის ადგილმდებარეობის განსაზღვრისას, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ძირს პრეფიქსებისა და სუფიქსების სახით ათეულამდე მორფემა შეიძლება დაუკავშირდეს და მათი ძალთა ფარდობა მახვილის გადაწევის მხრივ სხვადასხვა კომბინაციაში სხვადასხვანაირად გამოვლინდება, მაგ.: **ფარა́** „ჭამა“, **ჲგსფა́ტ** „შევჭამე“, **ჲგშ°ფა́!** „შეჭამეთ!“ **ჲჭ̇ფ˹ა˺** „შეჭამე!“ **ჲგსფახ˹ა́ტ** „უკვე შევჭამე“, **ჲანჭ̇სფა** „როცა შევჭამე“, **აბა́ფრა** „ურთიერთ ჭამა“ → „ჩხუბი“, **ჲგსფარჭ̇ქ°გნ** „რომ მეჭამა“ და ა.შ.

გართულებულ ფუძეებში და კომპოზიტებში გაბატონებულია ერთი მახვილი, თუმცა ზოგჯერ თანამახვილიც (ნაკლები სიძლიერისა) შეინიშნება. შდრ. **გჭ̇ლრა** „დგომა“ და **ა́ქ°გჭ̇ლრა** „რაზედმე დგომა“.

მიუთითებენ (აფხაზურის მსგავსად) მახვილის სიტყვათგანმასხვავებელ ფუნქციაზე აბაზურში (გენკო 1955, 63-64). მაგ.: **ა́მჵა** „სახელური“ — **ამჵა́** „წალდა“, **ა́ჩ°ა** „ძილი“ — **აჩ°ა́** „თივა“, **ა́შთაცარა** „რისიმე გამოდევნება“, **აშთაცარა́** „თანმიყოლებით სვლა“ და მისთ. ასეთი დაპირისპირება ამ ფუძეებისა მახვილის მიხედვით მოჩვენებითია. მათში მახვილის სხვადასხვა ადგილას დასმა შედეგია ფუძეთა სხვადასხვაგვარი შედგენილობისა (ლომთ. 1976, 117-119). მახვილის მიხედვით ერთგვარ დაპირისპირებას ქმნის ზმნის მასდარული ფორმა, რომელსაც ჩვეულებრივ მახვილი მასდარისეულ ბოლოკიდურ სუფიქსის ხმოვანზე მოუდის : **ჭ°არა́** „ჯდომა“, **ჩარა́** „ჭამა“ და სათანადო ნაზმნარი მიმღეობა-სუბსტანტივი, რომელსაც მახვილი ჩვეულებრივ წინ, ზმნური ძირის ხმოვანზე მოუდის — **ჭ°ა́რა** „საჯდომი“, **ჩა́რა** „საჭმელი“ (გენკო, 1955, 64; ლომთ. 1976, 119-127).

1. 4. მორფოფონემიკა

აბაზურ ენაში დასტურდება როგორც სპონტანური, ისე პოზიციური ხასიათის ფონეტიკური ცვლილებები.

სპონტანურ პროცესთაგან აღსანიშნავია სიბილანტთა გარკვეული რიგის დელაბიალიზაციის ტენდენცია სხვადასხვა კილოკავისა თუ თაობის წარმომადგენელთა მეტყველებაში სხვადასხვა რეფლექსის სახით, მაგ.: **ჭ°ა (/ წ°ა)** → **ჭჾა (/ წა)** „ჯდომა“, **ჯ°გ (/ ძ°გ)** > **ჯ̣გ (/ ძგ)** „გარეთ“ წინდებ., **ჩ°ა (/ ც°ა)** > **ჩჾა (/ ცა)**

„თივა“, **შ°გ** (/ **ს°გ**) > **შგ** (/ **სგ**) „კარი“, **აუ°გ** (**აზ°გ**) > **აუგ** (**აზგ**) „ძველი“... (ლომთ. 1944, 25-28).

უნდა გაიხაზოს, რომ პოზიციური პროცესები შედარებით შეზღუდულია, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, ძირთა მარტივი შედგენილობით და, მეორე მხრივ, მდიდარი თანხმოვანთა სისტემის არსებობით (იგი თავის მხრივ ადრე მომხდარ პოზიციურ პროცესებთან ჩანს ზოგჯერ დაკავშირებული).

პოზიციურ ფონეტიკურ მოვლენათაგან განსაკუთრებით გავრცელებულია მახვილის ნიადაგზე (უმახვილოდ დარჩენილ) ხმოვანთა რედუქცია: **ჩფარა** („კეთება“), შდრ. აფხ. **ჰაფარა** („გაჭედვა“), **ფწა** „ულვაში“ (< აფხ. **ა-ფაწა**), **კლათ** „კალათი“, **მცა** „ქამარი“ (<აფხ. **ა-მაყა**), **მ°გჯ** „ორნი“ (<**მ°გჯა**), **ქგთ** „სოფელი“ (<**ქგთა**), **შ°არაცრა** „ნადირობა“ (< **შ°არაცარა**), **მაგრა** „მოტანა“ (< ***მაგარა**, შდრ. **გარა** „წაღება“), **მშგ** „დღე“ (განუსაზღვრელი), **ამშა** „დღე“ (განსაზღვრული) და სხვ. ამ ნიადაგზე წარმოიქმნება სხვადასხვა რიგის კომპლექსები, რომლებიც ზოგჯერ მარტივდება და იწვევს ფუძეთა გაცვეთას, ან ექვემდებარება ასიმილაცია-დისიმილაციის პროცესებს, მაგ., **ხფა** (*<**ხაბა**) „სამი“, **ლაშაცარა** „დაბნელება“ (< **ლაშაა** + **ცარა** „სინათლე“ + „წასვლა“), **შტა-** (წინდ. „კვალზე“) < **შათა** და მისთ.

აბაზურში საკმაოდ გავრცელებულია ორი მკვეთრი ბგერისაგან შემდგარ კომპლექსში პირველი წევრის გაფშვინვიერების ტენდენცია. ამ ნიადაგზე გვაქვს: **ცაკგ** (<**წაკგ**) „კაბა“, **ქ°ტგუ** (< **კ°ტგუ**) „ქათამი“ და მისთ.

ასეთი ფონეტიკური პოზიციით წარმოქმნილი პროცესის ერთგვარი გრამატიზაციაც ხდება. მაგალითად, პირის ნიშნები (I პ. **ხ**, **ჰ**; II პ. **შ**°) მჟღერდება მხოლოდ გარდამავალ ზმნათა მჟღერით დაწყებულ ძირეულ თანხმოვანთა (სონანტებითურთ) წინ უშუალოდ დგომისას. მაგ.: **ადგ-ზ-ძახგატ** „ვკერავ რასმე“, **ადგ-ბ-ძახგატ** „ვკერავთ რასმე“, **ადგ-ჟ°-ძახგატ** „კერავთ რასმე“, შდრ. იგივე ზმნა გარდაუვალი ვარიანტით **ხ-ძახგატ** „ვკერავ საერთოდ“, **ჰ-ძახგატ** „ვკერავთ საერთოდ“, **შ°-ძახგატ** „კერავთ საერთოდ“. გამონაკლისია არამჟღერით დაწყებული გარდამავალი ზმნა **ჩაგკ°აბარა** „დაბანა“, რომელშიაც **კ°-ს** წინაც ხდება პირის ნიშნის გამჟღერება — **ჩაგ- ზ-კ°აბატ** („ვიბანავე“).

გვხვდება ცალკეული ფაქტები სონანტთა (**ლ — ნ — რ**) მონაცვლეობისა (მაგ.: **ლაშ°არა** / **რაშ°არა** „მარგვლა“ და სხვ.).

აბაზურში, ისევე როგორც აფხაზურში, ფართოდ არის გავრცელებული თანხმოვანთა რედუპლიკაციის პროცესი. რედუპლიკაცია მნიშვნელოვანი საშუალებაა სიტყვათა წარმოებისა, სიმრავლე-სიხშირის, პროცესის განმეორებადობისა და ინტენსივობის გადმოსაცემად. ჩვეულებრივ გაორკეცება ხდება ზმნის ძირეული მორფემებისა, ან თითო-ოროლა შემთხვევაში სიდიდე-სიმცირის გამომხატველი მორფემებისა. ძირეულ მარცვალთა გაორკეცებისას, უმახვილო (პირველი წევრის) ხმოვნის რედუქციის ნიადაგზე მიიღება გაორკეცებული თანხმოვანი. გაორკეცება ამ ნიადაგზე ხდება თითქმის ყველა თანხმოვნისა (ჳ-სა და ნასესხებ ფუძეებს შემოყოლილ ბგერათა გარდა), მაგ.: ადგ̌უ „დიდი“, დგ̌უ-**ძძა** „ძლიერ დიდი“, „დიდზე დიდი“ (< *დგ̌უ-**ძა-ძა**), ფ**ჩ**ა-რა „გატეხა“ ფ-**ჩჩ**ა-რა „დამსხვრევა მრავლისა“. თავისი შინაარსით განმეორებადი პროცესის გამომხატველ ზმნებს ყოველთვის არა აქვთ ასეთი წყვილები, მაგრამ ცხადია ამ გზით არის წარმოქმნილი გემინირებული თანხმოვნები ისეთ ძირებში, როგორიცაა: ჯ°ჯ°არა, „რეცხვა“, აქ°გრლ°ლ°არა „დაჭყლეტა“ და მისთ. (ლომთ. 1940; ლომთ. 1976, 203-210).

მორფოლოგია

(ა) არსებითი სახელი

არსებითი სახელი სემანტიკურად იყოფა ორ — ადამიანთა და არა-ადამიანთა (ნივთთა) კლასად. ადამიანთა კლასში ექცევიან ადამიანები და ანთროპომორფული არსებანი (მაგ., აჲნგუ° „მდევი“ და მისთ.), ხოლო ნივთთა კლასში — მთელი დანარჩენი ბუნება.

მორფოლოგიური ასახვა სემანტიკური კლასებისა ხდება მხოლოობით რიცხვში სახელთა კუთვნილებით ფორმებში და ზმნის ფორმებში სათანადო პირ-კლასის პრეფიქსების მეოხებით, ხოლო მრავლობით რიცხვში სახელთა კლასების გარჩევა შესაძლებელია განსხვავებული მრავლობითობის სუფიქსებით, თუმცა ყოველთვის მტკიცედ არ არის დაცული დაყოფის ხსენებული პრინციპი მრავლობითი რიცხვის აფიქსთა გამოყენებისას.

სიტყვათწარმოებითი საშუალებებით ადამიანთა და ნივთთა კლასი განსხვავებულად არის გამოხატული რიცხვით სახელებსა და ნაზმნარ სუბსტანტივებში.

სახელის კუთვნილებითს ფორმებში და ზმნის II და III პირის ფორმებში ადამიანთა კლასში პრეფიქსებისვე საშუალებით გამოიხატება მამაკაცისა და დედაკაცის ქვეკლასები.

ზოგჯერ ცხოველებში სქესის გამოსახატავად, ლექსიკურ საშუალებათა გარდა, გამოიყენება კომპოზიტური თხზვის წესი. ამ შემთხვევაში მეორე კომპონენტად დართულია **-ან, -(ა)ბა** (დაკავშირებულნი დედისა და მამის ფუძეებთან) და „მდედრის" აღმნიშვნელი **-ფსჳ**: ჩჲ „ცხენი" — ჩჲ-**ან** „შაკი", ჩჲ-**აბა** „ულაყი"; ლა „ძაღლი" — ლა-**ფს** „ძუ (ძაღლი)", ლა-**ბა** (< ლა-აბა) „ხვადი (ძაღლი)". მამრი ცხოველების სახელებს ზოგჯერ ერთვის აგრეთვე **ლ´** (შდრ. აბგ-**ლ´** „ვაცი").

რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით ერთმანეთს უპირისპირდება სახელის მხოლოობითისა და მრავლობითის ფუძეები. მხოლოობითის ფუძე გაუფორმებელია (ჩვეულებრივ). მრავლობითში გვხვდება სხვადასხვა სუფიქსები.

-ჩ°ა სუფიქსი გამოიყენება მრავლობითისათვის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა კატეგორიის სახელებში: აბა-**ჩ°ა** „მამები", აღა-**ჩ°ა** „მტრები", (ა)-ჯა-**ჩ°ა** (←ა-ჯა-წა-**ჩ°ა**) „კაცები, მამაკაცები" და სხვ. ერთადერთი გამონაკლისია **ა-ფჳ** „ძე, ვაჟიშვილი" სიტყვის მრავლობითის ფორმა ა-ფა-**ჩ°ჳ**, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნივთთა კლასის სახელის ცხოველის შვილების (და არა ოდენ „ვაჟიშვილების") მრავლობითის ფორმის გადმოსაცემადაც.

ნივთთა კატეგორიაში მრავლობითს გამოხატავს **-ჭ°ა** სუფიქსი: წლა-**ჭ°ჳ**, ა-წლა-**ჭ°ა** „ხეები", ჩჲ-**ჭ°ჳ**, ა-ჩჲ-**ჭ°ა** „ცხენები"... მაგრამ **-ჭ°ა** სუფიქსს ისე აქვს გაფართოებული გამოყენების არე, რომ იგი თავისუფლად ცვლის ადამიანთა კატეგორიის მრ.რ. **-ჩ°ა** სუფიქსს. თუ ფუძის რაიმე ცვლილების შედეგად არ არის ფუძეს შეზრდილი მრ.რ. **-ჩ°ა**, უველგან დასაშვები და ბუნებრივია **-ჭ°ა**: ა-ჯაწა-**ჭ°ა** „მამაკაცები", საბჷგ-**ჭ°ა**, ა-საბჷგ-**ჭ°ა** „ბავშვები" და სხვ.

აბაზურში სხვა ენიდან ამ ბოლო ხანებში შემოსული ადამიანთა კლასის უველა სიტყვა მრ.რ.-ში მხოლოდ **-ჭ°ა** სუფიქსს დაირთავს: აგრონომ-**ჭ°ა** „აგრონომები", ალეტჩიკ-**ჭ°ა** „მფრინავები" და სხვ.

ე.წ. ნაშიერთა სახელებში ერთგვარი დაპირისპირებაა მხოლოობითის ფუძესა და შემკრებლობითი მრავლობითი რიცხვის ფუძეს შორის, აღნიშნული სახელების მხოლოობითის ფუძეს აწარმოებს ე.წ. დემინუტივის სუფიქსი **-ს**: ა-ჰ°გ-**ს** „ხბო", ა-სგ-**ს** „ბატკანი"... ამათ რიგშივეა პატარა ჩიტის გამომხატველი სიტყვა ა-წრ-**ს** „ბეღურა". მრავლობითის ფუძეს ამ სიტყვებში **-ს** სუფიქსი შორდება.

ფუძეში აღდგება (თუ მას ჰქონდა) ა ხმოვანი (რომელიც მახვილის გამო მხოლოობითის ფორმაში გადასული იყო გ ხმოვანში) და დაერთვის **-რა** სუფიქსი: ჰ°ა-**რა**, ა-ჰ°ა-**რა** „ხბორები“ სა-**რა**, ა-სა-**რა** „ბატკნები“, წა-**რა**, ა-წა-**რა** „ბეღურები“ და მისთ.

ადამიანთა შემკრებლობითს სახელში „ხალხში“ — **შმა**, ა-**შ**-**მა** გამოიყოფა — **მა** სუფიქსი. იგი ზემოთ განხილული **-რა** სუფიქსზე დართვით იძლევა რთულ **-რმა** სუფიქსს ადამიანთა შემკრებლობითი შინაარსის გადმოსაცემად გვარების, ხალხების და მსგავს სახელებში: ლაუ — ლაუ-**რმა** — „ლაუები“, ყარჩა — ყარჩა-**რმა** „ყარაჩელები“ (პარალელურად დასაშვებია აგრეთვე აყარჩაქ°ა), ჩკ°- გნ — ჩკ°გნ-**რმა** „ყმაწვილკაცობა“, აბა — აბა-**რმა** „მამეულნი“, „მამის სახლისანი“, ჰ°სგსა-**რმა** „ქალები“, „ახალგაზრდა ქალები“, „ქალთა კრებული“ და მისთ.

თავისებურად აწარმოებს მრავლობითს **ა-ფჰ°გს** „ქალი“. მის-გან მრავლობითი რიცხვის წარმოებისას გაორკეცებულია სუფიქსუ-რი **ს(ა)** მორფემა (წარმოშობით იგივე დემინუტივის მაწარმოებელი) და ამ ნიადაგზე ფუძის ფონეტიკური ცვლილებით წარმომდგარა ა-**ჰ°სსა//ა-ჰ°სგსა** „ქალები“ (ლომთ. 1976, 229-231). შეუძლებელი არაა უშუალოდაც მხოლოობითის ფუძეზე **-ქ°ა** სუფიქსის დართვით ახალი წარმოება მრავლობითისა ფჰ°გს-**ქ°ა**, ა-ფჰ°გს-**ქ°ა** „ქალები“.

ყველა ამ სხვადასხვა საშუალებით ნაწარმოებ მრავლობითის ფუძეებს ჩვეულებრივ პარალელურ სახეობად აქვს მრავლობითი რიცხვის უნივერსალურ მაწარმოებლად ქცეული **-ქ°ა** დართული ფორმები, რაც იძლევა რთულ სუფიქსიან წარმოებებს: აბა-**ჩ°ა-ქ°ა** „მამები“, ა-ჯა-**ჩ°ა-ქ°ა** „კაცები“, ა-ჰ°ა-**რა-ქ°ა** „ხბოები“ (მხოლოობითის ფუძეზე **-ქ°ა** მრავლობითის სუფიქსდართული წარმოებაც არ არის ამ შემთხვევებში მოულოდნელი : აჰ°გს-**ქ°ა** „ხბოები“), ა-უ[ა]-**მა-ქ°ა** „ადამიანები“, „ხალხი“; ა-**ჰ°სსა-ქ°ა** „ქალები“ და მისთ.

მრავლობითის გაგებას იძლევა ცალკეული ფუძეები: **ა-ჟ°ლარა, ჟ°ლარა** „ხალხი“, **ა-რახ°, რახ°გ** „საქონელი“: აჟ°ლარა **რ**უგს „ხალხის საქმე“, არახ° **რძ**გ აჟ°გრთა „საქონლის წყლის დასალევი (ადგილი)“.

ზოგი სახელი (ჩვეულებრივ მრავალი ერთეულის შემცველი ცნების გამომხატველი) **ა-** პრეფიქსის მქონე განსაზღვრულ ფორმაში დასმული იძლევა მრავლობითის გაგებას (ზმნა, თანდებულები მრავლობით რიცხვში შეეფერება), მაგ.: შხა „ფუტკარი“ — **ა-შხა** „ფუტკრები“ (ცხა ღანგუ **ა შ ხ ა** ჲ-**რ**-დგრგჲტ „ფუტკრებმა იციან,

თაფლი სადაც არის"), **ა̂შხა** აჴჭწტ „ფუტკარმა (ფუტკრებმა) ყარა (ფუტკარი გამრავლდა)", **ჩაან** „ფაშატი" — **ა-ჩაა̂ნ** „ცხენების რემა" (**ა-ჩაა̂ნ რ**-ფნგ დჲგრცა̂ტ — „რემაში გაგზავნა მან ის"), ქგთ — **ა-ქჷ̂თ** „სოფელი": **ა-ქჷ̂თ რძჷ** აბლ̂ა̂მ°ა ჲაკჷნ, ჲგ̂მარნა̂თჶამ „სოფლის წყალი („სოფელი მ ა თ ი — წყალი") გველეშაპმა დაიკავა (დაიჭირა) და მ ა თ არ აძლევს", აბაზა „აბაზა" (ადამიანი) — **ა̂ბაზა** „აბაზები"... ამ ბოლო შემთხვევაში განსაზღვრულობის **ა-** პრეფიქსის დართვის გამო (რომელიც შეუერთდა ფუძისეულ თავკიდურ ა-ს) მახვილმა გადაინაცვლა ანლაუტისეულ ორბუნებოვან **ა** ხმოვანზე (ლომთ. 1976, 29, 91, 105, 120).

აქ მოყვანილ ყველა სიტყვას პარალელურად აქვს ზემოთ განხილული მრავლობითის შესაბამისი სუფიქსებით გაფორმებული წარმოება.

ბ რ უ ნ ე ბ ი ს სისტემა აბაზურს არა აქვს განვითარებული. ძირითადი სინტაქსური ბრუნვების (სახელობითის, ერგატივის, მიცემითის) ფუნქციას ასრულებს ზმნის ფორმაში ასახული სათანადო პირ-კლასის ექსპონენტები. აბაზურის გრამატიკული სტრუქტურის ბუნების მიხედვით, სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მსგავსად, აკუზატივი გამორიცხულია.

ჩანასახი ბრუნვების სახით გამოიყოფა ორი ფორმა: ვითარებით-გარდაქცევითი, ძირითადად **-თა**(<//-**შთა**) სუფიქსით გაფორმებული, და ინსტუმენტალისისა, **-ლა** სუფიქსით გაფორმებული.

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ - გ ა რ დ ა ქ ც ე ვ ი თ ი: ფჰ°გს-**თა** დნაჲახ°ტ „ც ო ლ ა დ ითხოვა (წაიყვანა)", მურად-**თა** ჲგჩფატ „მ ი ზ ნ ა დ დაისახა" („გააკეთა")", ფხჷზ-**თა** ჲგბატ „ს ი ზ მ რ ა დ ნახა (დაესიზმრა)...[1] მას საკმაო ფართო გამოყენება აქვს (ჶგს-**თა** ჲზშთაზ რჰ°ატ „რა საქმეზედაც იყვნენ, თქვეს", „ს ა ქ მ ე დ , რასაც მისდევდნენ, თქვეს") განსაკუთრებით ვითარებით ზმნისართთა და აბსოლუტივის წარმოებისას (იხ. აქვე, გვ. 68-72, 84).

ხალხური შემოქმედების ენაში შეზღუდულად, სიტყვათა მცირე ჯგუფში, ამავე ფუნქციით დასტურდება სუფიქსი **-ს**: ზა̂ყ°ა კჷნჰარჷჶ აჲგ°ა̂-**ს** დჶჷმკჷნ! „სიტყვა არა-მტკიცე [კაცს] (ზედმიწევნით „სიტყვა-გახვრეტილს") მ ე გ ო ბ რ ა დ ნუ დაიჭერ! (ნუ დაუმეგობრდები!)".

ეგევე სუფიქსი სიტყვათწარმოებითი ფუნქციით შემორჩენია ორი სახელის ფუძეს: **ჩა-ს** „საჭმელი" **ჩა-რა** „ჭამა" ზმნისაგან (შდრ. ძვ. ქართ. „ჭ ა მ ა დ ი ") და **ჶგ-ს** „საქმე" „აჶგ-რა" ისტორიულად „ქმნა" ზმნისაგან (შდრ.ქართ. „ქ მ ნ ა დ ი ").

ი ნ ს ტ რ უ მ ე ნ ტ ა ლ ი ს ი: აფხაზური სახელისაგან განსხვავებით აბაზურში ინსტრუმენტალისის **-ლა** სახელს ერთვის აგლუტინაციური წესით: კ°აღა-**ლა** „ნაჯახით“, კ°აღა-**ჭ°ა-კ-ლა**, ა-კ°ა-ღა-**ჭ°ა-ლა** „ნაჯახებით“. მას ძალზე ფართო გამოყენება აქვს ენაში სხვადასხვა ნიუანსებით: აქ°ჳჯმა ზაცარა ԥუჳრჩალაკჳ˝ჳԥ აბნალა ԥფშჲჳԥტ „მგელს რამდენიც გინდ აჭამო, [მაინც] ტყეში (ტყით) იყურება“, აჳგშ°-**ლა** ԥმაკჳლლჳრშ°თგხტ „მან გარეთ გამოაგდო ის (რაღაც) სარკმლით“ და სხვ. განსაკუთრებით დიდი გამოყენება აქვს **-ლა** სუფიქსს ზმნისართთა წარმოებაში (იხ. აქვე, გვ. 85).

ეგევე ელემენტი ინსტრუმენტალისის ფუნქციით მონაწილეობს ზმნის უღვლილების ფორმაშიც, მაგრამ ზმნაში იგი არქაული გაფორმების წესით დაირთავს კუთვნილების ექსპონენტებს. როცა იგი ზმნური კომპლექსით არის გამოხატული, მაშინ სახელი გაუფორმებელია, შდრ. ერთი მხრივ, აბარგ[ჲ]-**ლა** ს-უგ°ალაშ°ახპ („ა მ ი თ მომიგონებ“) და, მეორე მხრივ, აბარგჲ ს-**ა-ლა**-უგ°ალაშ°- ახპ „ეს მე-**მით**-მომიგონებ“ და მისთ.

ნათესაობითი ბრუნვის უქონლობა აბაზურში ანაზღაურებულია ნაცვალსახელოვანი კუთვნილებითი პრეფიქსებით, რომლებიც პრეპოზიციულად მიერთვის საზღვრული სახელის ფუძეს და აღნიშნავს მსაზღვრელის პირ-კლასს, რიცხვს. ეს პრეფიქსებია: I პ. მხ.რ. **ს-// სგ-**, II პ. მხ.რ. მამრ. **უ- // უგ-**, მდედრ. **ბ-// ბგ-**, III პ. მხ.რ. მამრ. **ԥ- //ԥგ-**, მდედრ. **ლ- // ლგ-**, ნივთთა კატეგ. **ა-**; I პ. მრ.რ. **ჰ- // ჰგ-**, იშვიათად **// ჰა-**, II პ. მრ.რ. — **შ°- // შ°გ-**; III პ. მრ.რ. — **რ- // რგ-**. პრეფიქსთა ხმოვნიანი ვარიანტები მაშინ გამოიყენება, როცა სიტყვის განსაზღვრულ ფორმაში მახვილი თავკიდურად მოუდის ფუძეს (ან, იშვიათად, მრავალთანხმოვნიანი ფუძეა).

	ა-ჩაგ „ცხენი“(განსაზღვრ.)	ა-წლა „ხე“ (განსაზღვრ.)
I	**ს**-ჩაგ „ჩემი ცხენი“	**სგ**-წლა „ჩემი ხე“
	უ-ჩაგ „შენი (მ.) ცხენი“	**უგ**-წლა „შენი (მ.) ხე“
II	**ბ**-ჩაგ „შენი (ქ.) ცხენი“	**ბგ**-წლა „შენი (ქ.) ხე“
	ԥ-ჩაგ „მისი (მ.) ცხენი“	**ԥგ**-წლა „მისი (მ.) ხე“
III	**ლ**-ჩაგ „მისი (ქ.) ცხენი“	**ლგ**-წლა „მისი (ქ.) ხე“
	ა-ჩაგ „მისი (ნ.) ცხენი“	ა-წლა „მისი (ნ.) ხე“

და მისთ.

თუ სიტყვის ფუძე **ა** ხმოვნით იწყება, აღნიშნულ პრეფიქსებს **გ** ხმოვანი არცერთ ვითარებაში არ ახლავს: **ს**-აბა „ჩემი მამა“, **ԥ**-აბა „მისი (მ.) მამა“ და ა.შ.

კუთვნილებითს ფორმებს ჩვეულებრივ წინ მიუძღვის მსაზღვრელი ნაცვალსახელები, გავრცობილი ან გაუვრცობელი სახით, ან სათანადო სახელი: **სარა́ // სა́ ს-ჩჟჷ** „მე ჩემი-ცხენი“, **ლარა́ // ლა** ლჷ-წლა „ის (ქ.) მისი-ხე“... ა́ჩკ°ჷნ ჲ-ჩჟქ°ა́ „ყმაწვილი მისი-ცხენები“ და მისთ.

კუთვნილებით-მიმართებითი შინაარსის გამოსახატავად მსაზღვრელის პირ-კლასისა და რიცხვის განურჩევლად გამოიყენება **ზ-**//**ზჷ-** მიმართებითი პრეფიქსი, მაგრამ იგი დამოუკიდებლად არსებული სახელის ფორმად არ გვხვდება, დაკავშირებული გამოდის ზმნის ინფინიტურ წარმოებასთან: ჯარა́თა **ზ-**ბჟჷ გაჶა́.. „შორით რომლისაც- ხმა ისმის“ და მისთ.

სახელი აბაზურში წმინდა ფუძით გვევლინება ნომინაციის ფუნქციით, განზოგადებულად, განუსაზღვრელად. აფხაზურისაგან განსხვავებით ეს არის მისი სალექსიკონო ფორმაც: ჩჟჷ „ცხენი“, ჯა́წა „კაცი“, კამბჷშ „კამეჩი“, ნაპჷ „ხელი“.

განსაზღვრულობას გამოხატავს **ა-** პრეფიქსი. იგივე სახელები კონკრეტული, განსაზღვრული შინაარსით არის: ა-ჩჟჷ, ა-ჯა́წა, ა-კამბჷშ, ა-ნაპჷ.

საკუთარი სახელები ჩვეულებრივ არ საჭიროებენ **ა-** პრეფიქსს, მაგრამ გვარის სახელები განმეორებით დასახელებისა თუ მიმართვის ფორმაში (და ზოგი სახელწოდება ადგილისა, გემისა, მანქანისა და მისთ.) დაირთავენ განსაზღვრულობის **ა-** პრეფიქსს: ჯანდარ (გვარია) — აჲ, ა́-ჯანდარ! „ჰეი, ჯანდარო!“ [თაბულ. 1976, 44-45].

განსაზღვრულობის გამოსახატავად სახელის ფუძიდან ნაწარმოები ზმნური მიმღეობებიც (სხვადასხვა დროში) არის გამოყენებული: ართ ა́ყ°აქ°ა რჷმშთახ́ ჲ-ჯამბა́ქ́-ხჷჶ-ზ ჲჩ°აგ́-ჷჲ ჲჴჷწხჷნ ზჷნლა́ დმაშტჰ°ატ (თაბულ. 1976, 45) „ამ სიტყვათა შემდეგ ჯამბაქი (ზედმიწევნით: „ის-რომელიც-ჯამბაქი-ხდებოდა“) სწრაფად წამოხტა ზეზე“. ასეთი წარმოება ფართოდ არის გავრცელებული აშხარულ დიალექტში, რომელშიაც მათ დამატებით იგივე განსაზღვრულობის **ა-** პრეფიქსიც შეიძლება დაერთოს ხოლმე: ჶარა ჰაჲწბა, აჯაბყჷ , ამცა ჰაზჷყაწა!..“ **ა-** -ჯაბყჷ-**ზ** ამცაგ́ჷ ყჷჲწან დადტალოპ „შენ ჩვენო უმცროსო, ქეციანო (განსაზღვრ.ფ.), ცეცხლი დაგვინთე!... ქეცი-ანმა (ზედმიწევნით: ქეციანი — რომ / რომელიც — იყო) ცეცხლი დაანთო და მიუჯდა (მიმჯდარია)“ [ლომთ. 1954. 52-56].

ა- პრეფიქსიან განსაზღვრულ ფორმებს აბაზურში ფართო გამოყენება აქვს და ხშირად სახელის **ა-** პრეფიქსიანი ფუძე გარკ-

ვეული ნიუანსის მქონეც ხდება. კერძოდ, აჩაბ, აშხა და მსგავს სიტყვებში სათანადო ფუძეები მრავლობითის გაგებით იხმარებიან.

გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ო ბ ი ს შინაარსის გამოსახატავად აბაზური იყენებს **-კ** სუფიქს-ნაწილაკს, რომელიც უკავშირდება „ერთი“ რიცხვითი სახელის (ზაკგ) ფუძეს და დაერთვის სუფიქსად სიტყვის სალექსიკონო ფორმას: ნაპგ **-კ** „(რომელიღაც, ერთი) ხელი“, ჯაწა-**კ** „კაცი (რომელიღაც, ერთი)“... ერთვის მრავლობით რიცხვის ფუძესაც: ნაპ-**ჭ°ა-კ** „ხელები (რომელიღაც)“... მრავლობით რიცხვში ადამიანთა კატეგორიაში **-კ** ხშირად ერთვის ორმაგი სუფიქსაციის (ადამიანთა კატეგორიისა და ამჟამად განზოგადებული **-ჭ°ა** მაწარმოებლის) მქონე ფუძეს: ჯა-**ჩ°ა-ჭ°ა-კ** „კაცები (რომელიღაც)“, ჩკ°გნ-**ჩ°ა-ჭ°ა-კ** „ყმაწვილები (რომელიღაც)“, ზგნზამანკ აგშ-**ჩ°ა- ჭ°ა-კ** ბზაზუნ „ოდესღაც (ერთხელ) ვიღაც ძმები ცხოვრობდნენ“.

-კ სუფიქს-ნაწილაკი შეიძლება განსაზღვრულობის **ა-** პრეფიქსის შემცველი სახელის ფუძესაც ერთვოდეს. მაშინ მას უკვე მხოლოდ „ე რ თ ი“ რიცხვითი სახელის გადმოცემა აკისრია: ა-წლა-**კ** „(ის, ცნობილი) ე რ თ ი ხე“.

ადამიანის აღმნიშვნელ სახელებში განუსაზღვრელი შინაარსის („ვინმე“-ს) გაგებას იძლევა სახელის ფუძეზე **-ჰ°ა** ნაწილაკის (რომელიც „თქმა“ ზმნის ძირს წარმოადგენს) დართვა: ხ°აჯა-**ჰ°ა** დაცან „იყო ვინმე (ერთი) მოლა“.

თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი ძირითადად გადმოგვცემს ადგილს, სივრცეში მიმართულებას, გარკვეულ პუნქტამდე მიღწევას, დროს (სათანადო ლექსიკურ ერთეულებთან), გამომდინარეობას, მიზეზს, მიზანს...

თუმცა თანდებულის როლში შეიძლება ხშირად სხვადასხვა სახელთა ან ზმნური წარმოების ფუძეები მოგვევლინოს და ამდენადვე მათი რაოდენობის განსაზღვრა ჭირს, მაგრამ სახელებში თანდებულების გამოყენება მაინც შეზღუდულად უნდა მივიჩნიოთ იმის გამო, რომ ზმნაში შესაბამისი ლოკალური პრევერბების საშუალებით გამოხატულია ადგილი და მიმართულება (იხ. ქვემოთ). ასევე ზმნაშივეა ასახული მიზანი, დანიშნულება (იხ. ქვემოთ).

ზოგი თანდებული ნაწილაკის სახით სახელს დაერთვის ბოლოს უშუალოდ: **-ძა** „-მდე“ — აშ°-**ძა** „კარამდე“, ბგჟ-სგქ°შა-**ძა** „შვიდ წლამდე“, **-და // -დაცა** „უქონლობა“ — ბმ°გ-**და** „უძვლო“, ჰ°მ°ა-**და** „ურქო“, ჩ°გმლა-**დაცა** „უკიბოდ“... ამ რიგის ფორმებს ჩვეულებრივ ზმნისართული შინაარსი ეგუება.

თანდებულები უმეტესად კუთვნილებითი პრეფიქსების მეშვეობით ერთვის სახელებს.

ყველაზე უფრო გავრცელებული და განზოგადებული თანდებულია **-ფნგ,** რომლის ფუნქციაა გადმოსცეს „-თან“, „-ში“, „-ზე“, „-კენ“... აკ᷄ადგგ° **ა- ფნგ** „ეზოში“, აბნა **ა-ფ ნ გ** (> აბნა-ფნგ) „ტყეში“, ასაჰათ აე°გმ° **ა-ფ ნ გ** „თორმეტ საათზე“, დცახტ დგფჰ°გს **ლ-ფნგ** „წავიდა თავის ცოლთან“, აწლაქ°ა **რ-ფნგ** „ხეებთან“ და სხვ. დამატებით, სხვა ადგილის (ან დროის) გამომხატველ თანდებულებსაც შეიძლება დაერთოს — **ფნგ** თანდებული.

იგი გასუბსტანტივებული სახითაც გვევლინება და გამოხატავს (თ ა ვ ი ს) სახლს, კარ-მიდამოს (ქართ. „შ ი ნ“): აქგთ აჰ დფა რაჷშაა **რ-ფნგ** დცახგნ, **რ-ფნგ** ჷჰ°ატ „სოფლის მთავრის ვაჟიშვილი პირდაპირ შ ი ნ (თავიანთ შინ, სახლში) წავიდა, შ ი ნ თქვა“, ათაე°-ჩკ°გნ **ლ-ფნგ** აძ°გ დშაფამაზ რდგრტ „დედაბრის ს ა ხ ლ შ ი (დედაბრისას) ვიღაც რომ იყო, გაიგეს“.

-ფნგ თანდებულს შესაძლოა დაერთოს იგივე ინსტრუმენტალისის **-ლა** სუფიქსიც: აჰ ჷფ ნ გ-**ლა** დჯ°გქ°გლტ „მთავართან (მთავრისაკენ) გაემართა“.

რაიმე ზღვრის მიღწევის გამოსახატავად შეიძლება **-ფნგ** თანდებულს დაერთოს ზემოხსენებული **-ძა** თანდებული: მჲაჯაჰ°არა **ა — ფ ნ გ-ძ ა** „წელამდე“ („წელთან-მდე“).

საკმაო რაოდენობით გვხვდება აბაზურში ზმნისართ-თანდებულები:

-წ ა ხ᷄ „ქვეშ“ — აძგ ა᷄-წ ა ხ᷄ „წყლის ქვეშ“

-ჯ ა ხ᷄ „ზემოთ“ — აჩ°ართაღ°გ ა-ჯ ა᷄ ხ᷄ „საწოლის ზემოთ“

-შ თ ა ხ᷄ „უკან“ — ათძგ ა᷄-შ თ ა ხ᷄ „სახლის უკან“

(ა)-მ შ თ ა ხ᷄ „შემდეგ“ — აფშა ა᷄-მ შ თ ა ხ᷄ აქ°ა მაწლაგატ
„ქარის შემდეგ წვიმა დაიწყო“

(ა)-ფ ა᷄ ხ᷄ „წინ“ — აშ°ქ°ა რ-ფ ა ხ᷄ „კარების წინ“...

აქ განხილული ადგილის გამომხატველი თანდებულების ფუძე შეიცავს გაქვავებულ ადგილის მიმართულების **-(ა)ხ᷄** მორფემას. მათვე შეიძლება დაერთოს მიმართულების გამოხატვის გაძლიერების მიზნით იგივე **-ლა**.

თვით ეს **ახ᷄** მიმართულების გამომხატველი **-ლა** ელემენტის დართვით და ხშირად **-კ᷄ა**-თი გართულებულიც დამოუკიდებელ ზმნისართ-თანდებულადაც გამოდის: ა᷄მშ°ა ახ᷄გლა „გზისკენ[ით]“, აჩკ°გნჩ°ა **რ-ა-ხ᷄გ-ლა** „ყმაწვილებისკენ“, აჩკ°გნ **ჷ-ახ᷄კ᷄გლა** „ყმაწვილისკენ“. „ყმაწვილის მხარეს“

-ძჯა „გვერდით“, „-თან“ — ათაჟ° ლგ-ძჯა „დედაბრის გვერდით“...

-შაპგ „ძირს“, „ფერხთით“: მჰამათ აწლა დჯაჟ°ა, აქ°გჯმა აწლა ა-შაპგ დგწაჟ°ა.. „მჰამათი ხეზე ჯდომით, მგელი ხის ძირს (ფეხთან) ჯდომით“...

-წგჯ°ა „უკან(იდან)“, „ბოლოს“: ზგმმ°ა რ-წგჯ°ა ჰ°სინ დმაჩ°აქ°ატ „ყველაზე ბოლოს ჰუსინმა ილაპარაკა“

-ბჟარა „შორის“: ლაჩ°გდ ლაგ°გდ რ-ბჟა´რა დბზახტ „თვალის დახამხამებაში გაქრა“ (ზედმიწ.: „ქუთუთოსა და თვალის გუგას შორის დაიკარგა“)

-გ´აგ´არა „ირგვლივ“: დაბადგუ დ-გ´აგ´არა დნამ°მ°უან „თავისი პაპის ირგვლივ მიმორბოდა“

-უაწა „შიგნით“, „განმავლობაში“: ათძგ ა-უა´წა „სახლის შიგნით“, აქგთ ა-უაწა „სოფლის შუა(გულ)ში“, არგდ აცგსკ°შა რ-უა´წა „ამ ექვსი წლის განმავლობაში“

-ა´რგ°ან „ახლოს“: აქგთ ა´რგ°ან „სოფლის ახლოს“, აჩკ°გნ დ-ა´რგ°ან დგგლან „იდგნენ ყმაწვილის ახლოს“

-თარა´ „ადგილას“, „ნაცვლად“: ა მღა-თარა´ მღგ შაიგხგიტ „ეკლის ადგილას ეკალი ამოდის“

-ცგნჯ°გ „ნაცვლად“, „მაგიერ“: აჩკ°გნ დ-ცგნჯ°გ „ყმაწვილის მაგიერ“

-ჯაზ „თვის“: აუგდ ა´-ჯაზ უგმნაშხგდახან! „ამის გამო (ამისთვის) ნუ დადარდიანდები!“ აჯრგმ°ფა აჩრგნ დგ-ჯაზ, აჯ°ძგ დგზჩგრგნგუ დგჯაზ, — დჰ°გიტ აბაიდა „მდიდარი ამბობს: ჩენჩო — მსახურს (მსახურისთვის), ხოლო მარცვალი მსახურის პატრონს (მსახურის პატრონისთვის)“

-ჰყ´აჰ°გლა „გამო“, „გამოისობით“: უარა უ-ჰყ´აჰ°გ-ლა „შენ გამო, შენი მიზეზით“

-ნგსლა „(გულის)თვის“: აფჰ°გს ლ-ნგსლა „ქალის გულისთვის“

-ა´ლალა „შედარებით“: აუათ რ-ალალა ჰარა ჰგმჩგმჯაპ „მათთან შედარებით ჩვენ ძლიერნი ვართ“ და სხვ.

(ბ) ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი თავისი ფორმის მხრივ ძირითადად არ განსხვავდება არსებითი სახელისაგან (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგ არატიპურსა და შეზღუდულ წარმოებას).

ზედსართავი სახელი თავისი სემანტიკის (თვისების აღნიშვნა) გარდა ცალკე გამოიყოფა ადგილმდებარეობისა და გარკვეულ ფუძეებთან შეწყობის მიხედვით.

ატრიბუტული ზედსართავი სახელი დაისმის იმ არსებითი სახელის შემდეგ, რომლის თვისებასაც ის გამოხატავს. ამავე დროს ამ შენაერთში ცალკეულად არც არსებით სახელს და არც ზედსართავს თავისი დამოუკიდებელი ფორმა არა აქვს. ისინი გაფორმებულია ერთიანად შესაბამისი მორფემებით. ამ ნიადაგზე წარმოიქმნება კომპოზიტური ერთეული: თუ ფორმაში პრეფიქსული მორფემაა დართული, იგი მოუვა არსებით სახელს (რომელიც პირველ ადგილას დგას), ხოლო თუ სუფიქსური მორფემაა დართული, იგი მოუვა ზედსართავ სახელს (რომელიც ბოლოს არის დასმული): ჩგ **ბზგდ** (განუსაზღვრ.) „ცხენი კარგი“, ა-ჩგ ბზგდ (განსაზღვ.) „ცხენი კარგი“, ჩგ ბზგდ-კ „ცხენი კარგი რომელიღაც“, ჩგ ბზგდ-თა „კარგ ცხენად“ („ცხენ-კარგად“), ჩგ **ბზგდ-ჭ°ა** „კარგი ცხენები“ („ცხენ-კარგები“) და მისთ.

ასეთი შენაერთის ერთადერთი თავისებურება მრავლობით რიცხვში შეიძლება გამოჩნდეს (პარალელურ სახეობად). თუ სახელს მრავლობითის საწარმოებლად მოუდის სუფიქსები **-ჩ°ა, -რა, -რმა**, ან აქვს თავისებური ფუძეები, შენაერთის მრავლობით რიცხვში ბოლოს დასმული ზედსართავის ფუძეს დართული **-ჭ°ა** მრავლობითობის სუფიქსის გარდა შერჩება ეს თავისებურად გაფორმებული მრავლობითის ფუძეც: ა´ჰ°სსა ბზგდჭ°ა „კარგი ქალები“ („ქალები-კარგები“), ასა´რა ჩკ°გნჭ°ა „პატარა ბატკნები“ („ბატკნები-პატარები“) და მისთ.

ატრიბუტული მსაზღვრელი ერთდროულად შეიძლება რამდენიმე ერთვოდეს სახელს. ამ შემთხვევაშიაც ერთნაირად გაფორმებული რთული ატრიბუტული შენაერთის ფუძე წარმოიქმნება და აფიქსებიც ერთიანად დაერთვება: ა-თგძ-ჭგც დგუ-ჭ°ა „ახალი დიდი სახლები“ („სახლ-ახალ-დიდები“).

ატრიბუტულ მსაზღვრელთაგან პრეპოზიციული მდგომარეობა აქვს „მარჯვენას“ აღ´მა და „მარცხენას“ **არმა**. შექცეული თანამიმდევრობის გარდა გაფორმების მხრივ ისინი არაფრით გამოირჩევიან ზემოთ განხილული ტიპისაგან. აქაც პრეფიქსული მორფემები თავკიდურა წევრს მიერთვის, ხოლო სუფიქსური — ბოლოს მოქცეულს: **არმა** შაპგ „მარცხენა ფეხი“, **ლ**-არმა შაპგ „მისი (ქ.) მარცხენა ფეხი“, **ლ**-არმა შაპგ-**ლა** „მისი (თავისი) მარცხენა ფეხით“, **რ**-არმა შაპ**ჭ°ა** „მათი მარცხენა ფეხები“ და მისთ. თვით ამ

სიტყვათა ფუძეები ატრიბუტული შენაერთის აგებულებისა ჩანს. მათი ბოლო **-მა** მორფემა „ხელის“ აღმნიშვნელია (გენკო 1955, 127. თარგმანი არეულია! შდრ. ლომთ. 1976, 26-27).

ზედსართავი სახელი, ისევე როგორც არსებითი სახელიც, იღებს ზმნის ფორმასაც (მარტივი ფუძით სტატიკურისას) — **დ-ბზგდ-ბ** „კარგია“ (ნივთი), **დ-ბზგდ-ბ** „კარგია“ (ადამ.), მაგრამ ატრიბუტულ შენაერთში იგი არსებით სახელთან ერთიან პრედიკატულ შენაერთს ქმნის: **დჯაწა-ბზგდბ** „კარგი კაცია“.

ზემოთ განხილული ატრიბუტული ზედსართავიანი შენაერთებისაგან განლაგების მიხედვით არსებითად განსხვავდება ე.წ. მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ა ნ ი შენაერთი. ამ შემთხვევაში პირველ ადგილზე დგას მსაზღვრელი (რომლის როლშიაც შეიძლება გამოდიოდეს მეტყველების სხვადასხვა ნაწილი), ხოლო მომდევნოზე — არსებითი სახელი.

აქ პირველ რიგში უნდა განვიხილოთ ჩვეულებრივი კუთვნილებითი შინაარსის გამომხატველი შესიტყვება. აღნიშნულ სინტაგმურ შენაერთში საზღვრულის კუთვნილების ამსახველი პირ-კლასისა და რიცხვის ექსპონენტები შეწყობილია წინამავალ მსაზღვრელთან: აჳწა **დ**-ჯელფა „მამაკაცის ქუდი“ („მამაკაცი მისი-ქუდი“), აფჰ°გს **ლგ**-კას „ქალის თავსაფარი“ („ქალი მისი-თავსაფარი“) და სხვ.

ამგვარი გაფორმებისაგან განსხვავებულია ფართოდ გავრცელებული (მსაზღვრელი) არსებითი სახელის შემცველი შენაერთი, რომელშიაც სახელები წმინდა ფუძით, ყოველგვარი კუთვნილებითი თუ სხვა მაწარმოებელი ელემენტების გარეშე გვევლინება: ჰაჯ°თძგ „ქვის სახლი“ („ქვა-სახლი“), რგზნა ჯელფა „ვერცხლის ქუდი“ („ვერცხლი-ქუდი“), ყაზაყ ჯელფა „კაზაკის ქუდი“ („კაზაკ-ქუდი“), ფჰ°გსფა ბრა „ქალიშვილის ნაწნავი“ („ქალიშვილ-ნაწნავი“), აჩ ფრგჩ° „ცხენის ფაფარი“ („ცხენ-ფაფარი“), ლა ჩ°ა „ძაღლის ტყავი“ („ძაღლ-ტყავი“), ღგნ ჩმ°გჩა „ზამთრის ტანსაცმელი“, ფხგნ მშგ „ზაფხულის დღე“ (ფხგნ მშგგ სქ°შგგ უარჩგძტ „ზაფხულის ერთი დღე მთელ წელიწადს გარჩენს, გამოგკვებავს“), გ°გლა ფჰ°გს „მეზობელი ქალი“ და მისთ. ეს წარმოებაც ერთიანი საერთო გაფორმების მქონეა.

ამ ტიპს მისდევს ხალხების აღმნიშვნელი სახელის ფუძეებიც მსაზღვრელის ფუნქციით: აბაზა ბგზშ°ა „აბაზური ენა“ („აბაზა ენა“), ქ°გრჯ ჰაწა „ქართველი კაცი“, ურგშ° ფჰ°გს „რუსი ქალი“ და მისთ.

ამათ რიცხვშივე უნდა განვიხილოთ ფშ°გ „სუნ“ სიტყვასთან დაკავშირებით თითქოს ატრიბუტული მსაზღვრელის განლაგების მიხედვით ანომალიური შემთხვევა: ბშა ფშ°გ „დამპალი სუნი“ და ჰ°ყ˝ა ფშ°გ „მჟავე სუნი“, შდრ. იქვე ჰ°ა ბშა „ვაშლი დამპალი“, კამბეცთა ჰ°ყ˝ა „კომბოსტოს მჟავე“ (შდრ. თაბულ.1976, გვ.69).

ამ შემთხვევაშიაც ბ შ ა და ჰ°ყ˝ა მსაზღვრელთა „ფშ°გ“-ს („სუნის“) წინ დასმა გამოწვეულია იმით, რომ ისინი გათანაბრებულნი არიან არსებით სახელებთან (ზედსართავის შინაარსით) და უნდა განიმარტებოდნენ როგორც „დამპალის სუნი“, „მჟავის, დამჟავებულის სუნი“, ისევე როგორც ეს გვაქვს არსებით სახელიან მსაზღვრელებთან: აშ° ფშ°გ „ყველის სუნი“ („ყველ-სუნი“), ყ°ან ფშ°გ „კამის სუნი“ („კამა-სუნი“) და მისთ.

აბაზურ ენაში რუსულიდან შესულ ამ რიგის სინტაგმებში ჩვეულებრივ ზედსართავის მაწარმოებელი ჩამოშორებულია და თვით სახელი მხოლოდ მარტივი ფუძითაა. ამავე დროს თუ აბაზურში ზოგჯერ ანალოგიურ შემთხვევაში დაცულ იქნა კიდეც რუსული ზედსართავის მაწარმოებელი ფუძეები, ისინი სქესის განურჩევლად იღებენ ...ска, ...ическа, ...на, ...овна დაბოლოებებს.

მიმართებითი ზედსართავები დროის ზმნისართთაგან შეიძლება ნაწარმოები იყოს რთული -ჳ°გჲ („განკუთვნილობის“) სუფიქსის საშუალებით, რომელიც დაისმის საზღვრული სახელის წინ: ჲაცგ „გუშინ“ — ჲაცჳ°გჲ მშგ „გუშინდელი დღე“, წგფხ „შარშან“ — წგფხჳ°გჲ გ°აძ „შარშანდელი ხორბალი“ და მისთ. თუმცა მათ გარკვეული ხელოვნურობის ბეჭედი აზის. უფრო ბუნებრივია აქაც წგფხ გ°აძ და მისთ.

ადგილმდებარეობის მხრივ ამ ტიპის ზედსართავის როლში გვევლინება სხვადასხვა სახის მიმღეობებიც (ზმნის ინფინიტური ფორმები), მაგ.: ჲ-შტგ-უ აჰა´ჯ° „ძირს მდებარე (რომელიც ძირსაა) ქვა“, ჲთაბაზ აძგ „დამშრალი წყალი“, ჲმაჰ°უა აჳაწა „მოცეკვავე მამაკაცი“ და მისთ.

ხარისხის წარმოება. შედარებითი თუ აღმატებითი ხარისხის გამოხატვა შესაძლებელია ატრიბუტულ მსაზღვრელთა ფუძეებისაგან.

აბაზურში, ისევე როგორც აფხაზურში, თვისების აღმნიშვნელ სახელთა წყებაში, რომელთა ძირებია -წა-, -ჰა-, -ღ˝-, -ფშა-..., ფუძის საწარმოებლად, შედარების ფუნქციით, გამოყენებულია საურთიერთო **ადა-** პრეფიქსი. ასე გართულებული ფუძეები (მაგ.: აჰბა „უფროსი“, აჲწბა „უმცროსი“, აფშგ „მსგავსი“...) შედარებითი

ხარისხის წარმოებისას ზმნის ფორმით წარმოგვიდგებიან. პრეფიქსებად წინ მიერთვის სუბიექტის D-ს რიგის მაჩვენებლები, ხოლო მომდევნოდ კუთვნილებითი პრეფიქსები შესადარებელი პირისა (L-ს რიგი): აუნაშ°ა აფნგ ასაბი ზგმშ°ა დ-რ-ა-ჰბაპ „ოჯახში ბავშვი ყველაზე უფროსია“ („იგი-მათ-შედარებით-მეტია“), დუდგრუა ამშ°ა ჯ°აჯ°ა დუგმდგრუა ამშ°ა რაჲშაა დ-[ა]-აღ´პ „ნაცნობი ოღრო-ჩოღრო (მოხრილი) გზა უცნობ სწორ გზაზე უკეთესია“ („იმასთან-შედარებით-უკეთესია“), დაუა, უარა ს-უ-აჲ-ჩ°-უმა სა?! „როგორ (რატომ), მე შენზე უარესი ვარ?!“

ამ რიგის წარმოებები უნდა ჩაითვალოს ტიპურად. ამის გვერდით წარმოქმნილია აღწერითი წარმოებები, რომლებშიაც შედარებისას გამოიყენება ზმნისართად ქცეული იგივე ძირები, III პირის მრ. რიცხვის ფორმაში გაქვავებული: რგწა, რა´ჰა: რა´ჰა დდგუზ „რაც უფრო დიდი იყო“, ბარა რაჰაგ´გ ბყაზაპგშტ! „შენ უფრო ოსტატი ყოფილხარ განა!“ ამ შემთხვევაში შედარების გასახაზავად შესადარებელ სიტყვას ჩვეულებრივ მოსდევს შესაბამისი კუთვნილების პრეფიქსდართული აცკგს//აწკგს//აწკგხ „ნაცვლად“, „შედარებით“, ხოლო ზედსართავისაგან ნაწარმოებ ზმნას ახლავს სათანადო პირ-კლასის ნიშნები: აქ°ტუ აწკგს აქ°ტაღ´ რგწა დ ა ნ გ°გ ბ ზ გ ღ ა ხ ა უ ა გ´გ შანშაგტ „ქათამზე უფრო კვერცხი რომ ჰკვიანი გამოდის, (ისეც) ხდება“, უაჰ°უ°გდ აჰამპაღ აბგა აწკგს უახჰ°აჰ°გდ აჰამპაღ ბჟა რ გ წ ა დ ა ღ´ პ „ხვალინდელ მთელ კვერზე უფრო უკეთესია დღევანდელი ნახევარი კვერი“, დზაჰ°გდა აუათ რ ა წ კ გ ს რ გ წ ა ბ ზ გ დ თ ა არაცა აჰ°გრთაქ°ა ზდგრუაზ? „ამათზე უფრო კარგად აქაური საძოვრები ვინ იცოდა?“ ადგუნედ დგქ°უ შაქგთგუ რაწკგხ დგფშაძაპ უჰ°არ მცგ გ´გუჰ°არგშ (ლომთ. 1944, ტექს. გვ. 15)“... ქვეყანაზე რაც არსებობს, ყველაზე უფრო ლამაზიაო რომ თქვა, ტყუილს არ იტყვი“.

შეიძლება მარტო აცკგს // აწკგს საკმარისი აღმოჩნდეს ზედსართავ სახელთან შეხამებული: უარა უაცკგს გ°გბზგღგ დჰაჲლაჩგდ აბნა შ°გრქ°ა დგ´რგლამ „ტყის მზეცებში შენზე ჰკვიანი და ეშმაკი არ იმყოფება (არ ურევია)“.

ანდაზების ენაში ამ რიგის წარმოებებში ხშირად გამოტოვებულია პრედიკატი (ატრიბუტული ზედსართავისაგან ნაწარმოები): აუგლ´კ აწკგს შ°აუგლ´კ „ერთ ჰკუას ორი ჰკუა ესჯობია“ („ერთი ჰკუის ნაცვლად ორი ჰკუა“). გამოტოვებულია ზმნა დაღ´პ „სჯობია“.

ატრიბუტული მსაზღვრელის აღმატებითი ხარისხის გამოსახატავად გამოიყენება ინტენსივობის **-ძა**: აჰბა-**ძა** „სულ უფროსი“, აჲწბა-**ძა** „სულ უმცროსი“.

თვისების უფრო გაძლიერებით გამოხატვისათვის გვხვდება ეს **-ძა** გაორკეცებული **-ძძა**-ს სახითაც. იგი ჩვეულებრივია დგჷ („დიდი“), ბზგჲ („კარგი“) და მსგავს სიტყვათა ძირებზე დართული: დგჷ**ძძა** „სულ დიდი“, „დიდზე დიდი“, ბზგჲ**ძძა** „უკარგესი“, „კარგზე კარგი“.

ამა თუ იმ თვისების გახაზვისათვის ენა ხშირად მიმართავს ზედსართავი სახელის ფუძის გაორკეცებას, ან ზედსართავის ფუძეზე ამა თუ იმ ელემენტების (წარმოშობით ცალკე სიტყვათა ფუძეების) დართვას. „თეთრს“, მაგალითად, შეიძლება დაერთოს -სჷშჶ: შჶკ°ოკ°ა სჷშჶ — „ას შჶკ°ოკ°ასშჶთა ათძაქ°ქ°ა რფნჷ ჲკკჷჲტ „თოვლი თეთრ-სპეტაკი (თეთრ-სპეტაკად, თეთრ-გაპენტილად) სახლის სახურავებზე ბზინავს (ანათებს)“. „შავს“ დაერთვის -ვჷნდ: ქ°აჲჴ°ავჷნდ „ყურყუმა შავი“ და მისთ.

ზოგი ატრიბუტული მსაზღვრელი **-ჩ°ა** სუფიქს-ნაწილაკით გამოხატავს თვისების გადამეტებულ ხარისხს: დგჷ „დიდი“, დგჷ-ჩ°ა „მეტად, ძალიან დიდი“, აჷ „გრძელი“, აჷ-ჩ°ა „ფრიად, მეტად გრძელი“ და მისთ.

აღმატებითი ხარისხის შინაარსის გადმოსაცემად აღწერითი წარმოებაც გამოიყენება შემდეგი ტიპისა:

შჴათა ჲჷჵუ ზგმჵ°ა ჲრჷშჴუ

ჴათა ჲჷჵუ ზგმჵ°ა ჲრჴუ (ჩიკატუევი) „ყველაზე დიდი მთა, ყველაზე დიდი თავი“ (ზედმიწევნით: „მთად რაც არის, ყველა მათი-მთა რომელიც-არის“, „თავი რაც-არის, ყველა მათი-თავი რომელიც არის“). აქ ჯერ სახელია ვითარებით ფორმაში, რომელიც შეწყობილია „ყოფნა“ ზმნის აწმყოს მიმღეობურ ფორმასთან, შემდეგ მოდის შემკრებლობითი ნაცვალსახელი „ყველა“ და ბოლოს იგივე სახელი სტატიკური ზმნის აწმყოს მიმღეობური ფორმით, რომელშიაც „ყველას“ შესაფერი მრავლობითი რიცხვის **რ-** პრეფიქსიც არის წარმოდგენილი.

(გ) ნაცვალსახელი

პ ი რ ი ს   ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი. პირის ნაცვალსახელი სამსავე პირს აქვს. მათ გავრცობილ სახეობას ერთვის **-რა** სუფიქსი. II პ. მხ.რ.-ში გატარებულია ადამიანთა კატეგორიაში დაყოფა მამაკაცისა

და ქალის ქვეკლასებად: **ჭარა** „შენ (მ)“, **ბარა** „შენ (ქ)“. ნივთის კატეგორიის სახელში მიმართვისას განზოგადებული სახით გვხვდება იგივე მამაკაცის **ჭარა** ნაცვალსახელი (ეე, **ჭარა** ჩჲგ-მცჰ°ა! „ე, შენ, მატყუარა ცხენო!“ და მისთ.). III პირში ქალთა ქვეკლასს თავისი ნაცვალსახელი (**ლარა**) აქვს. მამაკაცისა და ნივთის კატეგორიას საერთო **დარა** ნაცვალსახელი ემსახურება, თუმცა კუთვნილებითსა და სხვა ამ რიგის ფორმებში, რომლებშიაც პირ-კლასებია ასახული, ისინი განსხვავებული ნიშნებით არიან წარმოდგენილნი.

მრავლობით რიცხვში გარჩეული არ არის კლასებად თუ ქვეკლასებად დაყოფა.

ე.წ. გაუვრცობელი სახეობები აკლია III პირის მხ.რ. მამაკაცთა (ასევე ნივთის) და მრ.რ. ნაცვალსახელებს.

ტაბულა

	გავრცობილი ფუძე	გაუვრცობელი ფუძე
	მხ.რ.	
I პ.	**სარ**	**სა**
II პ.	მ. **ჭარ**	**ჭა**
	ქ. **ბარ**	**ბა**
III პ.	მ., ნ. **დარ**	—
	ქ. **ლარ**	**ლა**
	მრ.რ.	
I პ.	**ჰარ**	**ჰა**
II პ.	**შ°არ**	**შ°ა**
III პ.	**დარ**	—

არავითარი შინაარსობრივი სხვაობა გავრცობილსა და გაუვრცობელ სახეობათა გამოყენებაში არ შეინიშნება, თუმცა ზოგ შემთხვევაში აშკარად ჭარბობს გაუვრცობელი ფუძის ხმარება (მაგ., კუთვნილების გამოხატვისას, ზმნა-კოპულის თანხლების დროს), ზოგში კი გავრცობილისა, მაგ., ფორმათა ცვლისას (იხ. ქვემოთ).

მიუხედავად იმისა, რომ პირის ნაცვალსახელები III პირშიაც შეიძლება გვქონდეს (შდრ. **დარა დმაჲტ** „ის [მ] მოვიდა“, **დარა მაჲტ** „ის [ნ] მოვიდა“, **ლარა დმაჲტ** „ის [ქ] მოვიდა“, **დარა ჯაუფ აჲდარჰ°ატ** „მათ პასუხი გასცეს მას“ და მისთ.), მათ ჩვეულებრივ ცვლის ჩვენებითი ნაცვალსახელები: **აუჭჲ დმაჲტ** „ის (მამაკაცი,

ქალი) მოვიდა", აჳჷჲ შაჲტ „ის (ნ) მოვიდა", აჳათ შაჲტ „ისინი მოვიდნენ" და სხვ.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ III პ. ნაცვალსახელები ხშირად გვევლინებიან *მითითების* ფუნქციით, გამოხატავენ შინაარსს „*სწორედ* ის/ისინი, *თავად* ის/ისინი, *თვითონ*" და სხვ.

დაახლოებით ეს შინაარსი (თავად, თვითონ) მათ მაშინაც ახლავთ, როცა ისინი პირის ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებენ. მაგ., სოსრჷყ°ა ნართგრშა სოსრგყ°ა-ჰ°ა ჲჷფხ́გჲტ, აჳა́სა *ჲარა́* ნა́რთგრშა დგ́რჷჳამ „სოსრუყვას ნართ-სოსრუყვას (ნართთა სოსრუყვას) უწოდებენ, მაგრამ იგი ნართებს არ ურევია", მგრზაყან შაპჷლა აშკა ამგჲდახ́ატ. ჳახ́ჴ°აგ́ჷ აჳათ აშკაქ°ა ზჷმშ°აგ́ჷჲ *ჲარა́* დგრდჷრგჲტ „მურზაყანს ფეხით ბევრი მთა მოუვლია. დღეს ყველა ეს მთა *მას* იცნობს" და მისთ.

სტილური მოტივაციის ნიადაგზე ეს ნაცვალსახელები მაშინ უფროა ჩვეულებრივი, როცა ფრაზაში ორი III პირის ერთნაირი ნაცვალსახელია მოსალოდნელი: ერთი მათგანი ჩვენებითი ნაცვალსახელით იქნება გამოხატული, მეორე პირის ნაცვალსახელით. მაგ., „აჳათ აჩჷქ°ა́ შაუზგრჷცგჳა სა საკ°აპ" — ლჰ°ატ. **ჲარა აჳჷჲ** გ́ჷჲმჷჳტ" „ამ ცხენების შენთვის მომრეკავი მე ვარო", — თქვა ქალმა. *მან ეს* არ დაიჯერა" და მისთ.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აბაზურში გარჩეულია ინკლუზივი და ექსკლუზივი I პ. მრ. რიცხვში — **ჰარა** („ჩვენ") გადმოსცემს ინკლუზივს, ხოლო მას უპირისპირდება ექსკლუზიური *ჰარა́ბარათ* „ჩვენ" (შენ გარეშე). ამისვე ანალოგიით არის ახსნილი იქვე არსებული II პ. მრ.რიცხვის ფორმა *შ°არაბარათ* (გენკო, 1955, 96).

აბაზურში **ჰარა́, შ°არა́, დარა́** ნაცვალსახელთა გვერდით მრავლობით რიცხვში არსებობს აგრეთვე:

I პ. მრ. რ.	**ჰარა˹ბა˺რა́თ**
II პ. მრ.რ.	**შ°არა˹ბა˺რა́თ**
III პ. მრ.რ.	**დარა˹ბა˺რა́თ (//ჲარარათ)**

ამ შემთხვევაში ჩვენთვის უკვე ცნობილ **ჰარა́, შ°არა́, დარა́** პირის ნაცვალსახელებს *მითითება—ჩვენების* გასახაზავად დამატებით ერთვის მრავლობითი რიცხვის ჩვენებითი ნაცვალსახელი *აბარა́თ/არა́თ* „ესენი" და გამოდის ახალი სემანტიკის შემცველი ჰარა˹ბა˺რა́თ < ჰარა+აბარა́თ „ჩვენ-ესენი" ე.ი. „სწორედ, სახელდობრ ჩვენ", შ°არა́˹ბა˺რა́თ < შ°არა+აბარა́თ „თქვენ-ესენი", ე.ი.

„სწორედ, სახელდობრ თქვენ“ და დარა́ბა̀რა́თ < დარა́+აბარა́თ „ისინი-ესენი“ („ეს-ისინი“), ე.ი. „სწორედ, სახელდობრ ისინი“.

ამა თუ იმ პირის ჩარიცხვა—გამორიცხვის მიხედვით კი არ უპირისპირდებიან აღნიშნული ფორმები ერთმანეთს, არამედ მითითების, ხილულობის გახაზვით: ჰარაბარათ ნიშნავს „სწორედ, თავად, სახელდობრ ჩვენ“, „ესენი ჩვენ“, ე.ი. აქ, თვალწინ ვინც ვიმყოფებით, ყურადღებას ვისზედაც აქცევს, იმის გახაზვით. აქ, რა თქმა უნდა, შეიძლება იგულისხმებოდეს **„მე და შენ“, „მე და თქვენ“, „ჩვენ და შენ“, „ჩვენ და თქვენ“**. ამ ფორმების დანიშნულება როდია რომელიმე პირის გამორიცხვა, არამედ მითითების გახაზვაა არსებითი. ასეთი გახაზვის ტენდენცია მეტად დამახასიათებელია აბაზურისათვის (და აფხაზურისთვისაც). იგი ჩვეულებრივი მოვლენაა მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელებშიც (ლომთ. 1967).

„ინკლუზივ-ექსკლუზივის“ გამოხატვა, ან ამა თუ იმ პირის ჩართვა თუ გამორიცხვა ენას შეუძლია გადმოსცეს ზმნური კატეგორიებით, რომლებშიაც ასახულია პირთა თანამონაწილეობა. ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმაში ერთიანდება სხვადასხვა პირი მაშინ, როდესაც ეს პირები კონკრეტულად მითითებულია ფრაზაში. მაგ.: ჵარჷჲ სარჷჲ ჰ-ა-ც-ცჷჲტ „მე და შენ ერთად მივდივართ“ (შდრ. ჵარა სარა ჵ-სჷ-ც-ცჷჲტ „შენ ჩემთან ერთად მოდიხარ“) და მისთ.

პირის ნაცვალსახელებს იშვიათ შემთხვევაში შეუძლია აწარმოოს ვითარებით-გარდაქცევითი „ბრუნვის“ ფორმა. მაგალითად, ნაცვალსახელის სრული ფუძისაგან შეიძლება ეს ფორმა ვაწარმოოთ, როცა უნდა გამოიხატოს ბავშვის მშობლებთან მსგავსება: ჲარა́-**თა** დგჷლაპ „იმად (მამაკ.) დგას“ ე.ი., „იმის (მამაკ.) მსგავსი არის (გახდა, დადგა)“.

მოქმედებითი ბრუნვის **-ლა** უშუალოდ ერთვის ნაცვალსახელთა სრულ ფუძეს: სარა́-**ლა** „ჩემით“, ჵარა́-**ლა** „შენით (მ)“ და სხვ. ასევე უქონლობის **-დჲა** უშუალოდ ერთვის ნაცვალსახელის სრულ ფუძეს: სარა-**დჲა** „ჩემ გარეშე“, „უჩემოდ“.

მარტივ ფუძეს აღნიშნული სუფიქსური ელემენტები არ ერთვის. შეიძლება იშვიათად შეგვხვდეს მხოლოდ პირის კუთვნილებით პრეფიქსდართული სახეობა: სჷ-**და** („უჩემოდ“, „ჩემ გარეშე“) ტიპისა (და ისიც ქალთა მეტყველებაში, მაგ.: სჷ**და** ჵანჷმჷ̆ჷ ჲგ̆ჷზსჷრრჷჵშჵგმ „მე მარტოც რომ დავრჩე, არ ვაპატიებ“).

ნაცვალსახელებს თან ახლავთ კუთვნილებითი პრეფიქსებით გაფორმებული თანდებულები: სარა (// სა) ხ-ფნგ „ჩემთან“, შარა (// შა) შგფნჭძა „შენამდე“, ლარა (//ლა) ლჭკაზ // ლჭკაზლა „მისთვის“ და სხვ.

პირის ნაცვალსახელებს ერთვის სხვადასხვა ნაწილაკები: კავშირისა -ჲ (სარჭ-ჲ შარჭ-ჲ „შენ-და მე-და“), -გ˝ჭჲ (შარ-გ˝Ž ჲ სარ-გ˝ჭჲ „შენცა და მეც“), კითხვითობის -ჲ: სარჭ-ჲ? „მე?“ გასაძლიერებელი -ბჭრგ: სარა-ბჭრგ „სწორედ მე“ და სხვ.

ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი. სამი რიგის დაყოფაა გატარებული ჩვენებით ნაცვალსახელებში (და სათანადო ადგილისა და ვითარების ზმნისართებში): I. მოსაუბრესთან ახლოს მყოფი (ხილული), II. მოსაუბრესთან მოშორებით მყოფი (ხილული) და III. მესამე პირთან მყოფი.

ფუძედ გამოყენებულია ადგილის (და ვითარების) ზმნისართებთან საერთო ფუძე და ერთვის მას მხ.რიცხვში -ჲ, მრ. რიცხვში -თ, რომლებიც მომდინარე ჩანან სათანადო პირის ნაცვალსახელთა ძირებისაგან (ლომთ. 1954ª).

ფუძე გვხვდება მარტივი და ბა ელემენტით გართულებული:

	მხ.რ.	მრ.რ.
I	ა-რჭ-ჲ // ა-ბა-რჭ-ჲ „ეს“	ა-რა-თ // ა-ბა-რა-თ „ესენი“
II	ა-ნჭ-ჲ // ა-ბა-ნჭ-ჲ „აგე ის“	ა-ნა-თ // ა-ბა-ნა-თ „აგე ისინი“
III	ა-უჭ-ჲ // ა-ბა-უჭ-ჲ „ის“	ა-უა-თ // ა-ბა-უა-თ „ისინი“

ჩვენებითი ნაცვალსახელები მეტი დაზუსტებისა და ამ ჩვენებითობის გახაზვის მიზნით ჩვეულებრივ (განსაკუთრებით სასაუბრო ენაში) დაირთავენ შესაბამის ადგილ-მიმართულების ზმნისართებს (რომლებიც შეიცავენ გაქვავებულ ახ˝ თანდებულს) და მიიღება: არახ˝ არჭჲ... „აქეთ ეს, ეს აქეთა“, არახ˝ არათ „აქეთ ესენი“, ანახ˝ ანჭჲ „აგე იქითა“, ანახ˝ ანათ „აგე იქითანი“, აუახ˝ აუჭჲ „იქით ის“, „ის იქითა“, აუახ˝ აუათ „იქით ისინი“ და სხვ.

მითითებითი ნაცვალსახელი ანჭჲ/ანახ˝ ანჭჲ შეიძლება დაპირისპირებისას გამოყენებულ იქნეს „სხვა“ ნაცვალსახელის გადმოსაცემად. მრავლობით რიცხვში ამ ფუნქციით გვხვდება ა ნ თ - ა ხ˝ გ˝ გთ „სხვები“, „დანარჩენები“ (ლოუ ჲფა დანდჭქ დგრკგნ ან- თ ა ხ˝ გ˝გთ აურჭშთჭხტ „ლოუს ძე დანდიქი დააკავეს და დანარჩენები / სხვები გაუშვეს“ (ლომთ. 1944, გვ.96).

ჩვენებითი ნაცვალსახელები მსაზღვრელად გამოყენებისას სასაუბრო ენაში ელიზიის შედეგად ხშირად მოკვეცილი ფუძით გა-

მოდის: აუ' ათოფ „ის ბურთი“ და მისთ. საერთოდ სასაუბრო ენაში აღნიშნულ ნაცვალსახელთა ნაირგვარი ფონეტიკური ვარიანტები გვხვდება. ჩვენებით ნაცვალსახელებს თანდებულები და ნაწილაკები იმავე წესით მიერთვის, როგორც პირის ნაცვალსახელებს.

მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელები მრავლობით რიცხვში შეთანხმებულია არსებით სახელთან: აბარა თაუგსქ°ა „ეს'ენი' საქმეები“.

მრავლობითი რიცხვის ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუძეს შეიძლება დამატებით დაერთოს **-ქ°ა** მრავლობითის სუფიქსიც ნივთთა გრამატიკული კლასის მრავლობითობის გამოსახატავად (არათ ამ°გჯ აბარათქ°ა უანბარჰ°უაზ აშან „ეს ორნი ამაებს როცა გეუბნებოდნენ“).

ჩვენებით ნაცვალსახელებს თავის მხრივ მეტი სიზუსტის გადმოსაცემად ერთვის ხოლმე პირის ნაცვალსახელი: ჲარა' აუგჲ „სწორედ ის“ და სხვ.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი, როგორც დამოუკიდებელი ნაცვალსახელოვანი ერთეული, აბაზურს არა აქვს, რამდენადაც კუთვნილებას გამოხატავს სათანადო პირ-კლასის პრეფიქსები, რომლებიც წინ მიერთვის ვისთვისმე ან რისთვისმე განკუთვნილ სახელს: (სარა) **სნაპგ** „ჩემი ხელი“ („მე-ს“ -ხელი), უარა უნაპგ „შენი ხელი“ და ა.შ.

დამოუკიდებლად კუთვნილება გამოიხატება ამ შინაარსის მქონე **ჳ°** ძირით, რომელსაც წინ იგივე კუთვნილების პრეფიქსები მიერთვის: სარა **ს-ჳ°გ** რჲწა ჲშარდაპ „ჩემი კუთვნილი უფრო მეტია“ და სხვ.

კუთვნილების ასეთი გამოხატვისას ჩვეულებრივ ამ ფორმას თან ახლავს შესაბამისი ნაცვალსახელებიც როგორც სრული, ისე მარტივი ფუძით, ოღონდ III პ. **ჲარა** და **ჲარა** ნაცვალსახელები მარტივი სახისა არ იხმარება. დანარჩენ პირებში კი უფრო გავრცელებულია მარტივფუძიანი ნაცვალსახელები, პროკლიტიკად ქცეულნი: სარა / სა-ს-ჳ°გ „ჩემი“, ჰარა / ჰა-ჰ-ჳ°გ „ჩვენი“, უარა / უა-უ-ჳ°გ „შენი“ (მ.), ბარა / ბა-ბ-ჳ°გ „შენი“ (ქ.)“, შ°არა / შ°ა — შ°-ჳ°გ „თქვენი“, ლარა / ლა-ლ-ჳ°გ „მისი (ქ.)“, ჲარა (აუგჲ) ჲ-ჳ°გ „მისი (მ)“, ჲარა (აუგჲ) ა-ჳ°გ “მისი (ნ.)“, დარა (აუბთ) რ-ჳ°გ „მათი“...

კუთვნილებით-უკუქცევითი შინაარსი შეიძლება გამოხატოს პირის ნაცვალსახელმა სათანადო კუთვნილების გამომხატველ ფორმაზე დართვით, რამდენადაც ის განსაზღვრებითი შინაარსით გა-

მოდის, მაგ.: აჟ̌ჷდ გ°ჷმხა დარá დჴ°ჷ ალადწგდტ „ცუდი მჭედელი თავისას (თავის საკუთარს, კუთვნილს) უმატებს“.

ამავე დანიშნულებით გამოყენებულია ჴათაჴ°გ, რომელიც წარმოადგენს ჴათა („თავად“) ფუძეზე დართულ კუთვნილების **ჴ°გ** ძირს: სარა სჴათაჴ°ჷ „ჩემი საკუთარი“ და სხვ.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი. განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ფუნქციით სხვადასხვა საშუალება გამოიყენება. „ყოველი“, „თითოეული“ არის **დასჷჳ** (áჸ°მ°ანდ ანდდჳá დასჷჳ დცა დáსგდტ „როცა ცა გვრგვინავს, ყველა თავის სასიმინდეს სცემს (ეცემა)“. იგი ადამიანთა კატეგორიაში გვხვდება. ასევე ენა მიმართავს ზმნურ ფუძეს პირობითს კილოში — დზაჴ°გზლაკგ́ჷდ („ვინც გინდ იყოს“), დზაჴ°გზლაკგ́ჷდ („რაც გინდ იყოს“) და მისთ., რომლებიც როგორც ზმნური ამოსავლის მქონენი, განირჩევიან ადამიანთა და ნივთთა კატეგორიების მიხედვით.

ანალოგიური ფუნქციით გამოდის პრეფიქსული ნაწილაკი ანსí (ანსí-მშჷგგ́გ „ყოველი დღე́ც“), სუფიქსური ფუძეები — ჵაძა (მშჷ-ჵაძá) და კონტამინირებული (ანსი-მშჷ-ჵაძá „ყოველი დღე“), -(დ)- ფხ́აძა (ჴ°გც-დფხ́აძა „ყოველი თმის ბეწვი“).

„ყველა“ არის ზგმჵ°á, ზგმჵ°აგ́ჷ. ადამიანთა კლასში დამატებით იხმარება ზგმჵ°აძჷჳგ́გდ და შჷქჷთგჳ, შჷქჷთგჳგ́გდ. შჷქჷთგჳ(გ́გდ) მომდინარეობს ქგთ („სოფელი“) სიტყვიდან და წარმოადგენს ზმნის აწმყოს საგარემოებო ფორმას „როგორც-სოფელია“, ე.ი. „მთელი სოფელი“. აქვს პირის ფორმებიც: მაგ., ჳშჷქჷთგჳ ჳჵადგ°á „შენ სულ (სხვებთან ერთად) შემოდი, შემობრძანდი!“

„თვით, თავად“ განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ფუნქციით, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოდის პირის ნაცვალსახელები. ამავე დროს ამ ფუნქციით აბაზურში ძალზე გავრცელებულია პირის ნაცვალსახელთა განმეორება: სარá-სარá „მე თვით“, ბარá-ბარá „შენ თვით (ქ.)“, ლარá-ლარá „ის (ქ.) თვით“, დარá-დარá „ისინი თვით“ (შ°არá—შ°არá შ°áფხ́ა! „წაიკითხეთ თვითონ!“) და სხვ.

გამოიყენება ამასთანავე ჴა „თავი“ სიტყვისაგან ნაწარმოები ჴათá-(ლა) ფუძე, კუთვნილებითი პრეფიქსებით გაფორმებული: სჴათა́ლა̀ („მე თვით“), ბჴათá́ლა̀(„შენ(ქ.) თვით“) და მისთ.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი. ამ ფუნქციით გამოიყენება ერთი რიცხვითი სახელი, გარჩეული ადამიანთა და ნივთთა კლასების მიხედვით: ზაკ́ჷ̀ (აკ́ჷ̀) „რამე“: ზაკჷ́

ბბგატ „რაღაცას ხედავ“, კარა „რამე“: კარა უჰ°ამა? „რამე თქვი?“, ზაჯ°რ̃გ̃ (აჯ°რ̃გ̃) „ვინმე“, „ვიღაც“: ზაჯ° დმაგტ „ვიღაც მოვიდა“. მსაზღვრელად გამოყენებული ზაჯ°გ̃კ, რომელსაც „მარტო“-ს გაგება აქვს, კლასების განურჩევლად ერთვის ყველა სახელს; ზჯაკგ̃ „რამე“, „რაღაც“, „ვინმე“, „ვიღაც“ და სხვ. (განუსაზღვრელი ნაცვალსახელის გადმოსაცემად გამოიყენება ზმნის ინფინიტური ფორმებიც).

ეს განუსაზღვრელი ნაცვალსახელები გაორკეცებული სახითაც გვხვდება: ზაკ-მაკგ̃ „რამე-რუმე“, ზაჯ°-მაჯ°გ̃ „ვინმეები“...

ა- პრეფიქსდართული ზჯაკგ̃ (აზჯაკ) ნიშნავს: „ერთნი“, „ზოგი“. იგივე ფუძე გვხვდება სამსავე პირში მრავლობითი რიცხვის კუთვნილებით პრეფიქსთა დართვით და გამოხატავს „მრავლისაგან ზოგს“: ჰგ̃ზჯაკ „ზოგი ჩვენგანი“, შ°გ̃ზჯაკ „ზოგი თქვენგანი“, რგ̃ზჯაკ „ზოგი მათგანი“.

კ ი თ ხ ვ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი. ცალკე, დამოუკიდებლად კითხვითი ნაცვალსახელები აბაზურს არა აქვს. ნაცვალსახელოვანი კითხვითი ფორმები აქვს ზმნას, რომელშიაც განირჩევა ადამიანისა და ნივთის კლასი. შეკითხვისას თითქოს ცალკე კითხვით სიტყვად არსებული დზაჭ°გ̃და, დაზგ̃უდა, დგ̃ზდა და სხვა პირის წარმოებები (ადამიანთა კლასის მიმართ) და ჲზაჭ°გ̃და, აჭ°გ̃და (ნივთთა კლასის მიმართ) თავად წარმოადგენენ ზმნის ფორმებს.

მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი არა აქვს დამოუკიდებლად აბაზურს. ესეც გამოხატულია ზმნის სათანადო წარმოებაში (იხ. აქვე, გვ. 66).

უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი დამოუკიდებლად არა აქვს აბაზურს. იგი ამ მიზნით იყენებს განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს. მათ ჩვეულებრივ ურთავს -გ̃გჲ (ქართ. „-ც“) ნაწილაკს (ზაჯ°-გ̃გ̃ჲ) და უხამებს უარყოფითი წარმოების ზმნას: ზაჯ°გ̃გ̃ჲ დგგ̃ზგშბატ „არავინ მინახავს“, ზედმიწევნით: „ვინმეც არ ვნახე“ და მისთ. ზოგჯერ შეკითხვის პასუხად შეიძლება მარტო ზ ა ჯ°გ̃გ̃ ჲ, ზაკგ̃გ̃ჲ უპასუხონ, მაგრამ უარყოფითი ზმნა მუდამ ივარაუდება პასუხში.

უ კ უ ქ ც ე ვ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ჩა- მორფემით მხოლოდ ზმნასთან დაკავშირებით გამოდის (იხ. აქვე, გვ. 87). უკუქცევით-კუთვნილებითი „თავისი“ გამოიხატება „ჰათაჭ°გ̃“-თი (იხ ქვემოთ).

ს ა ე რ თ ი ე რ თ ო ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი დამოუკიდებლად არ არსებობს. პირთა საერთიერთო კავშირი ზმნაში გამოიხატება სათანადო აფიქსებით (იხ. ქვემოთ).

ზოგადი დახასიათება

აბაზური ზმნური კომპლექსი ფრიად რთულია (რითაც ერთგვარად კომპენსირებულია სახელის კატეგორიათა შედარებითი შეზღუდულობა). ზმნური ძირები მეტწილად ერთი მარცვლით ან ცალკეული თანხმოვნით არის წარმოდგენილი. ძირს წინ და ბოლოს ერთვის სხვადასხვა ფორმის მცვლელი და დერივაციული მორფემები.

გასარჩევია ზმნური კომპლექსის ორი სახეობა: 1. ფინიტური, რაც ზმნის ჩახშულ კონსტრუქციაზე მიუთითებს და 2. ინფინიტური, რაც ზმნის ჩაუხშავ კონსტრუქციას გამოხატავს.

შესაბამისად ნაწილობრივ განსხვავებულიც არის პრეფიქსად და სუფიქსად დართული მორფემები.

ფინიტურ ზმნურ კომპლექსს პრეფიქსად შეიძლება ჰქონდეს: თავიდან პირველ ადგილზე D-ს რიგის პირ-კლასის ექსპონენტები, მომდევნოდ კი შემდეგი თანამიმდევრობით: დადასტურების ნაწილაკი (ორიც კი, ოღონდ განსხვავებული დანიშნულებისა), მიმართულების პრევერბები, ირიბი ობიექტის L^{o} რიგის პირ-კლასის ექსპონენტები, ლოკალური პრევერბი ან ირიბი ობიექტის პრეფიქსი თავისი სამიმართებო და სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი (ქცევის, თანაობის, საურთიერთო მოქმედების, პოტენციალისის, უნებურობის...) მორფემებით, სუბიექტის L^{s} რიგის პირ-კლასის ნიშანი, კაუზატივის მაწარმოებელი, უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი.

ძირს მომდევნოდ შეიძლება ჰქონდეს ორიენტაციის სუფიქსი, სხვადასხვა მოდალობისა (ინტენსივობა, კვლავობა...), კილოსა და დროისა, უარყოფისა და ფინიტობის სუფიქსები.

ინფინიტურ ზმნურ კომპლექსს ყველა მითითებული პრეფიქსული ელემენტი შეიძლება ჰქონდეს (ოღონდ მხოლოდ ერთი დადასტურებითი ნაწილაკი) და ამავე დროს დამატებით ერთვოდეს უშუალოდ D-ს რიგის აფიქსთა მომდევნოდ სხვადასხვა საგარემოებო (მიმართებითი და რთული კითხვითი) ელემენტები.

სუფიქსად ინფინიტურ ზმნას აღარ აქვს უარყოფისა და ფინიტობის გამომხატველი მორფემები (უარყოფის სუფიქსაცია სტატიკური ზმნის დამახასიათებელია ინფინიტურ ფორმაში). შეიძლება ბოლოს დაერთოს კითხვითი აფიქსი.

ერთ ზმნურ კომპლექსში, ცხადია, ბუნებრივი არაა წარმოდგენილი იყოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი ერთდროულად.

სუპლეტიზმის თავისებური სახეობაა ძირეულ ელემენტთა გაორკეცება მხოლოობით-მრავლობითის (ან მრავალგზისი და ინტენსიური მოქმედების) დაპირისპირებისას:

შათტარა́ „მასიდან გადმოღვრა": აშაჸ°ა́ძა შათტა́ტ „ცომი გადმოიღვარა"

შათტტარა́: ახკჷ შათტტა́ტ „არაჟანი (მკვრივი სითხე) გადმოიღვარა ბლომად"

ჩ°არა „წოვა": აჰ°ჷს აჲან ა-ჩ°გჲტ „ხბო დედას წოვს"

ა́წ-ჩ°ჩ°-შარა: აჰ°ჷს აჲა́ნ წ-ნა-ჩ°ჩ°შა́ჲტ „ხბო დედას ძლიერ წოვს"

ფჸრა „გაპრა": აგ°ჷშ°გ́ჷჲ აწლა ფნა́ჸგჲტ „წალდიც პრის ხეს"

ფჸჸრა: აჩ°ა́ ფჷრჸჸჷ́ტ „ტყავი დაპრეს მრავალ ნაწილად" და სხვ. მრ.(ლომთ. 1940; ლომთ. 1976, 204-205).

ერთეულ ფუძეებში იცვლება ძირეული ელემენტები სუბიექტების თუ ობიექტის თავისებურებასთან (სიმსუბუქე, სიმძიმე, სიმრავლე) დაკავშირებით:

კა́ჟრა: ა́წლა კა́ჲეტ „ხე წააქცია"

კაჰარა́: ასაბჷჲ დკა́ჰატ „ბავშვი დავარდა, წაიქცა"

კაშ°(ა)რა: ა́წლა აბლ́ჷ შაკაშ°ა́ტ „ხის ფოთოლი ჩამოვარდა"

კაფსარა: აშ°ჸაბჷლ́ქ°ა კარფსატ „ქაღალდის ფურცლები გადაყარეს" და სხვ.

აბაზურში განირჩევა გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები. ყველა ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია. პოლიპერსონალური ზმნა შეიძლება გარდაუვალიც იყოს და გარდამავალიც. ვინაიდან აბაზურს არა აქვს ძირითად ბრუნვათა სისტემა, ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობა განისაზღვრება პირ-კლასის პრეფიქსთა რიგებით და მათი ზმნის ფორმაში ადგილმდებარეობით. გარდამავალია ზმნა, თუ მას აქვს უახლოესი (პირდაპირი) ობიექტი. ერთი და იგივე ზმნური ფუძე შეიძლება გარდამავალიც იყოს და გარდაუვალიც იმისდა მიხედვით, აქვს თუ არა უახლოესი ობიექტი. გარდამავლობა-გარდაუვალობის თვალსაზრისით ასეთი ცვალებადი (ლაბილური) კონსტრუქციის ზმნები სხვაობას ავლენენ როგორც უღვლილების მთელი სისტემის, ისე ზმნის ფუძის შედგენილობასთან დამოკიდებულების მიხედვით, მაგ., შდრ. გარდაუვალდინამიკური: ს-ფჸგჲტ „ვაპობ (საერთოდ)", დშ°გჲტ „იწყევლება

(საერთოდ)“... და გარდამავალი: ჲ-ფჷ-ს-ყჷ́ჲტ „ვაპობ მას (მაგ., შეშას)“, დჷ-ლ-შ°ჷ́ჲტ „წყევლის მას“ და მისთ.

გარდაუვალი ზმნა სტატიკურიც არის და დინამიკურიც. ყველა გარდაუვალი ზმნის (მეშველი სტატიკური აკ° ზმნის გარდა) ფორმაში პირველ ადგილას არის D-ს რიგის სუბიექტის ნიშანი (ს-ცჷჲტ „მივდივარ“). ორპირიანად გარდაუვალი ზმნა იქცევა ქცევის ან რომელიმე სხვა სამიმართებო (ირიბი მიმართების) პრეფიქსის დართვის შედეგად. ამ შემთხვევაში მეორე ადგილზე დაისმის L°-ს რიგის ირიბი ობიექტის პირ-კლასის პრეფიქსი, რომელსაც თან ახლავს სამიმართებო პრეფიქსული მორფემა (ს-ლჷ-ზ-ცჷჲტ „მე-[მასთან (ქ.)], მის(ქ.)თვის, [მისად]-მივდივარ“).

გარდაუვალი ზმნა შეიძლება სამპირიანიც იყოს. შესაბამისად მას დაემატება L°-ს რიგის მეორე ირიბი ობიექტის პირ-კლასის ნიშნები და სათანადო, მეორე ირიბი მიმართების პრეფიქსული მორფემა (ს-ჟჷ-ზ-ლჷ́-ც-ც-ჷჲტ „მე შენთვის — მასთან (ქ.) — ერთად -მივდივარ“).

გარდამავალი ზმნა დინამიკურია. იგი უთუოდ პოლიპერსონალურია.

გარდამავალი ზმნის ფორმაში პირველ ადგილას დგას უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის D-ს რიგის პირ-კლასის ექსპონენტები. როცა ზმნა ორპირიანია, მას მოსდევს მეორე ადგილზე, ზმნის ძირეული ნაწილის წინ L^s-ს რიგის პირ-კლასის ნიშანი (ჲჷ-ს-ჰ°ა́ტ „ის(ნ.)-მე-ვთქვი“). თუ გარდამავალი ზმნა სამპირიანია, პირველ ადგილას აქაც დაისმის D-ს რიგის უახლოესი ობიექტის ნიშანი, მომდევნო მეორე ადგილას ირიბი ობიექტის L°-ს ნიშანი სათანადო ირიბი მიმართების მორფემითურთ, ხოლო მესამე ადგილას, ზმნის ძირის წინ, L^s-ს სუბიექტის ნიშნები:

D L° L^s

ჲ-ჟ-ა́-ს -ჰ°ატ — „ის(ნ.)-შენ(მ.)-მე-გითხარ“.

ოთხპირიან გარდამავალ ზმნაში პირველ ადგილას დაისმის D-ს რიგის უახლოესი ობიექტის ნიშანი, მეორე ადგილას L^{o1}-ს რიგის ირიბი ობიექტის ნიშანი სათანადო სამიმართებო მორფემებითურთ, მესამე ადგილას L^{o2}-ს ირიბი ობიექტის ნიშანი შესაბამისი სამიმართებო მორფემებითურთ და მეოთხე ადგილას, ზმნის ძირის წინ, L^s-ს რიგის სუბიექტის ნიშანი:

D L^{o1} L^{o2} L^s

ჲ-ჟ(ჷ) -ზ-ლ -ა́-ს -ჰ°ა́ატ „ის-შენთვის(მ.)-მას(ქ.)-ვუთხარი“.

პირთა განლაგების აღნიშნული სისტემის გვერდით გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა დაპირისპირება ხდება შემდეგ თავისებურებათა მიხედვით:

1. დადებითი ბრძანებითის ფორმაში სუბიექტის პირის აღნიშვნა-აღუნიშვნელობით.

თუ ზმნა გარდაუვალია, ბრძანებითი კილოს დადებით ვარიანტში ზმნის ფუძეს თან ახლავს II პ. სუბიექტის ნიშანი (D-ს რიგი) — უ-ცა! „წადი შენ (მ.)!“, ხოლო თუ ზმნა გარდამავალია, სუბიექტის ნიშანი (L^s რიგი) ჩამოშორდება II პ. მხ.რიცხვში: ჲ-ჰ°ა! „ის-თქვი [შენ]!“, შდრ. დაპირისპირება ლაბილური კონსტრუქციის შ°გჲრა „წყევლა“ ზმნურ ფუძეში: გარდაუვალი უ-შ°გჲ! „იწყევლე (საერთოდ), წყევლას მოჰყევი შენ (მ.)!“ და გარდამავალი დ-შ°გჲ! „დაწყევლე იგი [შენ]!“.

2. ძირის მჟღერ თანხმოვანთან სუბიექტური პირის ნიშნის უშუალო შეხვედრისას პირის ნიშნის გამჟღერება-გაუმჟღერებ-ლობით.

თუ ზმნის ძირი იწყება მჟღერი თანხმოვნით, აქვე იგულისხმება სონანტებიც (ლომთ. 1975), მასთან (გარდამავალ ზმნაში) სუბიექტის პირის ნიშნის (L^s-ს რიგი) უშუალოდ შეხვედრისას I პ.მხ.რ. და მრ. რიცხვის ნიშნები **ს-, ჰ-** და II პ.მრ.რიცხვის ნიშანი **შ°-** გამჟღერდება და მოგვცემს შესაბამისად: **ზ-, [ა]ჱ-, ჟ°-,** მჟღერ ვარიანტებს[2], ხოლო გარდაუვალ ზმნებში სუბიექტის (D-ს რიგი) ნიშნები არ მჟღერდება. შდრ. მაგ., გარდაუვ. — **ს**-გჲლგჲტ „ვდგები“, **ჰ**-გჲლგჲტ „ჩვენ ვდგებით“, **შ°**-გჲლგჲტ „თქვენ დგებით“, გარდამავალი ჲ-**ზ**-გჲჲტ „მიმაქვს ის (ნ.)“, ჲ-**ჱ**-გჲჲტ „ის (ნ.) მიგვაქვს ჩვენ“, ჲ-**ჟ°**-გჲჲტ „ის (ნ.) მიგაქვთ თქვენ“.

შდრ. ლაბილური კონსტრუქციის ბჲლრა „წვა“ ზმნა

გარდაუვალი **ს**-ბლგჲტ „ვიწვი“ და

გარდამავალი ჲჲგ-**ზ**-ბლგჲტ (<*ჲჲგ-**ს**-ბლგჲტ) „მას (ნ.) ვწვავ“.

გამონაკლისს ამ მხრივ ქმნის აბაზურში ერთადერთი გარდამავალი ზმნა — კ°აბარა „ბანა“, ჩჲგ-კ°აბარა „ბანაობა“. აქ მკვეთრი **კ°**-თი დაწყებული **კ°აბა** ფუძის წინაც ხდება პირის ნიშანთა გამჟღერება: დგ-**ზ**-კ°აბაჲტ „ის (ად.)-დავბანე“, ჩჲგ-**ჱ**-კ°აბაჲტ „ვიბანავეთ“.

3. რთული შედგენილობის ზმნურ ფუძეში სუბიექტის ნიშნის პოზიციით.

თუ ზმნის ფუძე რთული შედგენილობის არის, გარდამავალ ზმნაში სუბიექტის ნიშანი (L^s) ჩაერთვის ფუძეში პრევერბის შემ-

დეგ, ძირის წინ, ხოლო თუ ზმნა გარდაუვალია, სუბიექტის ნიშანი დაისმის მთლიანი (პრევერბიანი) ფუძის წინ (ლომთ. 1942). მაგ., ლაბილური კონსტრუქციის ფ ყ რ ა („ჭრა, პობა") ზმნა: გარდაუვალი **ს**-ფყგჲტ „ვჭრი, ვაპობ (საერთოდ)", გარდამავალი **ჲგ-ფ-ს**-ყგჲტ „ვჭრი, ვაპობ მას".

გარდაუვალ-გარდამავალი ვარიანტების მქონე საქმიანობის გამომხატველი (ლაბილური კონსტრუქციის) მრავალრიცხოვანი ზმნების გარდა, გარდაუვალი დინამიკური ზმნები შეიძლება იქცნენ გარდამავლად კაუზატივის წარმოებით.

გარდამავალი ზმნაც შეიძლება იქცეს გარდაუვლად. ეს ხდება რიგი ზმნური კატეგორიის წარმოებისას, როგორიცაა, მაგალითად, პოტენციალისი (იხ. ქვემოთ), უნებურობა (იხ. ქვემოთ), საურთიერთო მოქმედების კატეგორია (იხ. ქვემოთ).

ს ტ ა ტ ი კ უ რ ი და დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი ზ მ ნ ე ბ ი

აბაზურში ზმნები იყოფა სტატიკურ (მდგომარეობის) და დინამიკურ (მოქმედების) ზმნებად. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან რიგი ფორმაცვალებისა და სიტყვაწარმოებითი კატეგორიებით.

სტატიკურ ზმნათა საწარმოებლად ჩვეულებრივ გამოყენებულია სახელი და სახელთაგან მომდინარე ლოკალური შინაარსის მქონე ფუძეები (ლომთ. 1954[b]). ყოველი მათგანისაგან მარტივი (გაურთულებელი) სახით წარმოიქმნება სტატიკური ზმნა: დ-ჯაწა-პ „ის (ად.) მამაკაცია", ჲ-ბზჲჲ-პ „ის (ნ.) კარგია", დგ-ლ-ფჳ-პ „ის (ად.) მისი (ქ.) შვილია" დ-თა-პ „ის (ად.) შიგ არის" და სხვ.

სტატიკური ზმნები გარდაუვალია.

პირველადი სტატიკური ზმნების რიცხვი ძალზე მცირეა. ესაა არსებითად „ყოფნა"-„ქონების" სემანტიკის გამომხატველი ზმნები (თუმცა ისტორიულად მათი ძირებიც სახელური წარმომავლობისაა).

სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა დაპირისპირების მიხედვით გასარჩევია:

1. ზმნები, რომელებიც მუდამ სტატიკურია და მუდამ დინამიკური, ე.ი. მარტივი ფუძით მათ ან მხოლოდ სტატიკური სახეობა აქვთ, ან მხოლოდ დინამიკური. ასეთებია, მაგალითად, სტატიკური „ყოფნის" გამომხატველი ზმნა დაჲაპ „ის (ად.) არის, იმყოფება", ხოლო დინამიკური „სვლის" გამომხატველი ზმნა დ-ცა-ტ „ის (ად.) წავიდა".

2. არის ზმნები, რომელთაც ერთი და იმავე ფუძით შეუძლიათ გამოხატონ როგორც სტატიკური მდგომარეობა, ისე დინამიკურობა. ამ რიგის ზმნებს განეკუთვნება „დგომა“, „ჯდომა“, „ძილი“ და მისთანანი. მაგალითად, გგლა „დგომა“ ზმნის ძირისაგან ვიღებთ როგორც სტატიკ. დ-გგლა-პ სახეობას („ის დგას“), ისე დინამიკურ დ-გგლ-გატ სახეობას („ის დგება“).

ცალკეულ შემთხვევაში სახელის მარტივ ფუძესაც შესწევს უნარი აწარმოოს როგორც სტატიკური, ისე დინამიკური ზმნა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შინაარსითაც გამოდიან ისინი განსხვავებულნი: მაგ., ღჩ („ქურდი“) სახელის ფუძისაგან სტატიკური იქნება დ-ღჩ-პ „ის (ად.) ქურდია“ (მას, ასე ვთქვათ, შედგენილი შემასმენლის გაგება აქვს), ხოლო დინამიკური — დ-ღჩ-გატ „ქურდობს“ (და ასევე სხვა დროთა ფორმები).

ყველა გარდამავალი ზმნა დინამიკურია. ასევე დინამიკურია მოქმედების გამომხატველი ყველა გარდაუვალი ზმნა. დინამიკური ზმნები (როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი) ჩვეულებრივ შეიძლება ვაწარმოოთ სახელთა ფუძეებისაგან და ე.წ. პირველადი სტატიკური ზმნებიდანაც სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი საშუალებებით.

„გარდაქცევის“ **-ხა** მორფემით სახელთა ფუძეებისაგან იწარმოება გარდაუვალი დინამიკური ზმნა — ბზგა „კარგი“, სტატ. დგ-ბზგა-პ „ის კარგია“, დინამიკური — დგ-ბზგა-ხგ-ატ „ის-კარგდება, კარგი ხდება, კარგა-ხდება“.

ასევე სტატიკური ჲაკ°პ „არის“ ზმნიდან იმავე **-ხა**-ს მეშვეობით მიიღება დინამიკური ზმნა ჲაკ°-**ხა**-ტ „ის-იქცა-(მად გახდა)“.

ამ რიგის ზმნათაგან (ე.ი. სტატიკურ და ნასახელარ ზმნათაგან) შეიძლება ნაწარმოები იქნეს დინამიკური გარდამავალი (ნასახელარი) ზმნებიც

ამ დანიშნულებით აქა-იქ გამოიყენება **-ჰ°გ** „განკუთვნილების“ ელემენტი, რომლის წინაც, როგორც რთულფუძიან ზმნაში, დაისმის გარდამავალი ზმნის სუბიექტის ნიშანი: ჲაკ°გ-**ს-ჰ°გ**-ატ „(მად) ვხდი“: სარა აუგა ჲაკ°გ-**ს-ჰ°გ**-უაშგნ, აუასა სმ°აშატ „მე (მინდოდა) ის-იმად-ჩამეთვალა, მაგრამ შევცდი“.

თითო-ოროლა სხვა შემთხვევაშიაც გვხვდება ეს **-ჰ°გ**, მაგ., აუჰ°მ°გს დ-არგ°ანგ-**ს-ჰ°გ**-ატ „ადამიანს ვიახლოვებ“ (შდრ. არგ°ა-ნგ „ახლოს“), აცაფშგ „სწორი“: ჲაცაფშგ-**ს-ჰ°გ**-ატ „ვასწორებ“ და სხვ. მაგრამ ნასახელარ ზმნათა (განსაკუთრებით ზედსართავებისაგან) გარდამავლად ქცევისათვის ფართო გამოყენება აქვს

კაუზატიურ წარმოებას: ყაფშგ („წითელი“) — დ-ს-რგ-ყაფშგ-ატ „ვაწითლებ“, ქ°აჲუ°ა („შავი“) — დ-ს-რგ-ქ°აჲუ°გ-ატ „ვაშავებ“, ჩ°გ´ა („ავი, ცუდი“) — ჩგ-უ-გმ-რგ-ჩ°გ´ა-ნ! „ნუ ავობ!“ („თავს - ნუ იავებ“!), წშა „მარილიანი“ — დგ-ს-რგ-წშა-ატ „ვამარილებ“ („ვამწნილებ“), ხ°გც „პატარა“, „მცირე“ — დ-სგ-რ-ხ°გცგ-ატ „ვამცირებ“, „ვაპატარავებ“ და სხვ. გვხვდება პარალელური წარმოება: დ-არგ°ან-ხ-ჳ°გ-ატ // დ-ს-რ-არგ°ანგ-ატ „ვაახლოებ“, დ-ჳარა-ს-ჳ°გ-ატ // დ-ს-რგ-ჳარგ-ატ „ვაშორებ“, მაგრამ ასეთი პარალელური წარმოება იმ ფუძეებში დასტურდება, რომლებიც ზმნისართის გაგებას ჰგუობენ და თვით ფორმებიც განსხვავებული ნიუანსის მქონედ უნდა ჩაითვალოს: **-ჳ°გ** უდგება ხსენებულ ფუძეთა ზ მ ნ ი ს ა რ თ ა დ გაგებულ შინაარსს, კაუზატიური წარმოება კი — იმავე ფუძის ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ა დ გაგებულ შინაარსს.

გვხვდება აგრეთვე აღწერითი წარმოება: სახელის ვითარებითი ფორმა და „კეთება“ ზმნის პირიანი ფორმები: დგუ („დიდი“) — დგ̌უთა დგსჩფგ̌ატ „დიდად ვაქცევ (გავაკეთებ)“, ყაფშგ („წითელი“) — ყაფშგ̌თა დგსჩფგ̌ატ „წითლად ვაქცევ („ვაკეთებ“)“, არგ°ანთა დგსჩფგ̌ატ „ახლოდ ვაქცევ („ვაკეთებ“)“ და სხვ.

სტატიკურ ზმნებს მარტივი ფუძით შეუძლიათ აწარმოონ მხოლოდ ფინიტური აწმყო და ნამყო განუსაზღვრელი: დაცაპ „არის“, „იმყოფება“, დაცან „იყო“, „იმყოფებოდა“, ხოლო ინფინიტურ წარმოებაში მათ გარდა აწმყო დაცუ „რომელიც არის“, ნამყო განუსაზღვრელი — დაცაზ „რომელიც იყო“, ნამყო უკვეობითი — დაცახ´რუ „რომელიც უკვე „ყოფილია“, „ყოფილი არის“, და ნამყო უკვეობითი წინარე წარსული — დაცახ´აზ „რომელიც უკვე ყოფილი იყო“.

სტატიკურ ზმნათაგან სხვა ფორმების (მასდარის, დრო-კილოების) საწარმოებლად ხდება ერთგვარი გადინამიკურება ფუძისა. მარტივ ფუძეს ერთვის რთული **-ზ(ა)ლა** (ზოგჯერ კი მხოლოდ **-ზა**) სუფიქსი. ასე აწარმოებენ, მაგალითად, ისინი მასდარს: აცაზარა // აცაზლარა „ყოფნა (ადგილას)“, ამაზარა // ამაზლარა „ქონა“, „ყოლა“[3]. ასევეა ნაწარმოები მათი დრო-კილოთა ფორმები.

სახელური წარმომავლობის მრავალრიცხოვანი ლოკალური შინაარსის სტატიკური ზმნების ფუძეები დინამიკურად გადაქცევისას ირთავენ დინამიკურ ძირ-სუფიქსებს (**-ლა, -წ, -წა, -ხ**), ან ცალკეულ არადამოკიდებულ ძირებს (ლომთ. 1952).

მაგ., სტატიკ. დ -შტა-პ „წევს“ („ძირს არის“) — დინამიკური დგ-შტა-ლგ-ატ „წევება“, დგ-შტგ̌-წგ-ატ „(დაწოლილი) დგება“, დგ-

შტა-ს-წგ-ძტ „ვაწვენ“, დგ-შტა-ზ-ეგძტ „ვაწვენ, ვაიძულებ დაწვეს“ დგ-შტგ-ს-ხგ-ძტ „(დაწოლილს) ვაყენებ“ და მისთ.

სტატიკური ზმნები ვერ ჰგუობენ მიმართულების პრევერბებს.

თავის მხრივ დინამიკურ ზმნათა ფუძეებისაგან (ზემოთ მოყვანილ ფაქტთა გარდა) შეიძლება ზოგ შემთხვევაში მივიღოთ სტატიკური ფორმები. მაგალითად, გარდამავალი შ-რა („მოკვლა“) ზმნისაგან შეიძლება მივიღოთ მიმღეობური შინაარსის სტატიკური დ-შგ-პ „ის (ად.) მოკლულია“, გარა („წაღება“, „გატანა“) ზმნისაგან ბუნებრივია ფორმა ძ გ ა პ „გაყვანილია“ (მაგ., ხაზი), მაგრამ ჩფარა „კეთება“ ზმნისაგან ბუნებრივი აღარაა *ძგ-ჩფა-პ („*გაკეთებულია“). სტატიკური ფორმის წარმოება ამ რიგის შემთხვევებში მაშინ არის ბუნებრივი, თუ ფუძეს დაერთვება სხვადასხვა ნიუანსის მქონე ნაწილაკები. ასე, მაგალითად, ბუნებრივია ჟაჩ°ა („ძნელი“) ნაწილაკის დართვით ძ-ჩფა-ჟაჩ°ა-პ „ის-ძნელი-გასაკეთებელია“, ძ-ბა-ჟაჩ°ა-პ „ის-ძნელი-დასანახავია“ და სხვა, თუმცა ამ შემთხვევაში ისინი დანიშნულების მიმღეობის ფუნქციით წარმოგვიდგებიან.

დინამიკურ გარდამავალ ზმნათაგან ასე მიღებული სტატიკურ-მიმღეობური ფორმები შემდეგ უკვე ისევ შეიძლება სხვა ნასახელარი ზმნების მსგავსად ვაქციოთ დინამიკურად. მაგალითად, იმავე მადინამიკურებელი **-ხა** ელემენტის (იხ. ზემოთ) დართვით იწარმოება დგ-**შ-ხა**-ტ „მოიკლა“, („მოკლულ იქნა“, უფრო ზუსტად: „მოკლულდა“).

გ ვ ა რ ე ბ ი. ვნებითი და მოქმედებითი გვარები აბაზურში არ არის დაპირისპირებული. სხვა ენათა შესაბამისი შემთხვევისათვის ვნებითის ნაცვლად ჩვეულებრივ გამოყენებულია ან დინამიკური გარდამავალი ზმნისავე III პირის მრავლობითის ფორმა ძგ-რ-ჩფგ-ძტ „აკეთებენ“, ან ენა მიმართავს გარკვეულ შემთხვევებში მონაცვლე ზმნის ფუძეებს (იხ. ზემოთ), ან ენა მას გვერდს უვლის ზმნათა მთელ რიგ შემთხვევებში ზმნის ლაბილური სახეობების გამოყენებით.

ზოგ შემთხვევაში კიდევ სხვა ენათა ვნებითის გადმოსაცემად გვხვდება ნადინამიკურალი სტატიკური ზმნა ისევ გადინამიკურებული ზემოთ განხილული **-ხა** მორფემით, დგ-შ-ხგ-ძტ ტიპისა. მსგავსი წარმოებები წიგნის ენაში, განსაკუთრებით თარგმნისას თანდათან იკიდებს ფეხს (ლომთ.1956).

ასპექტი. აბაზური ზმნის დრო-კილოთა ფორმები შეიცავს ასპექტისა და მოქმედების ამა თუ იმ სახეობის გამომხატველ მრავალრიცხოვან ელემენტებს. ზოგი მათგანის (როგორიცაა, მაგ.,

მყოფადისეული **-შა'ა'**, უკვეობითის **-ხ''ა/-ხ**, „გადინამიკურებულ“ ნასტატიკურალ ზმნებში **-ზა**...) გამოყოფა დრო-კილოთა წარმოების სისტემისაგან სიძნელეს აწყდება.

ასპექტის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ხოლმეობითობის მაწარმოებელი **-ლა** სუფიქსური მორფემა (ჰკადუა, 1970, 273-274, 122). იგი დინამიკურ ზმნათა ფუძეებში გვაქვს და ეგუება აწმყოსა, ნამყო უსრულსა და მყოფადის დროებს: დცა-ლჰ-ჲტ „დადის ხოლმე“, დცა-ლ-უნ < დცა-ლგ-უგ-ნ < *დცა-ლა-უან „დადიოდა ხოლმე“, დცა-ლა́-პ „ივლის ხოლმე“, დცალუშატ (<*დცა-ლგ-უგშატ < *დცა-ლა-უა-შატ „ივლის ხოლმე (უთუოდ)“.

ასევე ხოლმეობითის ფუნქციით გამოიყენება ყაბარდოულიდან შეთვისებული სიტყვა-ნაწილაკი **ზაფგთ** (გენკო, 1955, 139; თაბულ. 1976, 207-208), რომელიც ფართოდ გამოიყენება ყველა ზმნასთან (ზოგჯერ **-ლა** სუფიქსთან ერთადაც) და ცალკეც იხმარება.

სტატიკური ზმნის მარტივი ფუძისაგან იწარმოება თხრობით კილოში მხოლოდ აწმყო, ნამყო განუსაზღვრელი (ზოგჯერ უკვეობითის დადებითი ფორმები) და ნატვრითი კილო (ჲსჰმანდა „ნეტავ მქონდეს“). მასდარისა და სხვა დრო-კილოთა ფორმების წარმოება მათ უხერხდებათ ფუძეზე **-ზა'ა'**, **-ლა** სუფიქსების დართვით (შდრ. ამაზარა, ჩვეულებრივ ამაზა-რა[3] „ქონა-ყოლა“, ჲჰმა-**ზ-ლ**-უშატ „ექნება, ეყოლება ხოლმე“).

ეს **-ზა**, რომელიც რთულ **-ზ-ლა** სუფიქსშიაც შედის, თავისი არსით განგრძობითობის ასპექტის ბუნებისაა და სტატიკური ზმნის გადინამიკურებისას კვლავ გახაზავს მდგომარეობის განგრძობითი ხასიათის შენარჩუნებას. შდრ., მაგალითად, სტატიკური დ-ჰ°ა-პ „ზის“ ზმნიდან ნაწარმოები დინამიკური მყოფადი დ-ჰ°ა-**ზ-ლ**-უშატ „იჯდომება“ და საპირისპირო დინამიკური დჰ°გ-ჲტ „ჯდება“ ზმნისაგან ნაწარმოები მყოფადი დჰ°-უშატ „დაჯდება“ (შდრ. იმავე დროს ხოლმეობითი დინამიკური ზმნიდან აუჰჲ არაცა **დჰ°ალუშატ** „ის აქ დაჯდება ხოლმე“).

სხვადასხვა მოდალობის ნაწილაკები ფართოდ გამოიყენება უღვლილებაში. იმავე განგრძობითი, შეუწყვეტელი მოქმედების (თუ გამოუცვლელი მდგომარეობის) გამოსახატავად, რომელსაც თარგმნისას „ისევ“, „კვლავაც“ შეეფერება, აბაზურში გამოდის **-რკ°ა** სუფიქსური ელემენტი (დ-ჰ°ა-**რკ°ა**-პ „ისევ ზის“...). იგი გვხვდება როგორც სტატიკურ, ისე დინამიკურ ზმნებში და დაისმის ჩვეულებრივ დროის სუფიქსების წინ. მიუთითებენ პარალელურად დინამიკურობის აწმყოს სუფიქსის შემდეგ **-რკ°ა**-ს დასმის

შესაძლებლობასაც: დფშჲმა-**რკ°გ-**ატ // დფშჲმა-უა-**რკ°გ-**ატ „ისევ ეძებენ“, „ისევ აგრძელებენ ძებნას“ (გენკო, 1955, 140; თაბულ. 1976, 207).

-რკ°ა ჩვეულებრივია სტატიკურ ზმნებში (აწმყოსა და ნამყო განუსაზღვრელში) და დინამიკურ ზმნათაგან აწმყოსა და ნამყო უსრულში, მაგ., ნხარა „მუშაობა“: დგნხა-**რკ°გ-**ატ „იგი განაგრძობს მუშაობას“, დგნხა-**რკ°-**უნ „იგი განაგრძობდა მუშაობას“.

განმეორებითი მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელად გვევლინება **-ხ** სუფიქს-ნაწილაკი. იგი დაისმის დროულ სუფიქსთა წინ და ჩვეულებრივია როგორც დინამიკურ, ისე სტატიკურ ზმნებში (მეტყველების სხვა ნაწილშიაც კი): ზან უანგჷრა, მ°ან უგჷმს-**ხგ-**ნ! „ერთხელ რომ დაარტყამ, მეორედ კვლავ ნუღარ დაარტყამ!“... გჷლა დახგჷლშგნ, დგბზგჷ-ხა-**ხ-**ტ „თვალზე რომ წაუსვა, კვლავ კარგად გახდა“.

იგი სისტემებრ ერთვის **-ათა** („კვლავ“) პრეფიქსულ-ნაწილაკიანი ზმნის ფორმას: დ-**ათა́-**დგს-ხ-ტ „კვლავ ესროლა მას“.

აბაზურში მას ძალზე ფართო გამოყენება აქვს ქართული **-ღა** ნაწილაკის ფუნქციით, განსაკუთრებით ზმნის უარყოფით ფორმებში.

ამავე დროს იგი აბაზურში დინამიკურ ზმნებში აღჭურვილია **„უკუ“** („უკან“) ზმნისართის გაგებით: სგბზმაჷ-**ხ-**პ „კვლავ, ისევ მოგივალ“, „უკუ მოვალ“, „მოგიბრუნდები“ და მისთ. (ლომთ. 1944, 187-189; ავიძბა, 1968).

-ჭ°ა მრავლობითობის სუფიქსი ზმნაშიაც შეიძლება გამოიყენებოდეს, ოღონდ ერთგვარი, განუსაზღვრელი შინაარსით: ცა-**ჭ°ა-**ტ „წავიდნენ (ვიღაცები)“, „წავიდ-წამოვიდნენ“.

ინტენსიური, ბოლომდე მიღწეული, უთუო, დადასტურებითი მოქმედების გადმომცემია **-ძა**: დცა-**ძა́-**ტ „ნამდვილად, მართლაც, (სრულიად) წავიდა“, ჷ°ა-**ძა-**ტ „მან მართლაც თქვა.“ იგი დამახასიათებელია ზმნის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ფორმებისათვის. დაისმის ზმნის ფუძის შემდეგ დროკილოთა სუფიქსების წინ: არახ° ჷხჩა-**ძ-**უნ (<ჷ-ხჩა-**ძა́-**უა-ნ) „საქონელს ნამდვილად მწყემსავდა!“, გგ´ჷგ-მა-**ძა-**მზტ „ის მას სრულებით არ ჰქონდა“. ფართოდ გამოიყენება მეტყველების სხვადასხვა ნაწილებში (ლომთ. 1944, 189-190; გენკო, 1955, 139; ავიძბა, 1968[a], 24-27).

ზმნის კითხვით ფორმაში იგი „ვინძლოს“ გაგებით გვევლინება: ქ°გჯმა კარა ჳბაძá? „მგელი რამ ნახე?“ („ვინძლო მგელი ნახე, გენახოს!?“).

მეტისმეტ ჭარბ თვისებას ან მოქმედების სახეობას ზმნაში გადმოსცემს **-ჩ°ა** სუფიქს-ნაწილაკი (ამავე ფუნქციით იგი სახელის ფუძეებშიც გვხვდება). დაისმის ზმნის ძირის შემდეგ: ჲან ლგ°გ ჲას-**ჩ°ა**-ნ... „დედამისს ძალზე, მეტისმეტად ეწყინა რა“... (ლომთ. 1944, 188; გენკო, 1955, 130; ავიძბა 1968ª, 23-24).

ნაწილაკი **-ჵ°აცა** დაერთვის ზმნათა ფუძეებს (ასევე სახელებსაც) და „გადმოსცემს“ ნიუანსებს: „ოლონდ“, „მხოლოდ“, ლა“, „ერთიანად“, „ერთობ“:

ჲსგრბ-**ჵ°აცá**! „ოლონდ მიჩვენე!“ ალá ზაკგ́გ გ́ამჶტ, აჳáსა აფჷქ° შá-**ჵ°აცა**-პ „ძაღლს არაფერი უჭამია, მაგრამ მისი ტუჩი ერთობ სისხლიანია“ (ლომთ. 1944, 141; ავიძბა, 1968ª, 31-32).

დაახლოებით ამავე შინაარსით შეიძლება შეგვხვდეს ზმნას ბრძანებით, პირობით კილოებში დართული **ზაჯ°გკ** „მარტო“, „მხოლოდ“: დსგრბა**ზაჯ°ჷკ**! „ოლონდ (მხოლოდ) მიჩვენე!“ ჲსგზძგრჵ° **ზაჯ°ჷკგ**-რჵატ! „ოლონდ (მხოლოდ) მომისმინონ!“ (თაბულ. 1976, 214-215).

„სიძნელის“ გამომხატველი ნაწილაკია **-ჳაჩ°ა**: აჵ°ჭ°ჷს დანრჷცჭახარა ასჴან დგდჷრ-**ჳაჩ°ა**-ხგჲტ „ადამიანი რომ დაბერჩავდება, ძნელი საცნობი ხდება“, áჵაშაჵ° ჲჳჷს აწჷჴ°ა ბა-**ჳაჩ°ა**-პ „ზარმაცის საქმის ბოლო ძნელი დასანახავია“ (ლომთ. 1944, 191; გენკო 1955, 139-140; თაბულ. 1976, 207).

დამადასტურებელი, დამტკიცებითი შინაარსით გარკვეულ შემთხვევებში სათანადო დროის, ადგილის საგარემოებო ფორმებში თანხვდენის შინაარსით, ქართ. **-ვე** ნაწილაკის ფუნქციით, გამოდის **-ბგრგ** (ან გართულებული **-იბგრ'გ'ძაკ**). დაისმის ზმნის ფუძის დროის აფიქსის შემდეგ როგორც ფინიტურ, ისე ინფინიტურ წარმოებებში (ერთვის სახელებსაც): ჲგჩფა-**ბჷრგ**-ჳაშჵტ „სწორედ, უთუოდ გააკეთებს“, ჲგშჵ-შ°გშჳა-**ბჷრგ** „მას როგორც კი დაკლავთ [მაშინვე]“ (ლომთ. 1944, 190; ავიძბა 1976ª, 27; თაბულოვა, 1976, 211).

დადასტურებითი, დამტკიცებითი პრეფიქსული ნაწილაკი, რომლის შინაარსია „კიდეც“, არის -**(ა/გ)გ**́. იგი დაისმის ზმნის ფორმებში D-ს რიგის პრეფიქსების შემდეგ:

სგ-გ̆-ცა́ტ, დგ-გ̆გ-ზბატ „კიდეც წავედი, კიდეც ვნახე“ (ლომთ. 1944, 160-161; ავიძბა, 1968ª, 7).

შებრალების, თანაგრძნობის ნიუანსის გადმოსაცემად ზმნის ფორმებს დაერთვის სიტყვები **გ°ჵშა** („საბრალო“), **მჵფ°ა** („უბედური“, „საწყალი“):

ჲფ°ნეჲრფჷს-გ°ჵშგ-ჲტ „მათ ის სახლში მოაკვდინეს (საბრალო)“, ჯგ°ათჵ სნარჵლარგა-მფ°ა-ტ „მე-საბრალო მიმიყვანეს ჯგვათში“ (ლომთ. 1944, 189, 190).

ასევე სხვაც, თუმც ნაკლები სისტემატურობით, არა ერთი ფუძე შეიძლება დაერთოს ზმნას ამა თუ იმ ნიუანსის გამოსახატავად.

დროები

ზმნის დროთა ფორმები სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება აბაზურში იმისდა მიხედვით, თუ როგორი წარმოებაა — ე.წ. ფინიტური თუ ინფინიტური (იხ.გვ. 38). ზმნის დროულ წარმოებათა ასეთი სახეობები აბაზურში (და აფხაზურში) დაკავშირებულია დამოკიდებული წინადადების არარსებობასთან. რიგ სხვა ენათა მთავარი და დამოკიდებული წინადადებების საპირისპიროდ, აქ დამოკიდებული წინადადების (მისი კავშირების) სანაცვლოდ გამოდის ზმნის მიმღეობური, ჩაუხშავი კონსტრუქციის შესაფერისი ინფინიტური წარმოება დროისა, რომელსაც ჩვეულებრივ პრეფიქსად აქვს სხვადასხვა საგარემოებო ელემენტები (ამ დროს გარკვეული ცვლილებები ხდება დროულ სუფიქსაციაშიც). მთავარი წინადადების სანაცვლოდ კი გამოდის ჩახშული კონსტრუქციის შესაფერისი ფინიტური წარმოება ამა თუ იმ დროისა, რომელიც დროული სუფიქსაციის მქონე ფუძესთან ერთად წარმოდგენილია საგანგებო ფინიტობის მაწარმოებლებით. საგარემოებო ელემენტები ასეთი წარმოებისთვის შეუთავსებელია. ყოველი წინადადება დასრულებულად, ჩახშულად წარმოგვიდგება, როცა ზმნა ფინიტურ სახეს იღებს.

ზმნის ფინიტურ-ინფინიტურ წარმოებათა დაპირისპირება გატარებულია თხრობით კილოში (მის როგორც დადებით, ისე უარყოფით სახეობებში).

დროთა წარმოების მხრივ სხვაობაა სტატიკურ და დინამიკურ ზმნებში.

სტატიკური ზმნები ღარიბია დროებით (იხ. ზემოთ). დინამიკური ზმნები ამ მხრივ მეტ მრავალფეროვნებას გვიჩვენებს. გა-

მოიყოფა: აწმყო, ნამყო უსრული, ნამყო სრული (აორისტი), ნამყო უკვეობითი, ნამყო უკვეობითი წინარე წარსული, მყოფადი განუსაზღვრელი, მყოფადი განსაზღვრული.

როგორც ფინიტურ, ისე ინფინიტურ წარმოებებში გარჩეულია დადებითი და უარყოფითი ფორმები.

სტატიკური ზმნა

დადებითი სახეობა. ფინიტური წარმოება. აწმყოს დადებით ფინიტურ წარმოებაში ფუძეს ერთვის **-ა** სუფიქსი, კილოურად პარალელურია მყღერი **-ბ** ვარიანტიც (ლომთ. 1976, 150). აშხარული დიალექტის კილოები სტატიკურ ზმნათა აწმყოს გაფორმების მხრივ მნიშვნელოვან სხვაობებს ავლენენ (ლომთ. 1954, 109-120).

ნამყო განუსაზღვრელში დადებით ფინიტურ ფორმაში ერთვის **-ნ** სუფიქსი.

ფუძე **-მა** „ქონა, ყოლა“

აწმყო — დ-რ-გ-მა-**ა** „ის(ნ.) — მათ — აქვთ („ჰყავთ)“

ნ.განუსაზღვრ. — დ-რ-გ-მა-**ნ** „ის (ნ.)-მათ-ჰქონდათ (ჰყავდათ)“

დადებით ინფინიტურ წარმოებაში აღნიშნული სუფიქსები შეცვლილია. აწმყოში ინფინიტურ წარმოებაში მოგვევლინება **-უ** სუფიქსი (**-ა, -უ** სუფიქსთა შესახებ იხ. ლომთ.1974), ხოლო **ნ**-ს ნაცვლად **-ზ**:

აწმყო დ-რ-გ-მ-**უ** < დ-რ-გ-მგ-**უ** < დ-რ-გ-მა-**უ** „რაც მათ აქვთ“ // „რაც, ვინც მათ ჰყავთ“

ნამყო განუსაზღვრელი დ-რ-გ-მა-**ზ** „რაც // ვინც — მათ — ჰქონდათ // ჰყავდათ“.

უარყოფითი სახეობა. ყველა ზმნა, სტატიკური იქნება იგი თუ დინამიკური, უარყოფით ფორმაში საკუთრივ უარყოფითობის **-მ-** მორფემის გარდა დაირთავს დადასტურებით ფინიტურ (გ)გ´- პრეფიქს - ნაწილაკს, რომელსაც სტაბილურად უჭირავს მეორე ადგილი, ე.ი. ადგილი D-ს რიგის აფიქსის მომდევნოდ (ლომთ. 1944, 160-161, 321; ლომთ.1953).

უარყოფის **-მ** სუფიქსად ერთვის სტატიკური ზმნების ფუძეს აწმყოში აბსოლუტურ ბოლოში, ნამყო განუსაზღვრელ'ში დროისა და ფინიტობის სუფიქსების წინ.

უ ა რ ყ ო ფ ი თ — ფ ი ნ ი ტ უ რ ი :

აწმყო **ღ**-გ̃-რ-ǵ-მა-**მ** „მათ-ის-არ-აქვთ“...

ნ.განუსაზღვრელი **ღ**-გ̃-რ-ǵ -მა-**მ**-ზ-**ტ** „მათ-ის-არ-ჰქონდათ“...

უარყოფით-ინფინიტური ფორმების წარმოებისას იგივე ფუძეა აღებული, ოღონდ ჩამოცილებული აქვს მაფინიტივებელი აფიქსები, ერთი მხრივ, **-გ̃-** და, მეორე მხრივ, — **-ტ**:

აწმყო **ღ**-რ-ǵ-მა-**მ** „რაც / ვინც -მათ-არა აქვთ (ჰყავთ)“

ნ.განუსაზღვრელი **ღ**-რ-ǵ-მა-მǵ-ზ „რაც (ვინც) -მათ არა ჰქონდათ (ჰყავდათ)“.

დინამიკური ზმნა

დ ა დ ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ო ბ ა . ფ ი ნ ი ტ უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ა

დინამიკურ ზმნებში ფინიტურობის სუფიქსებად გვევლინება **-ღტ / -ტ** (კილოურად მჟღერი ვარიანტია **-ღდ, -დ**), **-პ**, **-ნ**. ამათგან **-ღტ / -ტ** ოდენ ფინიტურობის სუფიქსია და ინფინიტურ წარმოებაში ამიტომ უკვალოდ ქრება. **-პ** და **-ნ** კი ორი ფუნქციით გამოდიან (ფინიტობისა და დროისა) და ამდენადვე ინფინიტურ წარმოებაში შენაცვლებულია: **-ნ**-ს, სტატიკურ ზმნათა მსგავსად, ინფინიტური წარმოების ფორმებში ენაცვლება **-ზ** (ნამყო დროების გადმოცემის ფუნქციით), ხოლო მყოფადის წარმოებაში **-პ**-ს ენაცვლება სუფიქსი **-რა**.

აწმყოს ფუძეს უშუალოდ ერთვის ფინიტურობის **-ღტ** (ფონეტიკური ნაირსახეობით **-ιტ**). საკუთრივ დინამიკური ზმნის აწმყოს მაწარმოებელი **-ҩა** (წინამავალი **ა-** ხმოვნის მომდევნოდ ხმოვანთა შერწყმით -**უ**-ს სახის მქონე), რომელიც აწმყოს ნაკვთის სხვა ფორმებში (მყოფადი განუსაზღვრელი, ნამყო უსრული) გამოჩნდება, აწმყოში ფონეტიკურ ნიადაგზე გაცვეთილ-გალეული ჩანს (ლომთ. 1954, 125; ლომთ. 1955, 310; გენკო 1955, 162; შდრ. ბოუდა, 1940, 243). იგი აღდგება აწმყოს ინფინიტურ წარმოებებში. დინამიკური ზმნის აწმყოს ნაკვთის **-ҩა** მაწარმოებლიან ფუძეზეა დაყრდნობილი, ერთი მხრივ, ნამყო უსრული, რომელსაც ფინიტურ წარმოებაში ემატება **-ნ**, ხოლო, მეორე მხრივ, განუსაზღვრელი მყოფადი, რომელსაც ერთვის რთული სუფიქსი **შ**-**ტ** (**<-შა-ღტ**).

ნამყო განუსაზღვრელს, სტატიკურ ზმნათა მსგავსად, მხოლოდ **-ნ** სუფიქსი ერთვის, ოღონდ ფუნქციურად განსხვავებული გამოდის.

უკვეობითს აწარმოებს **-ხ̃ა**, რომელსაც შესაბამისად ერთვის ფინიტურობის **-ტ** და **-ნ** სუფიქსები.

ფუძეები: -ცა „სვლა“, -ფს˹გ˺ „კვდომა“ „სიკვდილი“
აწმყო
დ-ც-გ**ჲტ** (<დ-ცგ-ჲტ < დ-ცა-ჲტ) „ის მიდის“.
დგ-ფსგ-ჲტ „ის კვდება“
ნამყო უსრული
დ-ც-**უ-ნ** (<დ-ცგ-**უგ-ნ** < დ-ცა-**უა-ნ**) „ის მიდიოდა“.
დგ-ფს(გ)-**უა-ნ** „ის კვდებოდა“
მყოფადი განუსაზღვრელი
დ-ც-**უ-შ-ტ** (დ-ცგ-**უგ-შ-ტ**<დ-ცა-**უა-შტ**<*დ-ცა-**უა-შ-ა-ჲტ**) „ის ალბათ, უთუოდ წავა“
დგ-ფს(გ)-**უა-შ-ტ** „ის, ალბათ, უთუოდ მოკვდება“
მყოფადი განსაზღვრული
დგ-ცა-**პ** „ის წავა“
დგ-ფსგ-**პ** „ის მოკვდება“
აორისტი
დგ-ცა-**ტ** „ის წავიდა“
დგ-ფსგ-**ტ** „ის მოკვდა“
ნამყო განუსაზღვრელი
დგ-ცა-**ნ** „ის წავიდა და...“
დგ-ფსგ-**ნ** „ის მოკვდა და...“
ნამყო უკვეობითი
დგ-ცა-**ხ˝ა-ტ** „ის უკვე წავიდა“
დგ-ფს-**ხ˝ა-ტ** „ის უკვე მოკვდა“
ნამყო უკვეობითი წინარე წარსული
დგ-ცა-**ხ˝ა-ნ** „ის უკვე (ადრე) წავიდა“, „ის უკვე წასული იყო“
დგ-ფს-**ხ˝ა-ნ** „ის უკვე მკვდარი იყო“

ი ნ ფ ი ნ ი ტ უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ა
აწმყო
ჲ-ცა-**უა** „რომელიც მიდის“
ჲგ-ფს(გ)-**უა** „რომელიც კვდება“
ნამყო უსრული
ჲ-ც-**უ-ზ** (</ /ჲ-ცა-**უა-ზ**) „რომელიც მიდიოდა“
ჲგ-ფს(გ)-**უა-ზ** „რომელიც კვდებოდა“
მყოფადი განუსაზღვრელი
ჲ-ც-**უ-შ** (</ /*ჲ-ცა-**უა-შ-ა**) „რომელიც უნდა წავიდეს“
ჲგ-ფს(გ)-**უა-შ** (<*ჲ -ფს(გ)-**უა-შ-ა**) „რომელიც უნდა მოკვდეს“
მყოფადი განსაზღვრული

ა-ცა-**რა** „რომელიც წავა“
აგ-ფს-**რა** „რომელიც მოკვდება“
აორისტი
ა-ცა(-**ზ**) „რომელიც წავიდა“
აგ-ფსგ(-**ზ**) „რომელიც მოკვდა“
ნამყო განუსაზღვრელი
ა-ცა-**ზ** „რომელიც წავიდა...“
აგ-ფსგ-**ზ** „რომელიც მოკვდა...“
ნამყო უკვეობითი
ა-ცა-**ხ´გ-უ** (ი-ცა-**ხ´გ-უ** <*ა-ცა-**ხ´ა-უ**) „რომელიც უკვე წავიდა, წასულია...“
აგ-ფს-**ხ´გ-უ** / აგ-ფს-**ხ´-უ** (<*აგ-ფს-**ხ´ა-უ**) „რომელიც უკვე მოკვდა, მკვდარია“
ნამყო უკვეობითი წინარე წარსული
ა-ცა-**ხ´ა-ზ** „რომელიც უკვე წასული იყო“
აგ-ფს-**ხ´ა-ზ** „რომელიც უკვე მკვდარი იყო“

უარყოფითი სახეობა, ფინიტური წარმოება.

უარყოფითი ფინიტური სახეობა ზემოთ თქმულისამებრ (აქვე, გვ. 51) აქაც **(გ)გ´-** პრეფიქსსა და **-ჭ-** უარყოფის აფიქსს შეიცავს. უარყოფითობის **-ჭ-** მორფემა ფინიტურ წარმოებაში სხვადასხვა დროის მიხედვით განსხვავებულ პოზიციას იჭერს, აწმყოში იგი (სავარაუდო) აწმყოსეული **-უა(→-უ)** სუფიქსის (რომელიც დაცულია ინფინიტურ ფუძეში) შემდეგ დაერთვის აბსოლუტურ ბოლოში. ასევე აბსოლუტურ ბოლოში დაერთვის იგი მყოფადის ფორმათა ინფინიტური სუფიქსაციის მქონე ფუძეებს. ფინიტურობის **-ნ** სუფიქსის მქონე დროები უარყოფით-ფინიტურ წარმოებაში ინფინიტური ფუძის შემცველია, ე.ი. **-ნ-**ს ნაცვლად **-ზ** სუფიქსს იყენებს, მაგრამ საგანგებო ფინიტურობის სუფიქსი **-ტ** ბოლოში მაინც ერთვის. რაც შეეხება უარყოფითის **ჭ** მორფემის პოზიციას, იგი აორისტსა, ნამყო უკვეობითსა და ნამყო უკვეობით წინარე წარსულში პრეფიქსად გამოდის, დაისმის ზმნის ძირის წინ, ნამყო განუსაზღვრელსა და ნამყო უსრულში კი პარალელურად დასტურდება როგორც სუფიქსური, ისე პრეფიქსული ვარიანტები.

ნამყო უკვეობითების უარყოფით ფუძეში **-ხ´ა-**ს სცვლის **-ხ** სუფიქსი.

აწმყო

დგ-გ´-ც-ჭ-მ < // *დგ-გ´-ცა-ჭა-მ „არ მიდის“

დგ-გ´-ფს(გ)-ჭა-მ „არ კვდება“

ნამყო უსრული

დგ-გ´-ც-ჭ-მგ-ზ (< //*დგ-გ´-ცა-ჭა-მგ-ზ-ტ)

// დგ-გ´ -მ-ც-ჭ-ზ-ტ (< //*დგ-გ´ -მ-ცა-ჭა-ზ-ტ) „არ მიდიოდა“

დგგ´-ფს(გ)-ჭა-მგ-ზ-ტ //დგ-გ´ -მ-ფს(გ)-ჭა-ზ-ტ „არ კვდებოდა“

მყოფადი განუსაზღვრელი

დგ-გ´ -ც-ჭ-შგ-მ (< //დგ-გ´ -ცა-ჭა-შგ-მ) „არ წავა...“

დგ-გ´ -ფს-ჭა-შგ-მ „არ მოკვდება...“

მყოფადი განსაზღვრული

დგ-გ´ -ცა-რგ-მ „არ წავა“

დგ-გ´ -ფს-რგ-მ „არ მოკვდება“

აორისტი

დგ-გ´ გ-მ-ცა-ტ „არ წავიდა“

დგ-გ´ გ-მ-ფსგ-ტ „არ მოკვდა“

ნამყო განუსაზღვრელი

დგ-გ´ გ-მ-ცა-ზ-ტ (//დგ-გ´ -ცა-მ-ზ-ტ) „არ წავიდა და...“

დგ-გ´ გ-მ-ფსგ-ზ-ტ (//დგ-გ´ -ფსგ-მ-ზ-ტ) „არ მოკვდა და...“

ნამყო უკვეობითი

დგ-გ´ გ-მ-ცა-ს-ტ „ჯერ არ წასულა“

დგ-გ´ გ-მ-ფსგ-ს-ტ „ჯერ არ მომკვდარა“

ნამყო უკვეობით წინარე წარსული

დგ-გ´ გ-მ-ცა-სგ-ზ-ტ „ჯერ არ იყო წასული“

დგ-გ´ გ-მ-ფსგ-სგ-ზ-ტ „ჯერ არ იყო მკვდარი“

ინფინიტური წარმოება

ინფინიტურ წარმოებაში, ბუნებრივია, აღარ გვაქვს არც ფინიტურობის სუფიქსები და არც (გ)გ´- პრეფიქსი. ამავე დროს უარყოფის გამომხატველი მორფემა ყველა დროის ფორმაში პრეფიქსად დაისმის.

აწმყო

დგ-მ-ცა-ჭა „რომელიც არ მიდის“

დგ-მ-ფსგ-ჭა „რომელიც არ კვდება“

ნამყო უსრული

დგ-მ-ცა-ჭა-ზ > დგ-მ-ც-ჳ-ზ „რომელიც არ მიდიოდა“

ჲგ-მ-ფსგ-ჭ̄ა-ზ „რომელიც არ კვდებოდა“

მყოფადი განუსაზღვრელი

ჲგ-მ-ც-ჭ̄-შ̇ (<ჲგ-მ-ცა-ჭ̄ა-შ̇) „რომელიც არ უნდა წავიდეს“

ჲგ-მ-ფს(გ) -ჭ̄ა́-შ̇ „რომელიც არ უნდა მოკვდეს“

მყოფადი განსაზღვრული

ჲგ-მ-ცა-რა „რომელიც არ წავა“

ჲგ-მ-ფს-რა́ „რომელიც არ მოკვდება“

აორისტი

ჲგ-მ-ცა́-(ზ) „რომელიც არ წავიდა“

ჲგ-მ-ფსგ́-(ზ) „რომელიც არ მოკვდა“

ნამყო განუსაზღვრელი

ჲგ-მ-ცა́-ზ „რომელიც არ წავიდა რა“

ჲგ-მ-ფსგ́-ზ „რომელიც არ მოკვდა რა“

ნამყო უკვეობითი

ჲგ-მ-ცა́-ხ „რომელიც ჯერ არ წასულა“

ჲგ-მ-ფსგ́-ხ „რომელიც ჯერ არ მომკვდარა“

ნამყო უკვეობითი წინარე წარსული

ჲგ-მ-ცა-ხგ́-ზ „რომელიც ჯერ არ წასულიყო“

ჲგ-მ-ფსგ-ხგ́-ზ „რომელიც ჯერ არ მომკვდარიყო“

დროთა გამოყენება

დინამიკურ ზმნათა აწმყო გადმოსცემს დროს, რომლის შინაარსი საუბრის მომენტს ემთხვევა. ზოგი ზმნა აწმყოს ფორმაში მყოფადის შინაარსსაც იძენს (მაგ., სცგჲტ „მივდივარ“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მყოფადის გაგებითაც), თუმცა აბაზურში ასეთ შემთხვევაში დიდ გამოყენებაშია მყოფადი განუსაზღვრელი (ჳკადუა, 1970, 121-122).

ნამყო განუსაზღვრელში სუფიქსად გამოდის **-ნ**, მაგრამ თუ იგი სტატიკურ ზმნებში ერთგვარად ჩახშულ კონსტრუქციას ქმნის (დაჸა-**ნ** „იყო“, დჭ°ა-**ნ** „იჯდა“), დინამიკურ ზმნებში შესაბამის ფორმას უნდა მოსდევდეს გაგრძელება მომდევნო ზმნის სახით: აჩჲგ ძგ ა́უ°გ**ნ** ჲშა́ჲხტ „ცხენმა წყალი დალია და მოვიდა (მობრუნდა)“, ა́მარა შა́წწგ**ნ** ნხარა ჳცატ „მზე ამოვიდა რა, ჩვენ სამუშაოდ წავედით“.

უღვლილება

აბაზური ზმნის უღვლილების ფორმაში იმდენივე პირი შეიძლება იყოს გამოხატული, რამდენიც სახელია მასთან დაკავშირებული. ამიტომ ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი, სამპირიანი და მეტიც. პირის, გრამატიკული კლასისა და რიცხვის ნიშნები ერთიან პრეფიქსებად არის წარმოდგენილი (ე.ი. ერთი და იგივე ნიშანი პირსაც აღნიშნავს, რიცხვსაც და მხოლოობითში გარკვეულ შემთხვევაში კლასსაც). ისინი ძირითადად დაკავშირებულნი არიან სათანადო ნაცვალსახელებთან და ქმნიან (თუ III პირის ქალთა ქვეკლასის ზმნაში ასახვის მიხედვით ვიმსჯელებთ) ორ ძირითად რიგს — D-სა და L-ს რიგს ამ უკანასკნელის ორი ქვესახეობით.

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი

პ ი რ - კ ლ ა ს ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი

მხოლოობითი რ.

		D	L°	Lˢ
I პ.	სარა —	ს(ჷ)	ს(-ჷ)-	ს-(ზ-)
II პ.	უ̂არა (მ.) —	უ̂(ჷ)-	უ̂(-ჷ)-	უ̂-
	ბარა(ქ.) —	ბ(ჷ)-	ბ(-ჷ)-	ბ-
	ჲარá (მ.) —	დ(ჷ)-	ჲ(-ჷ)-	ჲ-
III პ.	ლარá (ქ.) —	დ(ჷ)-	ლ(-ჷ)-	ლ-
	ჲარá (ნ.) —	ჲ(ჷ)-	ა-	ა-(ნა-)

მრავლობითი რიცხვი

		D	L°	Lˢ
I პ.	ჰარა —	ჰ(ჷ/ა)-	ჰ(ჷ/ა)-	ჰ-(ჵ-)
II პ.	შ°არა —	შ°(ჷ)-	შ°(ჷ)-	შ°-(ჟ°-)
III პ.	დარა —	ჲ(ჷ)-	რ(ჷ)-	რ-

D-ს რიგის პირის ნიშანი ზმნის ფორმის თავში მუდამ პირველ ადგილას დგას და გამოხატავს გარდაუვალი ზმნის S-სა (დ-ციტ „ის

(ად.)მიდის") და გარდამავალი ზმნის უახლოეს (პირდაპირ) ობიექტს (ⴆ-ა-ფ-ტ „მან (ნ.) ის (ნ.) შეჭამა").[5]

L-ს რიგის პრეფიქსები გამოხატავს გარდამავალი ზმნის S-ს (L^s) და ყველა ზმნაში, როგორც გარდამავალში, ისე გარდაუვალში ირიბ ობიექტს (L^o).

ორპირიან გარდამავალ ზმნაში მეორე ადგილას, ზმნის ძირის წინ, დგას L^s რიგის პრეფიქსები (დგ-ზ-ბატ „ის (ად.)- მე — დავინახე").

სამპირიან გარდამავალ ზმნაში ასევე ზმნის ძირის წინ L^s რიგის სუბიექტის ნიშნები დგას მესამე (უფრო ზუსტად ირიბი მიმართების პრეფიქსის ჩათვლით — მეოთხე) ადგილზე, ირიბი ობიექტისა L^o მეორეზე.

ორპირიან გარდაუვალ ზმნაში მეორე ადგილი უჭირავს ირიბი ობიექტის ნიშნებს (L^o -ს). სამპირიან გარდაუვალ ზმნაში მეორე და მესამე ადგილებიც ირიბი ობიექტის პირთა ნიშნებს უკავიათ. ირიბი ობიექტი ზმნის ფუძეს უკავშირდება სხვადასხვა სამიმართებო პრეფიქსების მეშვეობით. მათში ყველაზე ფართო გავრცელების, თითქოს ორგანულად შერწყმული ზმნის ფუძესთან ირიბი ობიექტის სამიმართებო პრეფიქსი არის **ა->// გ- (<ად-// <*ⴆა-)**, რომელიც ფონეტიკურ ნიადაგზე, უმახვილო პოზიციაში შეიძლება სულაც O რეფლექსად იქცეს (ლომთ. 1976, 44, 90-92, 120..). იგი დაისმის ირიბი ობიექტის ნიშნის მომდევნოდ:

D L^o
აუგ̣ ლარა დ-ლ-გ-ს-ტ „მან (მ.) — მას (ქ.) — დაარტყა"
D L^o
ⴆარა ლარა დ-ლ-ა-ჩ°აქ°ატ „იგი (მ.) — მას (ქ.) — დაელაპარაკა"
D L^o
უარა ⴆარა უ-ⴆ-ა-ბგსტ „შენ (მ.) — მას (მ.) — ესროლე (ტყვია, ისარი)"
D L^o L^s
უარა ლარა ასაბი დ-ლ-გ-უ-თა-ტ „შენ (მ.) — მას (ქ.) — ბავშვი მიეცი" და სხვ.

.ასევე პირთა რაოდენობის ზრდა ზმნის ფუძეში ხდება სხვადასხვა ფუძის საწარმოებელი პრეფიქსული სადერივაციო ელემენტების დართვით (მაგ. სხვადასხვა ქცევის, თანაობის, კაუზატივის და მისთანათა ფორმებში).

კილოები

დროთა და კილოთა ფორმები ზოგ შემთხვევაში იმდენად გადაჯაჭვულია ერთმანეთს, რომ მკაცრი დაპირისპირების გატარება მათ შორის ჭირს. ქვემოთ განხილულია მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი კილოური ერთეულები, ესენია: თხრობითი, ბრძანებითი, კონიუნქტივი, პირობითი, მიზან-პირობითი, შეპირობებითი, ნატვრითი, თუმცაობითი, ალბათობითი, თითქოობითი.

თხრობით კილოს არავითარი კილოური საგანგებო მაწარმოებელი არა აქვს. იგი ფაქტის კონსტატაციას ახდენს. ყველაზე მდიდარია დროთა ვარიაციებით, ფინიტური და ინფინიტური წარმოებებით. ზემოთ სწორედ თხრობითი კილოს ფორმები იყო განხილული.

ბრძანებითი კილო

ბრძანებითი კილოს ფორმა ტიპური სახით გვხვდება დინამიკურ ზმნებში. იგი განსხვავებულია დადებითი და უარყოფითი სახეობებით.

დადებითი ბრძანებითი იყენებს ზმნის ფუძეს (რომელიც ისევე მარტივია, როგორც აორისტის ფუძე). პირის აღნიშვნის მიხედვით განსხვავებულია გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები. უკანასკნელებს დადებითი ბრძანებითის ფორმაში არა აქვს II პირის მხოლობითი რიცხვის ნიშანი. შდრ. გარდაუვ. ზმნა **ჭ**-ცა! „წადი შენ (მ.)!“ **ბ**-ცა! „წადი შენ (ქ.)!“, **შ°**-ცა! „წადით!“, გარდამავალი ზმნა: **დ**-გა! „წაიღე!“ (იმის აღსანიშნელად, ქალს მიმართავენ თუ მამაკაცს), **დ-ჳ°**-გა! „წაიღეთ!“, დ-ლგ-თ! „მიეცი მას (ქ.) ის (შენ.)!“ **დ-ლ-გ-შ°**-თ! „მიეცით მას (ქ.) ის!“ (მეორე პირის მრავლ. რიცხვის ნიშანი **შ°-/ ჳ°-** შენარჩუნებულია მრავლობითის გადმოცემის ფუნქციით) და სხვ.

უარყოფითი ბრძანებითი ფუძის მიხედვით განსხვავდება დადებითი ბრძანებითისაგან. აქ ზმნის ფუძეს პრეფიქსად უჩნდება უარყოფითის მორფემა **მ-** და ბოლოს ერთვის სუფიქსად **-ნ** (კილოურად -**მ**-ც) (ლომთ. 1944, 177). ამავე დროს ამ შემთხვევაში პირის ნიშნები ყველა ზმნაში დაცულია: უგ-**მ**-ცა-**ნ**! „არ წახვიდე შენ (მ.)!“ **დ**-უ-**გმ**-გა-**ნ**! „არ წაიღო ის შენ (მ.)!“ და სხვ.

ბრძანებით კილოს აქვს ერთგვარი თხოვნით-მოწოდებითი ვარიანტი, რომელიც შეიძლება გადმოვცეთ სიტ-

ყვებით: „ა ბ ა ე რ თ ი ..!“ იგი გამოიხატება ზემოთმოყვანილი ფორმებითვე **-ს(ტ)** სუფიქსის დართვით: ჳ-ცა-**სტ**! „აბა ერთი წადი!“ ჲ-გა-**სტ**! „აბა ერთი წაიღე!“ და სხვ.

გარდა ამისა ძალზე გავრცელებულია თავისებური მოწოდებითი შინაარსის მქონე ფორმა პ ი რ ვ ე ლ ი პ ი რ ი ს მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი ს ა, თუმცა იგი ისევ II პ. დადებითი ბრძანებითის ფორმაა ნაკაუზატივარი ფუძიდან ნაწარმოები: ჲშაჰარჯ°ჭც! „მოვიფიქროთ!“ („მოდი ერთი მოვიფიქროთ!“ < „მოგვაფიქრებინე“!). (ლომთ. 1944, 175).[6]

ს ტ ა ტ ი კ უ რ ზ მ ნ ა შ ი ბრძანებითის ფორმის წარმოებისას ფუძეს ერთვის **-ზ-ლა** რთული სუფიქსი: შ°არა́ არა́ცა შ°ა́ცა-**ზლა**! „თქვენ აქ იყავით!“, არა უჰ°ა́-**ზ-ლა**! „აქ იჯექი!“ და მისთ.

უარყოფითშიაც იგივე წარმოებაა **-ნ** სუფიქსდართული, ოღონდ უარყოფის მორფემა **-მ** დაისმის **-ზლა**-ს წინ: აჳა́სა ბა́ცა-**მჷ-ზლა-ნ!** „ასე ნუ ხარ! („ასე ნუ იქნები!“) და სხვ.

ამავე დანიშნულებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონიუნქტივის ფორმაც სტატიკურ ზმნებში **-ზტ** სუფიქსდართული: ჳნაჲ სა სგ°ჷფ რფნჷ, სარა ჳსჭცჷ-**ზ-ტ**! „მოდი (მიდი) ჩემს ჯგუფში და მე თან (მეახელ) მახლდი!“ (ლომთ. 1944, 176).

კონიუნქტივი

კონიუნქტივს აწარმოებს რთული **-რ(ა/ჷ)შა(ჲ)ტ** სუფიქსი (იგი დაფუძნებულია ინფინიტურ ფუძეზე. ეს ნიშნავს: დინამიკური ზმნის უარყოფით ფორმებში **მ** დაისმის პ რ ე ფ ი ქ ს ა დ): ნწრაკ ბჭჲთ-**რშატ** „ხანგრძლივი (სიცოცხლე) მოგცეს მან [ღმერთმა]!“ სა სჭძ-**რშატ** „მე დავიკარგო!“ და მისთ.

სტატიკურ ზმნებში გაბატონებულია ამ შემთხვევაში **-ზტ** რთული სუფიქსი, რომელშიაც შედის სტატიკური ზმნებისათვის დამახასიათებელი **-ზ(ა)** (იხ. აქვე, გვ. 47): აშ° აღჭწარა აფნჭ დგჭლა-**ზტ**! „ი დ გ ე ს კარის კუთხეში!“ იგი შეკვეცილი სახეობა გამოდის სტატიკურ ზმნებშივე პარალელურად არსებული **-ზრშატ** რთული სუფიქსისა, შდრ., დჰა́ლა-**ზტ**//დჰალა-**ზრშატ** „ის ჩვენს შორის იყოს!“ (ლომთ. 1944, 173, 176).

პირობითი კილო

გვხვდება პირობითი კილოს სხვადასხვა წარმოება. გვხვდება **-ბ́ ჷჲ** („-ც“) კავშირის შემცველი **-რ(ჷ)-ბ́(ჷ-ჲ)** რთულსუფიქსიანი

ფორმები, რომლებიც ზმნის ფუძეს (ინფინიტური სახეობის შესაბამისს) ერთვის და რომლის დროული შინაარსი მომდევნო ზმნის ფორმით განისაზღვრება: (ჲ)ჳჰ°ა-**რჷგ́ჷჲ**, მჷცჷგ́ჷ ჳჰ°არჷმ ...„მას თუ იტყვი (კიდეც), ტყუილს არ იტყვი", ჰაჲშჳან, აშ°ანდჷყ°არა ჰამწმა-**რჷგ́ჷჲ** „მოგვკლავდა, ზანდუკისთვის რომ არ გვეკითხა..." (ლომთ. 1944, 167, 168...).

სტატიკურ ზმნაში იგი **-ზა / -ზლა** სუფიქსებიან ფუძეს დაერთვის: ჲრჷმა**ზა**რჷ́ჷჲ ჲრჷმა**ზლა**რჷ́ჷჲ ("თუ ექნება"...). ჩვეულებრივ პირობითი კილოს წარმოებისას გაბატონებულია რთული სუფიქსი **რჷქ°ჷნ / -რჷკ°ჷნ.** იგი მარტივ (ინფინიტურ) ფუძეს ერთვის და დროულ გაგებას ჩვეულებრივ მომდევნო ზმნით გამოხატავს:

ფხძჷ კაჳჩ°აჳა́ ჳჷნხა-**რჷქ°ჷნ**, აჩარა́ ჳჷ°ჷ აზშა́ჲპ „ოფლის ღვრით თუ იმუშავებ, საჭმელი წაგადგება", აჳა́რბა შარდა́ ჲჷკშჸა-**რჷქ°ჷნ** ადა́მა ფჩჸჷჲტ „არწივი ბევრს თუ (რომ) იტრიალებს, [ფრთას] იქნევს, ფრთას მოიტეხს". ჳშაკჷდსჷშ°თჷხჷ-**რჷქ°ჷნ**, სჷჳშჳაშჸზარჷნ „შენ მე რომ ამეხსენი, მომკლავდი"...

იგი შეიძლება **-ზა** სუფიქსიან სტატიკურ ზმნებშიც შეგვხვდეს: აჳჷჲ ა́კ°ჷმ-**ზა-რჷქ°ჷნ**, ჲხაბა́რ ჰაშარჷნ „ეს რომ არ ყოფილიყო, მის ამბავს გავიგონებდით".

ნამყო დროის გაგებით ამავე სუფიქსს ემატება **-ზ** და **-რჷქ°ჷნჷზ** სახეობით გამოდის: ჲხაირხატ შ°ჷმჰ°ა-**რჷქ°ჷნჷზ**, შ°არჷჲ ჰარჷჲ ჰალჷუნ „ხეირიო (ხეირად იქცესო), რომ არ გეთქვათ, ჩვენ ერთმანეთს წავეჩხუბებოდით" („გავათავებდით").

პირობითი კილოს მაწარმოებლად გამოდის ასევე რთული სუფიქსი **-ზთჷნ,** რომელიც ერთვის მარტივი ფუძის გარდა ისეთ დროთა ფორმებს, რომლებსაც ფინიტურ სახეობაში **-ნ** არა აქვთ, კერძოდ აწმყოს, მყოფადის, უკვეობითის ინფინიტურ ფუძეს: ჲშასა́ჰ°, ა́ჭკ°ჷნ ჰშაჲჭჸჷწჷ-**ზთჷნ** „მითხარ, ყმაწვილს თუ გამოვშორდით". ჲსჷჳჷმთჷჳა-**ზთჷნ,** ჳბაპ „მას თუ არ მომცემ, ნახავ". ჲსჷჳჷჰ°ჳშჸჷ-**ზთჷნ** აჳაშა́ ჲრდჷრხ́ატ „თუ მათქმევინებ მას, ხალხმა უკვე იცის". ჲრჩფჳშჸჷზ ჲრჩფახ́ა́**ზთჷნ** ჳა́ლამჩ°აყ°ახჷნ „რაც უნდა გაეკეთებინათ, თუ უკვე გააკეთეს, ნუღარ ერევი მათ საქმეში" („მეტს ნუღარ ლაპარაკობ").

სტატიკურ ზმნებშიც გვხვდება მარტივ ფუძეს დართული **-ზთჷნ**: ა́მალ́ ამა-**ზთჷნ** „საშველი თუ აქვს" და მისთ. ამავე დროს იგი აწმყოს ინფინიტურ ფუძეზე დართულიც ხშირად გვხვდება:

ჲუთაჴ-**უ-ზთგნ** „თუ გინდა“..., ჳჴაწა ბზჷჲ-**უ-ზთგნ** „შენ თუ კარგი კაცი ხარ“ და მისთ.

მიზან-პირობითი კილო

მიზან-პირობითს აწარმოებს რთული სუფიქსი **-რ-ნგ-ს,** რომელიც გვხვდება **-ნგ-ს** სახეობითაც და ერთვის ინფინიტურ მარტივ ფუძეს: **დმაჲტ ჲგახგ-რნგს** „მოვიდა, რათა წაიღოს (მოვიდა წასაღებად)“ .**ჩაგფსგჲშა-რნჷს დგჴ°áტ** „რათა დაისვენოს (რომ დაისვენოს), დაჯდა“. **მჷამárგ-ნგს áბნა ჲცად** „შეშის მოსატანად ტყეში წავიდნენ“ (ბოუდა, 1940, 249; ლომთ. 1944, 170-173; ლომთ. 1948). **თძგ რჷმაზლარნგს** **რთაჴჷნ** „სახლი რომ ჰქონოდათ, უნდოდათ“.

ამავე ფუნქციით გამოიყენება სხვადასხვა საშუალებებიც, კერძოდ, იმავე ამოსავალ, „პირობითის“ ფუძის მქონე ზმნის ფორმას მოსდევს „თვის“ თანდებული, მაგ., ზაკჷ ჳჴ°არá áჴაზ[ლა], ჳჴ°ჷც! „რამე რომ თქვა (თუ გინდა თქვა), მ ი ს თ ვ ი ს იფიქრე!“ ან გამოიყენება მასდარის განუსაზღვრელი ფორმა: ნჵარá ჲცატ „სამუშაოდ („მუშაობად“) წავიდნენ“.

შეიძლება იმავე მასდარის ფორმას **-ჴ°ა** ნაწილაკიც („თქმა“ ზმნის ძირი) დაერთოს მსგავსი დანიშნულების გადმოცემისას: ჯ°ჯ°á-´რა-**ჴ°ა** დმაჲტ „გასარეცხად („რეცხვად“) მოვიდა,“ ლარფშარá-**ჴ°ა** ჲაჲზზან „გასართობად შეიკრიბნენ“

ეგევე **-ჴ°ა** „თვის“ თანდებულის ფუნქციით სახელებს დართულიც არის ხოლმე: ჳათრა-ჴ°ა დმაჲტ „ბოსტნისთვის მოვიდა“, ბჷლ-**ჴ°ა** დმაჲტ „ბარისთვის მოვიდა“ და სხვ.

შეპირობებითი კილო

შეპირობებითი კილო გამოხატავს, რომ მოქმედების შესრულება დამოკიდებული იყო სხვა მოქმედებაზე (ან მდგომარეობაზე). იგი იწარმოება მყოფადი დროების ინფინიტური ფუძისაგან, რომელიც ნამყოობის **-ნ** სუფიქსის საშუალებით გადაიყვანება ნამყოში, ამიტომვე უარყოფით ფორმაში ეს **-ნ** შენაცვლებული გამოდის **-ზ-ტ** სუფიქსებით.

დცა-რჷ-**ნ** ჲთაჴჷზარგქ°გნ „წავიდოდა, რომ ნდომოდა“, დცჳშაგ-**ნ** ჲაჳჴ°არქ°ნგზ „არ წავიდოდა, რომ სცოდნოდა“

დ-გ´-მ-ცჳშაგ-**ზტ** ჲაჳაზარქ°ნგზ „არ წავიდოდა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო“.

ნატვრითი კილო

ნატვრითი კილოს მაწარმოებელია **-ნდა** სუფიქსი. იგი ხშირად **-რა** სუფიქსითაც არის გართულებული (**-ნდა-რა**) და ერთვის მარტივ ფუძეს.

ლაჳ იფა სჷჲფჰა́-**ნდა** „ნეტავ ლაუს ძის ქალიშვილი ვიყო!"

დჷზბა́-**ნდა**! „ნეტავ ვნახავდე!"

დჲჷმბა́-**ნდა**! „ნეტავ ის მას არ ნახავდეს!"

და́ცამჷ-**ნდა**! „ნეტავ არ იყოს ის!"

აღნიშნულ სუფიქსიან ფორმებს შეიძლება ნამყოობის **-ზ** სუფიქსიც დაერთოს (მაგ. სჲჷფჰა**ნდაზ**, დჲჷმბა**ნდაზ**...). ამით მნიშვნელობა არ იცვლება.

ამ კილოს ფორმას შეიძლება **-ჰ°ა** ნაწილაკიც დაემატოს გაფიქრების, [გულში] თქმის მნიშვნელობით: აქჷთ დთჷწჷ́-**ნდა-ჰ°ა**-//დთჷწჷ́-**ნდარა-ჰ°ა** ჲფშაჳან „იყურებოდნენ, ნეტავ სოფლიდან წავიდესო".

თუმცაობითი კილო

თუმცაობით კილოს გადმოსცემს **-ზ-ტ-ჰ°ა** რთული სუფიქსი, რომლის **-ჰ°ა** ელემენტი „თქმა" (ჰ°ა-რა) ზმნის ძირია:

ჳარა ჳჷჩ̌კ°ჷნჷ́-**ზ-ტ-ჰ°ა** ჳჷ°ჷბზჷ́ღაპ „შენ თუმცა პატარა (ახალგაზრდა) ხარ, (მაგრამ) გაგებული (ჭკვიანი) ხარ"

აჳჷ́ჲ ჲფჷცქ°აშჲკ°ოკ°ა-**ზ-ტ-ჰ°ა**, ჲჷ°ჷ ქ°აჲჭ°აპ „თუმც კბილები თეთრი აქვს, გული შავი აქვს"

ასევეა დინამიკურ ზმნებშიაც: დშაფშჲჷ-**ზ-ტ-ჰ°ა** ჲჷ́ჲჷმბატ „თუმც შეხედა, მაგრამ ვერ (არ) დაინახა"

აქ იგი **-ჳა** სუფიქსიან აწმყოსეულ ნაკვთსაც ერთვის: დშაფშჲჷ-**ჳა́-ზ-ტ-ჰ°ა** ჲჷ́ჷჲბჳმ „თუმც იყურება, მაგრამ არ ხედავს"

-ჰ°ა გვხვდება მარტივ ფინიტურ ფუძეზე დართულიც დინამიკურ ზმნებში: დჷჲბა́ტ-**ჰ°ა** ჲჳნათჳაჲა? „მან ის თუმც ნახა, შენ ეს რას მოგცემს?"

ალბათობითი კილო

ალბათობის შინაარსს ზმნის ფუძეს აძლევს **-ზაპ** რთული სუფიქსი, იგი ერთვის როგორც სტატიკური, ისე დინამიკური ზმნის მარტივ ფუძეს: საბა́ დცარშჷზ, არა́ცა ა́კ°-**ზაპ**-ჰ°ა ჲჷ°ჷ შანა́ჷტ „მამაჩემი სადაც მოკლეს, ალბათ აქ არის (აქ იქნებაო), გაიფიქრა",

ჰაბა აჯგშ°ლა სმაადბა**ზაპ** „მამამ, ალბათ, სარკმელში დამინახა“ (უფრო ზუსტად: „**ალბათ** დავუნახივარ“).

დინამიკურ ზმნებში სხვა დროთა ინფინიტურ ფუძეზე (აწმყოს) **-შა//-შ,** (მყოფადის) **-შაშ-**>**უშ,** (უკვეობითის) **-ხ~ა** სუფიქსებით გართულებულზედაც ხდება **-ზაპ** სუფიქსის დართვა თურმეობითის შინაარსით: შარგ´გდ ზაკგ შდგრ**-შა-ზაპ** „შენც ალბათ რამე იცი“ („გეცოდინება“); შარა შცახ´ა**ზაპ** „შენ ალბათ უკვე წასულხარ“, შარგ´გდ შცუშ**ზაპ** „ალბათ შენც წახვალ“ და სხვ.

აღნიშნული შინაარსის ნამყო დროში გადაყვანისას იმავე ფუძეებს ერთვის რთული **-ზარგნ** სუფიქსი: ამშ აიგშ**ზარგნ** „დღე ალბათ მოკლე იყო, (იქნებოდა)“, დცუ**ზარგნ** „ალბათ მიდიოდა“ დცუშ**ზარგნ** „ალბათ წავიდოდა“, დცახ´ა**ზარგნ** „ალბათ უკვე წასული იყო“.

უარყოფითი ფორმების წარმოებისას **-ზაპ** სუფიქსის გამოყენების შემთხვევაში ფინიტური ფუძის შესაბამისად ფორმდება უარყოფა:

დგგ´ა´ყამ**ზაპ** „ალბათ არ არის (სადმე)“
დგგ´გმცა**ზაპ** „ალბათ ის არ წავიდა“
დგგ´გმცუ**ზაპ** „ალბათ ის არ მიდის“
დგგ´მცუშგ**ზაპ** „ალბათ ის არ წავა“
დგგ´მცას**ზაპ** „ალბათ ის ჯერ არ წასულა“.

უარყოფითი ფორმები **-ზარგნ** სუფიქსის შემთხვევაშიც ფინიტურ უარყოფით ფუძეს იყენებს, ოღონდ **-ნ** სუფიქსის შესაბამისად **-ზ-ტ** რთული სუფიქსი წარმოდგება (ლომთ. 1944, 155; ლომთ. 1955, 222; ჭკადუა, 1970, 202; თაბულ. 1976, 167-170).

დგგ´აყა-მ-ზარგზტ „ალბათ არ იქნებოდა“, „ალბათ, იგი არ იყო“
დგგ´გ-მ-ცა-ზარგზტ „ალბათ არ იყო წასული“
დგგ´გ-მ-ცუ-ზარგზტ „ალბათ არ მიდიოდა“
დგგ´გ-მ-ცუშ-ზარგზტ „ალბათ არ წავიდოდა“
დგგ´გ-მ-ცა-ხ´ა-ზარგზტ „ალბათ ჯერ არ წასულიყო“

აფხაზურის მსგავსად მათ ზოგჯერ თურმეობითის შინაარსიც უდგება, მაგრამ თურმეობითი აბაზურში აღწერითი საშუალებებით არის გადმოცემული, კერძოდ გავრცელებულია აბსოლუტივის ფორმის მქონე ძირითად ზმნაზე მეშველ ზმნად **ბაწწრა** „გამოსვლა“ ზმნის სხვადასხვა დროის ფორმით დართვა, მაგ.: ჷფჰ°გს ლ´კ°თა

დჵაწწტ „მისი ცოლი ყოფილა“ („მისი ცოლი „არის რა, <<არსე-ბულად>>, გამოვიდა“).

ჲახჳ°ა́ სარა́ საჯალ **ჵ ა ძ ა́ თ ა ჵაწწგჷაშჷტ** „დღეს თურმე მოვკვდები“, „დღეს ჩემი სიკვდილის მ ო წ ე ვ ნ ა დ გ ა მ ო ვ ა“ (ლომთ. 1944, 156-157).

თითქოობითი კილო

„თ ი თ ქ ო ს“ შინაარსის გადმოსაცემად გამოიყენება სუფიქ-სალური **-შ°ა (-ზ-შ°ა)**, რომელიც ერთვის ინფინიტურ ფუძეს როგორც სტატიკური, ისე დინამიკური ზმნებისას: ჲლჵმა-**ზ-შ°ა** „თითქოს მას (ქ.) აქვს“. ხშირად მას **ბარა** „ხედვა“ ზმნა ეწყობა: ახშჷ შარდა ჷაფშჷგრქ°გნ, შა ალა-**ზ-შ°ა** ჲჷბგტ „რძეს ბევრი თუ უყურე (უჭვრიტე), თითქოს სისხლი ურევიაო, [ისე] დაინახავ (მოგეჩვენება)“, დგჲბ-ჷ-**შ°ა** //დგჲბ-ჷ-**ზ-შ°ა** „ის თ ი თ ქ ო ს ხედავს მას“...

ამ ფუნქციით მეტი გავრცელებით სარგებლობს **-ზ-შ°ა** სახეობა.

ნაზმნარი სახელები

დინამიკურ ზმნათა ფუძიდან **-რა** სუფიქსის დართვით იწარ-მოება მ ა ს დ ა რ ი , ე.ი. სახელზმნა განყენებული ცნების შინაარსისა. მაგ.: ჲლ-**ჩფჵჲტ** „აკეთებს ის(ქ.) მას(ნ.)“, მასდარი **ჩფა-რა́** „კეთება“, ი-**დგრიტ** „იცის“, **დგრ-რა** „ცოდნა“ და სხვ. (სტატიკური ზმნების მასდარის ფორმის შესახებ იხ. ზემოთ). უარყოფითი ფორმის წარმოებისას უარყოფის **მ** აფიქსს ის პოზიცია აქვს, რაც ინფინიტური ფუძისთვის არის ნიშანდობლივი (იხ. ზემოთ).

ინფინიტური ზმნური წარმოებები „ზმნისა“ და „სახელის“ საშუალ ოდენობებად უნდა ჩაითვალოს. ამდენადვე დროთა მიხედ-ვით განსხვავებული ზმნური ინფინიტური წარმოებები, რომლებიც შეიცავენ ა დ გ ი ლ ი ს, დ რ ო ი ს, ვ ი თ ა რ ე ბ ი ს, მ ი ზ ე ზ ი ს... საგარემოებო ელემენტებს, ფართო გაგებით, შეიძლება „მ ი მ-ღ ე ო ბ ე ბ ა დ“ მივიჩნიოთ: დ-**ცა**-ცაჷა́ „სადაც-მიდის“, დ-**გშჷ**-ცა-ჷა́ „როგორც-მიდის“, დ-**ან**-ცა-ჷა́ „როცა-მიდის“, დგ-**ზ**-ცა-ჷა́ „რისთ-ვისაც-მიდის“ და სხვ.

მათში განსაკუთრებით გამოსაყოფია პირის მიმართებითი ფორ-მები — ვიწრო მნიშვნელობით მიმღეობები, რომლებიც შეიცავენ სუ-ბიექტ-ობიექტის „მიმღეობურ“ პირებს. ყველა ზმნის ინფინიტური

ფორმით შეიძლება გამოიხატოს ადამიანი ან ნივთი, რომელიც მოქმედების (მდგომარეობის) ან სუბიექტია, ან ობიექტი (თუ იარაღი). ამგვარი ზმნური ინფინიტური წარმოებები ფორმას იცვლიან იმის მიხედვით, თუ მიმართებითად წარმოდგენილი რომელი სინტაქსური პირია ამ თვისების მქონე. თუ ის პირია, რომელიც D-ს რიგის პირ-კლასის ექსპონენტებს გულისხმობს (ე.ი. გარდაუვალი ზმნის S და გარდამავალი ზმნის უახლოესი ობიექტი), აღინიშნება **ɑ'ɡ'**- პრეფიქსით, ხოლო თუ ის პირია, რომელიც L-ს რიგის ექსპონენტებს გულისხმობს (ე.ი. ირიბი ობიექტი და გარდამავალი ზმნის S), აღინიშნება **ზ'ɡ'**- პრეფიქსით და უჭირავთ შესაბამისი რიგის პრეფიქსთა ადგილები, ოღონდ პირთა მორფოლოგიურ ექსპონენტთაგან განსხვავებით არ განარჩევენ არც პირს (პირველს, მეორეს, მესამეს), არც კლასს (სქესს) და არც რიცხვს (ლომთ. 1942). პოლიპერსონალურ ზმნურ ფორმაში ასეთი მიმართებითი პირი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს.

ნათქვამის კვალობაზე მიმღეობა იქნება ან სუბიექტური, ან ირიბ-ობიექტური, ან პირდაპირ-ობიექტური.

ასე, მაგალითად, სამპირიანი დɡ-ჟ-ɡ́ლ-თ-ტ — („შენ(მ.) მან(ქ.) ის(ად.) მოგცა") ზმნისაგან იქნება:

ɑ(ɡ)-ჟ-ɡ́ლ-თɡ(-ზ) „ის, რომელიც (ვინც, რაც, რომლებიც) მოგცა შენ(მ.) მან(ქ.)"

დ(ɡ)-**ზ**-ɡ́-ლ-თɡ(-ზ) „ის(ად.) რომელსაც (ვისაც, რასაც, რომლებსაც) მისცა მან(ქ.)"

დ(ɡ)-ჟ-ɡ́-**ზ**-თɡ(-ზ) „რომელმაც (ვინც, რამაც, რომლებმაც) შენ(მ.) მოგცა ის(ად.)" და სხვ.

საყოველთაოდ გავრცელებული მიმღეობის სისტემის გარდა ენაში არსებობს განსხვავებული ტიპების სხვადასხვა ფორმაციის მიმღეობებიც.

გვხვდება ძველი, გაუფორმებელი ზმნურფუძიანი მიმღეობები: ჭაჴ°ა-ბ ლ ɡ „დამწვარი პური", ბჟა-ფ ს ɡ „ნახევრად მკვდარი" და მისთ.

ერთი წყება ასევე საკმაოდ ძველი წარმოებების მიმღეობები გაფორმებულია **-ხ́ა** სუფიქსით: ჟ°**ხ́ა** „მოხარშული ხორცი". ეს წარმოება აბაზურში გამოცოცხლების გზაზეა. ასეთია, მაგ.: ჯ°ჯ°ა-**ხ́ა** „სარეცხი", ფჩ̣ɡჩ̣-**ხ́ა** „ნამსხვრევი", „დამსხვრეული", **სხ́ა** „ზონარი", „პატრუქი" („ნაქსოვი"), აფხ́ა**ხ́ა** „ნაკითხი", „ნასწავლი" და სხვ.

გვხვდება აგრეთვე **-ხ́ა̃** სუფიქსიანი მიმღეობები ზმნის ფუძიდან, უფრო კი მასდარისაგან, წარმოქმნილი: ღჷჩრა-**ხ** „ნაქურდალი“, „ნაპარავი“, ფშჾქარა-**ხ** „განაზებული“ და მისთ. (ლომთ. 1979).

ენაში ჩასახულია „ადამიანის“ აღმნიშვნელი ძირის **-ꚉ°ჷ**-ს გამოყენებით წარმოება „სუბიექტური“ მიმღეობისა, რაც ჩვეულებრივ მოქმედ ა დ ა მ ი ა ნ ს გულისხმობს: არჷფხ́ა-**ꚉ°** „მასწავლებელი“, ნხა-ꚉ°ჷ „მუშა“, შ°არჷცა-**ꚉ°** „მონადირე“ და მისთ. თუმც იგი იმდენად ზოგადდება მოქმედი S-ის გადმოსაცემად, რომ ნივთთა კატეგორიაშიაც არ არის უცხო, მაგ. ანდაზაში — აჩ°ა́ ანმაჭჷჵ აპ°ჷსჷ́ჷꚘ ჩა-ꚉ°-ხჷꚘტ „როცა თივა ცოტაა, ხბოც კი გაუმაძღარი (=„მ ჭ ა მ ე ლ ი“) ხდება“.

ამის საპირისპიროდ გვაქვს ო ბ ი ე ქ ტ ი ს მიმღეობა ნ ი ვ თ თ ა კატეგორიის შესაბამისი — ნაწარმოები **-ჭ°ჷ** სუფიქსით ჶა-ჭ°ჷ „საჭმელი“, ჟ°-ჭ°ჷ სასმელი“ (ლომთ. 1956) და სხვ.

მიმღეობის შინაარსით ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომპოზიტური სიტყვაწარმოება (მაგ. ჩჩაჴ°ა „სასაცილო“, „სიცილის კერძი“ და მისთ.).

აბსოლუტივი. აბსოლუტივიანი კონსტრუქციები ფართოდაა გამოყენებული აბაზურში, რამდენადაც ესაა ერთ-ერთი გავრცელებული საშუალება წინადადებაში ზმნა-შემასმენელთა დაკავშირებისა.

აბსოლუტივი ზმნის ფორმაა, რომელიც მთავარი ზმნით გამოხატული მოქმედების დამატებით მოქმედებას (მდგომარეობას) გადმოსცემს და იგუებს ვითარების ფუნქციას მსგავსად ზმნისართებისა.

აბაზურში ორი განსხვავებული ტიპის აბსოლუტივი გამოიყოფა (ლომთ. 1944, 184-187) იმის მიხედვით, თუ მას რა ზმნური კატეგორიები ახასიათებს და როგორია მისი შეწყობა მთავარ ზმნასთან დროში:

1. ძირითადი ტიპი აბსოლუტივებისა (რომელიც უძველესიც არის) ინფინიტური წარმოების ტიპად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც ყველა ზმნური კატეგორია ახასიათებს გარდა დროისა (და, რაღა თქმა უნდა, ფინიტობისა)[8]. იგი ამდენადვე როგორც ზედროული ზმნური ნაკვთი ყველა დროის ფორმას ეწყობა მთავარი ზმნისას (მიუხედავად თვით ამ ტიპის აბსოლუტივის გაფორმებისა).

2. სხვა ტიპი აბსოლუტივებისა (ნაწარმოები ოდენ **-თა//-შთა** სუფიქს-ნაწილაკით) ფინიტური ფუძის მქონეა. მაშასადამე, მას აქვს

ყველა ზმნური კატეგორია (ინფინიტური ფორმისათვის დამახასიათებელ წარმოებათა გამორიცხვით) და დროშიც ეწყობა მთავარ ზმნას. ეს ფორმა აბსოლუტივისა უფრო ზმნათა მაერთებელი კავშირის ფუნქციით გვევლინება.

პირველი ტიპის აბსოლუტივები როგორც დადებითი, ისე უარყოფითი სახეობისა, აბაზურში სხვადასხვა გაფორმებით გვხვდება.

აბსოლუტივი გადმოიცემა ზმნის მარტივი ფუძით, საგანგებო (მააბსოლუტივებელი) აფიქსის გარეშე (როგორც სტატიკურ, ისე დინამიკურ ზმნებში):

აჲწბა ლთოფ **ლჽ მა** დჽქ°ჳ°აპ „უმცროსს თავისი ბურთი ა ქ ვ ს
რ ა [ბურთის ქონით] ზის [ზედ]“

აჵაშაჵ° **დჳ°ა** დჷჩ°ჽჲტ, **დშტა** დჷნხჽჲტ „ზარმაცი ზ ი ს რ ა
[მჯდომელას] სძინავს, წ ე ვ ს რ ა
[მწოლარე] მუშაობს“

ამჵ°ა **დჽ ხ°ჷნგჷლა** დჯ°ჽქ°ჷლხტ „იგი გზას დ ა ა დ გ ა რ ა
[დადგომით] გაემართა“

ალა **ბჵ°ჷრჷლაჶფსა** ჲაჵ°ჽზაპ „ძაღლს ძვალი გ ა დ ა უ ყ ა რ ო
რ ა [გადაყრით], ისეთია“.

ასეთი მარტივი ფუძის აბსოლუტივები, უარყოფით ფორმაში ოდენ უარყოფითობის **მ** აფიქსის მქონე, არაა გავრცელებული, იშვიათად გვხვდება ანდაზების ენაში, მაგ., **ალა-მ-ბა** მშ°ჷ ჷ̆ჷშხუმ „თ ვ ა ლ უ ხ ი ლ ა ვ ა დ [დაუნახავად] დათვი არ მოიკვლება“.

დინამიკურ ზმნებში აბსოლუტივი გაფორმებულია **-ჶა** სუფიქსით (როგორც დადებით, ისე უარყოფით წარმოებებში):

დ ხ ჽ ხ ა ჶ ა დჳ°ან „ის [ძაფს] ა რ თ ა ვ ს რ ა [ძაფის დართვით] იჯდა“.

დ ჳ ° ჽ ც ჶ ა დკჽდჳ°ალხტ... დჷშჲჳ°ჽცჶაზ, ჶარბა-ჩჲჷჵ°კ ჲჟჲაკ̆ა ბჷჟ-მე̆ტრაკ ჲ ნ ა ძ ა ჶა̆, ჲარა̆ მე̆ტრაკ აჰა̆ დ ნ ა მძ ა ჶა დჵაჲჷდჷჷლტ „ფ ი ქ რ ო ბ ს რ ა [ჩაფიქრებული] კედელთან მიჯდა... ფიქრში რომ იყო, „არწივ-მხედარი“, რომლის წვერი შვიდ მეტრს ა ღ წ ე ვ ს რა [წვდება], თვითონ მეტრზე მეტსაც ვ ე რ ა ღ წ ე ვ ს რ ა, მიადგა მას“.

ასეთი წარმოება აბსოლუტივისა ხშირია, როცა საპირისპირო მოქმედების გამომხატველი ზმნებია ხოლმე ერთად გადმოსაცემი.

-ჭა სუფიქსიანი აბსოლუტივი ძალზე გავრცელებულია „დაწყება“ ა´ლაგარა ზმნასთან, რომელიც მეშველი ზმნის როლში გამოდის და ერთად ქმნიან პრედიკატს: დგფშ°გრ — ჰგჩჩაჭა და´ლაგად „გაიღიმა“, „გაღიმება დაიწყო (იღიმება რა, დაიწყო“)“, დჰ°გცჭა და´ლაგატ „ჩაფიქრდა“, „ჩაფიქრება დაიწყო“ („ფიქრობს რა, დაიწყო“).

აბსოლუტივის წარმოებისას ყველაზე აქტიური სუფიქსნაწილაკია -თა (</-შთა). იგი გვხვდება ყველა ზმნასთან და ყველა ტიპის წარმოებაში.

-თა ერთვის მარტივ ფუძეს:

აზჰ°ადა ჩმაზაჰ°რა ა´ცათა დგ´გდგრამ „ჯანმრთელმა არ იცის, ავადმყოფობა არის რა [რომ არის]“

მზარკგლა ჭფშ•მათა დგგ´ჭაურგმ „იმას ანთებული ლამპით ეძებ რა [ძებნით], ვერ იპოვი“.

-თა ერთვის ჭა სუფიქსიან ფუძეს:

ბაცა´° დგფხ´აჭათა ჩქ°გნკ დაცან „ბაცაჟვს ეძახდნენ რა („ეძახიან რა“), ერთი უმაწვილი იყო“ („იყო ერთი უმაწვილი, სახელად ბაცაჟვი“)

ძგ ჭგსმრგე° ჭათა ჭმაზდხგპ „წყლის დაულევინებ რა“) („არ დაგალევინებ რა“) მოგიყვან ისე“.

შენიშნულია, რომ გარდამავალ ზმნათა ამ ტიპის აბსოლუტივებში (ე.ი. ინფინიტურ ფუძეზე დამყარებულ აბსოლუტივებში) სუბიექტის ნიშანი გამოტოვებულია (ლომთ. 1948, 8), თუმცა მიუთითებენ, რომ ეს დამახასიათებელია იმ შემთხვევაში, როცა მომდევნო ზმნა ბრძანებითის ფორმით არის და აბსოლუტივის ფორმიანი ზმნაც თავისი ბუნებით ბრძანებითს ეყრდნობა, რითაც აიხსნება სუბიექტის ნიშნის უქონლობა (კლიჩევი, 1965), მაგ.:

მგ° ზაკგ-ზაკ ჰფრგჩ°ქა დრგლხთა ჰაუჭშთხ !

„თითო ბეწვი ჩვენს ფაფარს ამოაცალე რა (ამოცლით) გაგვიშვი!“

მართლაც, დანარჩენ შემთხვევებში ჰარბობს სუბიექტის ნიშნიანი ფორმები (მაგ. დთაჯგზთგნ ათძგ აშაპგ გწგდჯთა იწადგრგგლხუაშტ „თუ მოუნდა, სახლს ქვეშიდან საფუძველს გამოაცლის რა, ისევ შეუდგამს“ და მისთ.), მაგრამ აქა-იქ გარდამავალი ზმნის აბსოლუტივის უსუბიექტო ფორმებიც გვხვდება, განსაკუთრებით ანდაზების ენაში. მაგ.:

უგ° თგხთა დთაუწახგრგ´გდ დგგ´რაზხუშგმ „(მისთვის) შენი გული ამოიღო [შენ] რა (ამოღებით) და ისევ უკან ჩადო, მაინც არ იქნება კმაყოფილი“

აშ°ლა დჯ°გლცათა აჯგშ°ლა დგუჩ°შაშგლხუაშტ „ქარიდან გააგდებ რა (გაგდებით) სარკმლიდან შემოგივა“.

ალგხ°თა ნგხ° თა უგფშაშარგგ´გდ აუგდ ლაფშ დგგ´უაუაშგმ „საცერი რომ აიღო რა (აღებით) და ეძებო, მის მსგავსს ვერ იპოვი“ და სხვ.

აბსოლუტივის ფუნქციით ხშირად გვხვდება აბაზურში მცგრა //-მცარა//-მცა ნაწილაკდართული ზმნის ფორმები. იგი ხანგრძლივ, გამუდმებულ მდგომარეობა-მოქმედებას გახაზავს. ეს ნაწილაკი მარტივ ფუძესაც ერთვის (მაგ.: დრგმა-მცარა „მათ ის ჰყავთ რა“), ჩვეულებრივ კი **-უა** სუფიქსიან აბსოლუტივის ფორმასთან გვხვდება:

ალა შ°უა-მცა დფსგხგდტ „ძაღლი ყეფს რა (მთელი სიცოცხლის განმავლობაში), კვდება“.

აღნიშნული ნაწილაკი მეტყველების სხვა ნაწილებშიაც ხშირად გამოვლინდება, მაგ.: ასრმ კაპიკა-მცარა დალაპ „მანეთი კაპიკკაპიკობით შედგება“.

უარყოფითი აბსოლუტივის წარმოებისას იმავე ინფინიტურ მარტივ ფუძეს **მ** უარყოფის აფიქსის გარდა (იხ. ზემოთ) ერთვის სუფიქსად **-კ°ა** (რომელიც წარმოშობით კოპულის ფუძეს უკავშირდება) და სტატიკურ ზმნებში, რომლებშიაც იგი უარყოფითი აბსოლუტივის ერთადერთი მაწარმოებელია, **-მ-კ°ა-**ს სახით გვევლინება: დლგმა-**მ-კ°ა** „მის უქონელად“ („მას(ქ.) ის არა აქვს რა“), დთა-**მ-კ°ა** „ის შიგ არაა რა“...

დინამიკურ ზმნებში ინფინიტური ფუძის შესაბამისად **მ-** პრეფიქსადაა, ხოლო **-კ°ა** ერთვის ბოლოს:

აჰათ აჯა უ-**მ**-გ-რ-ტლა-**კ°ა** დთგუ **გ´**უდგრუამ „გუდაში რაც დევს, ვერ გაიგებ მისი თავის მოუხსნელად“.

აძგრგრთა უნა-**მ**-ძას-**კ°ა** უკალთა ჰაუგმგგლგნ! „ფონს მიუღწევლად კალთას ნუ აიკრეფ“!

ასე გაფორმებული აბსოლუტივები გარკვეული, უდაო დადასტურების შინაარსით გამოიყენება კითხვითი წინადადების პასუხად: აძგ ბთაჯგუმა?—ლსთაჯგ-**მკ°ა**! „წყალი გინდა?“ „მაშ არა და!“ („მინდა, მაშ!“).

კოპულას (აკ°-) ფუძეზე დართვით მ-კ°ა აწარმოებს თანდებულ-ზმნისართს აკ°გმკ°ა-ს „გარდა“, „გარეშე“ (რომელიც იცვლება კუთვნილებითი პრეფიქსების მიხედვით).

მეორე ტიპის აბსოლუტივი, ე.ი. ფინიტურ ფუძეზე დაყრდნობილი, ყველა ზმნის (სტატიკური, დინამიკური) სხვადასხვა დროების ფორმებიდან იწარმოება (თუმცა უფრო გავრცელებულია აწმყოსა და მყოფადის დროებში):

დჭაუა დგმამაჭპ-თა, დჩფაუა დგმაშარდაპ „რასაც ჭამს, ეცოტავება რა, რასაც აკეთებს ებევრება“

დლგმჰაკ დთალგიტ-თა დლგმჰაკლა დთგწხგიტ „მის ერთ ყურში შედის რა, მეორე ყურიდან გამოდის“

ამშა გ°გმხა ბზგიხაპ-თა, ამ° გ°გმხა დგგ˝ბზგიხარგმ „ცუდი ამინდი გამოკეთდება რა, ცუდი კაცი არ გამოკეთდება“

ყაფშჭთა დუბალაკ˝ გ˝უჭმ-თა, შკ°რკ°ათა დუბალაკ˝ გ˝შიშაშ „რასაც წითელს დაინახავ, ხორცი არ არის რა, რასაც თეთრს დაინახავ, ქონი (ლორი) არ არის“

დჭლა დჭწჭუ აჭ°მ°ან გ˝გდბუმ-თა ანახ˝ ანგდ დჭლა დჭწჭუ აშიგჰ°ც იბგდტ „თავის თვალში დირეს ვერ ხედავს რა, სხვის თვალში ბეწვს (წველს) ამჩნევს (ხედავს)“.

ამ ტიპის წარმოებები ფართოდაა გავრცელებული ენაში. აბაზურში აბსოლუტივის შემცველი წინადადების შემადგენლობაში შეიძლება შეგეხვდეს ისეთი შემთხვევები, როცა აბსოლუტივს თავისი, ძირითადი შემასმენლისაგან განსხვავებული სუბიექტი აქვს: დჭ°აუა აწლა მაჰ°უგთა დჭლა დმაწალგდტ „მშიშარას ხე ცეკვავს რა (ბრუნავს რა, მბრუნავი) ეჩვენება (თვალში ხვდება)“

უუა უარა დუმგრდგუათა აქჭთ დდგრდგუჭნდა „შენ თავს შენ არ ადიდებ[დე] რა, ნეტავ სოფელი ადიდებდეს (სოფელმა გაადიდოს)“

დფსგ ნამჯუმცა დგმგ°ა ნაჯატ „მისი სული არ ძღება რა, მისი მუცელი გაივსო“.

კოპულა. „ყოფნის“ („არის“) აღმნიშვნელი მეშველი ზმნის ფუნქციით აბაზურში გამოიყენება ა-კ°(ა) ფუძე, რომელიც თითქოს ერთპირიანი ზმნის შინაარსით გვევლინება, მაგრამ თვით ფუძის აგებულებისა და გაფორმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ორპირიანი უნდა იყოს. ეს ერთადერთი „ერთპირიანი“ ზმნა არის, რომელიც „სუბიექტის“ ნიშნად იყენებს L-ს რიგის პირ-კლასის ექსპონენტებს: სარა ს-ა-კ°(ა)-პ „მე ვარ“, უარა უ-ა-კ° (ა)-პ „შენ(მ.) ხარ“, ბარა ბ-ა-კ°(ა)-პ „შენ(ქ.) ხარ“, დ-არა დ-ა-კ°(ა)-პ „ის(მ.) არის“,

ლარა́ ლ-ა-კ°(ა)-პ „ის(ქ.) არის“, აჳჷჲ ა́-კ°(ა)-პ „ის(ნ.) არის“, ჰარა́ ჰ-ა́-კ°(ა)-პ „ჩვენ ვართ“, შ°არა́ შ°-ა́-კ°(ა)-პ „თქვენ ხართ“, აჳა́თ რ-ა́-კ°(ა)-პ „ისინი არიან“.

აღნიშნული ზმნა ჩვეულებრივ დამოუკიდებლად არ იხმარება იგი ხშავს ინფინიტურ, პირის მიმღეობურ, ზმნის კონსტრუქციას, მაგ.: სარა **ხა́კ°(ა)პ** ჲცაზ „მე ვარ, ვინც წავიდა“ და მისთ.

ეს ზმნური ფუძე, ისევე როგორც ნასახელარი დინამიკური ზმნები, გახდომა-გარდაქცევისათვის დაირთავს გარდაუვალ ვარიანტში **-ხა** სუფიქსურ ელემენტს, ხოლო გარდამავალ ვარიანტში **-ჰ°** სუფიქსურ ელემენტს.

„ყოფნა-არსებობის“ აღმნიშვნელ ამ **კ°(ა)** ძირთან წარმოშობით კავშირი აქვს კოპულატურ **-პ** ფინიტობის სუფიქსს სტატიკური ზმნის აწმყოსა და დინამიკური ზმნის მყოფადში (ლომთ. 1974).

პერიფრასტული ზმნური კონსტრუქციები გვხვდება „დაწყება“, „გამოსვლა“, „შეძლება“, „ნდომა“, „ქმნა“, „ხედვა“... ზმნათა მეშვეობით (გარკვეული მოდალურ-სტილისტური ნიუანსების გადმოცემისას):

დცა́რ(ა) ა ჳ ა́ შ ა „რომ წავიდეს იქნება, შეიძლება“

დცჷჳა́ დ ა́ ლ ა გ ა ტ „წასვლა დაიწყო (მიდის რა, დაიწყო)“

დცა́რა ა თ ა ჴ ჷ პ „უნდა წავიდეს“, „წასასვლელია“

ჰ°აჯა ჲ ა́ კ ° თ ა დმა́წ(ჷ)წტ „ხოჯა გამოდგა“, „ხოჯა ყოფილა“

დჷჳთა ჲ ჷ ს ჩ ფ ჷ ჲ ტ „ვადიდებ“, „დიდად ვიქმ“

აჩკ°ჷნ ჲჷლა ლაშ°ჷზთჷნჷ́ჷჲ, ან ჲაბჷაზშ°ა ჲჷლბჷჲტ „ყმაწვილი თვალდავსილიც (თვალით ბრმაც) რომ იყოს, დედას (თვალ)მრთელად ეჩვენება (...მთელსავით ხედავს)“ და სხვ.

კაუზატივი. თუმცა ნასახელარი და სხვა გარდაუვალი ზმნებისაგან გარდამავალი ზმნების წარმოების სხვადასხვა საშუალება არსებობს აბაზურში, როგორიცაა, მაგალითად, ე.წ. ძირ-სუფიქსების (ლომთ. 1952), სხვადასხვა დერივაციული ელემენტების გამოყენება, რთული ფუძეების წარმოქმნა, ლაბილური კონსტრუქციის არსებობა და სხვ. (იხ. აქვე, ზემოთ, გვ. 39—42), მაგრამ გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალი ზმნის მიღების ერთ-ერთი ძირითადი წესი არის კაუზატივის საშუალებით ფუძის წარმოება.

კაუზატივის მაწარმოებელი არის **რჷ-** (გარკვეულს პოზიციებში **ჷრ-**) პრეფიქსი, რომელიც დაისმის ძ ი რ ი ს წინ (რთულ ზმნურ ფუძეებში პრევერბული კომპონენტების შემდეგ, ე.ი. ისევ ძ ი რ ი ს წინ). კაუზატივის ფორმა აქვს მასდარსაც.

კაუზატივის ფორმაში ზმნას უჩნდება დამატებით ახალი სუბიექტის პირი: ერთპირიანი გარდაუვალი ზმნის სუბიექტი კაუზატივის შემთხვევაში ახალი სუბიექტური პირის მოქმედების ობიექტად იქცევა და ზმნა გარდამავალ-ორპირიან ზმნად წარმოგვიდგება, შდრ. ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა **დ**-ცგჲტ „ის (ად.) მიდის“ და კაუზატიური ფორმა მისი **დ-ლ-გრ**-ცგჲტ „მას (ად.) ის (ქ.) უშვებს“, „გზავნის“.

ასევე ორპირიანი (ან სამპირიანი) გარდაუვალი ზმნისაგან კაუზატივის კატეგორიაში ახლად დამატებული სუბიექტის პირის მოქმედების ობიექტად იქცევა ისევ ორპირიანი გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და ზმნა წარმოგვიდგება სამპირიან (ან, სამპირიანისაგან ნაწარმოებ, ოთხპირიან) ზმნად, შდრ. ორპირიანი გარდაუვალი ზმნა **დ-ა̂**-ფხ̆გ́ჲტ „ის (ად.)კითხულობს („სწავლობს“) მას (წიგნს)“ და კაუზატივის ფორმა **დ-ა̂-ლ-გრ**-ფხ̆გ́ჲტ „ის (ქ.) მას (ად.) აკითხებს („ასწავლის“) მას (წიგნს)“ და მისთ.

ამ შემთხვევაში გარდაუვალი ზმნის D-ს რიგის პრეფიქსებით გამოხატული სუბიექტის პირი იქცევა (უახლოეს) ობიექტად.

გარდამავალი ზმნისაგან კაუზატივის წარმოებისას ახლად დამატებული სუბიექტი მოქმედებს ამოსავალი გარდამავალი ზმნის სუბიექტზე და ეს თავის მხრივ წარმოგვიდგება ირიბი ობიექტის როლში, ორპირიანი გარდამავალი ზმნა იქცევა სამპირიან გარდამავალ ზმნად, მაგ., ორპირიანი გარდამავალი ზმნა — **ჲგ-ლ**-ფჭ́ჲტ „ის (ქ.) ჭამს მას (ნ.)“, კაუზატივის ფორმაში — **ჲგ-ლ-ლ-რჩ́**-ფგჲტ „ის (ქ.) მას (ქ.) აჭმევს მას (ნ.)“. ასევე ხდება სამპირიან გარდამავალ ზმნაში, ოღონდ სამპირიანისაგან კაუზატივის ფორმაში მიიღება ოთხპირიანი ზმნა, მაგ.: **ჲ-ლ-გ-ჳ-გ-ს-რჩ́**-თტ „შენ (მ.) მის(ქალის)-თვის მიგაცემინე ის(ნ.)“.

თუმცა ასე ნაწარმოები ოთხპირიანი (და მითუმეტეს ხუთპირიანი) ზმნების ფორმები არც თუ ისე გავრცელებულია. დასაშვებია აღწერითი ფორმები: ჲ-ლჩ́-ჳ-თნგს სთაჴგპ „მას (ქ.) შენ (მ.) ის (ნ.) რომ მისცე, მინდა“ და სხვ.

კაუზატივის ფორმაში მესამე პირის მრავლობითი რიცხვის L-ს რიგის **რ-** პრეფიქსი როგორც ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს, ისე ი რ ი ბ ი ო ბ ი ე ქ ტ ი ს გამომხატველი, დისიმილაციის ნიადაგზე წარმოგვიდგება **დ**-ს სახით, მაგ. **ჲგ-დ-დ-რჩ́**-ძახტ (მოსალოდნელი ***ჲგ-რ-რ-რჩ́**-ძახტ“-ის ნაცვლად) „მათ მათ ის(ნ.) შეაკერინეს“;

ꙉ-დ-დ-რ-ფ-ტ (მოსალოდნელი ***ꙉ-რ-რ-რ-ფ-ტ**-ის ნაცვლად) „ის(ნ.) მათ მათ აჭამეს“ და მისთ. (ლომთ. 1944 გვ. 130).

აბაზურში ფართოდაა გავრცელებული ორმაგი პრეფიქსაცია კაუზატივისა, როცა კაუზატიურად ნაწარმოები გარდამავალი ზმნისაგან კვლავ კაუზატივი — შუალობითი კონტაქტის გამომხატველი იწარმოება, მაგ. **დ-დ-ꙉ-რ-ფ-ა** „მან(მ.) მათ ის(ად.) გააგზავნინა“. ასეთი ორმაგი პრეფიქსაცია შეიძლება შეგვხვდეს პირველადს გარდამავალ ზმნაშიც, როცა შუალობითი შინაარსია გადმოცემული: **ꙉ-ლ-ე-ს-რ-ფ-ტ** „მე მას (მ.) მისთვის (ქ.) ვაჭმევინებ მას (ნ.)“ და მისთ. (ლომთ. 1944, გვ. 131).

ზმნის ვალენტობა: მიხი მატება და კლება ზმნის ფორმებში.

აბაზური ზმნა მარტივი ფუძითაა: **გარდაუვალი** — ერთპირიანი სტატიკ. **დ-ჰ°აპ** „ზის (ად.)“, დინამიკ. **დ-ცკტ** „მიდის (ად.)“ (ეს ერთი პირი სუბიექტის პირია), **გარდამავალი** — ორპირიანი **ꙉ-ლ-ჰ°ატ** „მან (ქ.) თქვა ის (ნ.)“. ამ ორ პირთაგან თავში, პირველ ადგილას მდგომი პირი უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის პირია (D-ს რიგი), მომდევნო, მეორე ადგილას ზმნის ძირის წინ მდგომი პირი სუბიექტია (L^S-ს რიგი).

დანარჩენ შემთხვევებში, ზმნის პირის ვალენტობის მატებისას ხდება სხვადასხვა მორფემების **საშუალებით** ზმნის ფუძის **წარმოება**.

ზემოთ (იხ. ზემოთ) იყო აღნიშნული, რომ ზმნის პირი მატულობს კაუზატივის კატეგორიაში, როცა ზმნას კაუზატივის მორფემის მეშვეობით ემატება ახალი გარდამავალი ზმნის **სუბიექტის** პირი.

სხვა შემთხვევაში კი როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებში ვალენტობა იზრდება **ირიბი** ობიექტის პირის გაჩენით. ირიბი ობიექტის პირის გაჩენა კი ზმნაში ხდება **სამიმართებლო** პრეფიქსულ მორფემათა მეოხებით, რომლებიც ზმნურ ფუძეს ართულებენ.

ყველაზე გავრცელებული სამიმართებლო პრეფიქს-მორფემა (რომელიც ზოგჯერ ძნელი გამოსაყოფიც გამხდარა) არის **-ად-/-ა-** / → **-ꙉ** → **0** (ლომთ. 1976, 91-93). იგი აჩენს ირიბი ობიექტის პირს როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნაში. ამდენადვე მას უჭირავს ადგილი ირიბი ობიექტის მომდევნოდ (იგი შეიძლება გათიშული იყოს უარყოფის **-შ-** პრეფიქსული მორფემით), მაგ.:

ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა

შ°აბგუთა უ-ჳგჩჩა(ხ) „შენ (მ.) გაიცინე ხმამაღლა“

იგივე ზმნა ორპირიან — გარდაუვალი:

უ-ზ-აձ-ჳ გ ჩ ჩ უ ა დ-შა-უ-აձ-ჳგჩჩახპ „შენ (მ.) ვისაც დასცინებ, ის-შენ-აქეთ დაგცინებს“

აფჯა ქშაჩ°ჳგსლგზ უ-ძგ-მ-აձ-ჳგჩჩგნ! „ვინც წინ (უწინ) ფეხი წაიკრა, შენ-მას-ნუ-დასცინებ!“

ორპირიანი გარდამავალი ზმნა:

ძგ-რ-ჰ°ატ „ის (ნ.) მათ თქვეს“

აქედან ნაწარმოები სამპირიანი ზმნა:

ძ-რ-ა-რ-ჰ°ტ „ის (ნ.)- მათ-მათ-უთხრეს“.

სამპირიან „მიცემა“ ზმნაში სამიმართებო პრეფიქსი გ-ს სახითაა: ძ-რ-გ-რ-თტ- „ის (ნ.) მათ მისცეს მათ“.

ასევე ზოგადად სამიმართებო პრეფიქსულ მორფემებად გამოდის სასხვისო ქცევის პრეფიქსები, თანაობის, მოჩვენებითობის კატეგორიათა მაწარმოებლები, გარკვეულ შემთხვევებში ლოკალური ხასიათის პრევერბები (თუ ორი სხვადასხვა სამიმართებო პრეფიქსი ეწყობა ზმნას, შესაბამისად ორი ირიბი ობიექტიც გაჩნდება) და სხვ.

„სასარგებლო“ დანიშნულების ქცევის ზ- პრეფიქსი:

ერთპირიანი დ-ცატ „ის (ად.) წავიდა“, ორპირიანი (ქცევის ფორმა) დ-ლგ-ზ-ცატ „ის (ად.) მისად(ქ.) წავიდა“, „მიუვიდა“.

ორპირიანი ძ-შა-რ-გტ „ის (ნ.) მათ მოიტანეს“, სამპირიანი (ქცევის ფორმა) ძგ-ლ-ზ-შა-რ-გტ „ის (ნ.) მ ა ს (ქ.) მ ო უ ტ ა ნ ე ს მათ“.

„საზიანო“ ქცევის ჩ°- პრეფიქსი:

ერთპირიანი დ-ცატ „ის (ად.) წავიდა“, ორპირიანი (ქცევის ფორმა) დგ-ლგ-ჩ°-ცატ „ის წაუვიდა, გაექცა მას (ქ.)“.

ორპირიანი ძგ-ლ-ფჭძტ „მას (ნ.) ის (ქ.) ჭამს“, სამპირიანი (ქცევის ფორმა) ძგ-ლ-ჩ°გ-ლ-ფჭძტ „მას (ქ.) უჭამს ის (ქ.)“.

სათანაო კატეგორიის ც- პრეფიქსი:

ერთპირიანი დ-ცატ „ის (ად.) წავიდა“, ორპირიანი დ-ლგ-ცცატ „ის (ად.) მასთან (ქ.) ერთად წავიდა“.

მოჩვენებითობის კატეგორიის ˹გ˺- მა- პრეფიქსი:

ერთპირიანი ზმნა ძ-მაჭპ „ის (ნ.) ცოტაა“, ორპირიანი — მა- პრეფიქსით ძ-ლ-გ-მა-მაჭპ „ის (ნ.) მას (ქ.) ეცოტავება“.

ლოკალურ პრევერბიანი ფუძე:

ორპირიანი უპრევერბო დ-დგ-რ-ჴ°ატ „ის (ად.) მათ დასვეს“, სამპირიანი პრევერბიანი — დ-ა-ჭ°-დგ-რ-ჴ°ატ „ის (ად.) მასზედ (ნ.) დასვეს“ და მისთ. (ლომთ. 1981, 24-70).

ამავე დროს შეინიშნება პირთა რაოდენობის შემცირება საურთიერთო კატეგორიაში (უველა მის სახეობაში). ორპირიანი ზმნა იქცევა ერთპირიანად, სამპირიანი ორპირიანად და ა.შ., მაგალითად, სათანაო კატეგორიის ორპირიანი ზმნისაგან დ-დგ-**ცგ**-ბზაზგატ „ის (ად.) მასთან (მ.) ერთად ცხოვრობს“, საურთიერთო სათანაო კატეგორიაში იქნება ერთპირიანი დ-ა-**ცგ**-ბზაზგატ „ისინი ერთად ცხოვრობენ“[9] ორპირიანი — დგ-ლ-დგრგატ „ის (ქ.) იცნობს მას (ად.)“ საურთიერთო (საორმხრივო) კატეგორიაში მოგვცემს ზმნას დ-**აბა**-დგრგატ „ისინი ერთმანეთს იცნობენ (ეცნობიან)“. რთული **აბა-** პრეფიქსით ნაწარმოები საურთიერთო-საორმხრივო კატეგორია დამახასიათებელია გარდამავალი ზმნისათვის (შეიძლება თავი იჩინოს ინვერსიულ ზმნებშიც, რაც გამოწვეულია ინვერსიულ ზმნათა გარკვეული სემანტიკური გააქტიურებით და შინაარსობლივად გარდამავალ ზმნებთან გათანაბრებით).

სამპირიანი დ-უ-ა-**ს**-ჴ°გატ „მას (ნ.) შენ (მ.) გეუბნები“ საურთიერთო (საორმხრივო) კატეგორიაში მოგვცემს ორპირიან ზმნას — დ-**აბა**-ჰ-ჴ°გატ „მას (ნ.) ჩვენ ერთმანეთს ვეუბნებით“... ამ რიგის შემთხვევებში გრამატიკულად პირთა რაოდენობა მცირდება, ზოგჯერ იცვლება ზმნის გარდამავლობაც, მაგრამ ამ პირთა დაკლების კომპენსაცია შინაარსობრივად ხდება აღნიშნულ პირთა **მრავლობითი** რიცხვის ფორმაში გაერთიანებით (შდრ. ზემოთ პირის პრეფიქსები **დ-, ჰ-**). ერთიანდება პირდაპირი ობიექტისა და ირიბი ობიექტის, ირიბი ობიექტისა და სუბიექტის, პირდაპირი ობიექტისა და სუბიექტის პირები (ლომთ. 1960).

კითხვითი ფორმები. აბაზურში რთულად არის ზმნაში ასახული კითხვითი ფორმები (ლომთ. 1942[b]; ლომთ. 1944, 177-184; ლომთ. 1954, 186-195). თუ თითო-ოროლა ცალკეული კითხვითი სიტყვა გვხვდება, ისინიც წარმოშობით ზმნურ ფორმებს წარმოადგენენ.

ზმნაში გარჩეულია დადებითი და უარყოფითი კითხვითი ფორმები.

დამოკიდებული წინადადებისა და მისი კავშირების ცალკე არარსებობის გამო, ზმნაშივეა ჩართული სხვადასხვა საგარემოებო კითხვითი ნაწილაკები.

დ ა დ ე ბ ი თ - კ ი თ ხ ვ ი თ ი ფორმები იწარმოება ზმნის სხვადას-ხვა დროის ი ნ ფ ი ნ ი ტ უ რ ფუძეზე კითხვითობის **-მა** სუფიქს-ნაწი-ლაკის დართვით:

ფჰა დსჷმჶ-**მა**? „მე (განა) ქალი(შვილი) მყავს?“

ქ°ტუ ჴკა ადგრუ-**მა**?“ „ქათამმა (განა) მარილი (მარილის გემო) იცის?“

აფშჾა ჶაზგშ°შ°გჲტჰ°ა, ჲმაჰჾასგრ-**მა**? „აქაოდა ქარს დაუსტ-ვინეო, ჩადგება?“

ჲმაშჾგლჶაშჾ-**მა**? „ისინი შიგ შემოვლენ?“

ჲჷჶბა-**მა**? „ის (ნ.) შენ (მ.) ნახე?“ და სხვ.

უარყოფით-კითხვითი ფორმების წარმოებისასაც გამოყენებუ-ლია იგივე **-მა** სუფიქს-ნაწილაკი, ოღონდ იგი აქ უკვე ერთვის ზმნის სხვადასხვა დროის უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ნ ფ ი ნ ი ტ უ რ ფუძეს და დამატებით ზმნის ფორმას უჩნდება დადასტურებითი პრეფიქსული ნაწილაკი **-გ˝ʻგ˺** (იგი დაისმის D-ს რიგის ნიშნების შემდეგ):

Ґ-**გ**SЄ-ბზҐ Ґ მ-**მა?** „ის (ნ.) კარგი არ არის?“

ჲ-**გ**´გ-ჶ-გმბა-**მა?** „შენ (მ.) ის (ნ.) არ გინახავს?“ და სხვ.

საგარემოებო-კითხვითი ფორმების წარმოებისას საფუძვლად აღებულია სამიმართებო საგარემოებო პრეფიქს-ნაწილაკების შემ-ცველი ინფინიტური ფუძეები (შესაბამისად: დადებითი ან უარყ-ოფითი) და ამ პრეფიქსულ საგარემოებო ელემენტებს (რომელთაც უჭირავთ პოზიცია D-ს რიგის პრეფიქსების მომდევნოდ) ერთვის კითხვითობის **-ბა-** ნაწილაკი (გარკვეულ შემთხვევებში ფონეტიკუ-რადაც ცვლილი ან გამარტივებული).

ადგილის საგარემოებო **აჲ-, ახ´-**... ნაწილაკებზე **ბა**-ს დართვით მიიღება **ა-ბა-** „სად?“, **ა ხ´ ფ ა-** „სად? საიდან?“...

ჶ-**ა-ბა**-ჲუ? „სადა ხარ (მ.), იმყოფები?“, ჶ-**აბა**-ჲა-ზ? „სად იყავ, იმყოფებოდი?“

ჶ-**ა-ბა**-ცუშჾ? „სად წახვალ (მ.)?“

„დროის“ საგარემოებო **-ან-** ნაწილაკს ერთვის **ბა-** და **-ან-ბა-** აღნიშნავს „როდის?“: დ-**ან-ბა**-ჶბა? „როდის ნახე შენ (მ.) ის (ად.)?“.

-შჾ — (<-ʻგ˺შჾ- ← ʻა˺შჾ-) ვ ი თ ა რ ე ბ ი ს აღმნიშვნელ ნა-წილაკს ერთვის **-ბა** და მიიღება **-შჾფა-** „რ ო გ ო რ ?“:

დგ **-შჾფა**-ჲუ? „ის (ად.) როგორ არის?“...

დგ-**შჾფა**́-ჲამგზ? „ის (ად.) როგორ არ იყო?“, დგ-**შჾფა**-მ-ცუზ? „ის (ად.) როგორ არ მიდიოდა?“ და სხვ.

ნაცვალსახელოვანი კითხვითი ფორმებიც ეყრდნობა პირის სამიმართებო პრეფიქსების მქონე ზმნის ი ნ ფ ი ნ ი ტ უ რ ფუძეს, რომელსაც სუფიქსად აბსოლუტურ ბოლოში ერთვის გრამატიკულ კლასთა მიხედვით განსხვავებული კითხვითი ნაწილაკები: **-და** ადამიანთა კატეგორიის კითხვისთვის და **-ძა** ნივთთა კატეგორიის კითხვისთვის.

პირის სამიმართებო პრეფიქსია D-ს რიგში **ძ'გ'-**, L-ს რიგში — **ზ-**. კითხვითი სუფიქსების მათთან შეწყობით წარმოიქმნება ნაცვალსახელოვანი ზმნური კითხვითი ფორმები:

ძგ-**ზ**-ფჷშ-**ძა**? „მას (ნ.) რა შეჭამს?"

ძგ-ბფჷშ-**ძა**? „შენ (ქ.) რას შეჭამ?"

ჷგ-**ზ**-ლა-მაძძა? „შენ (მ.) რითი მოხვედი?"

ზ-ცარა-ქგთ ბგნგყ°ახ́ა-**ძა**? „შენ (ქ.) რ ა მ დ ე ნ ი სოფელი მოგივლია?"

ძგ-ბ-ბა-**და**? „შენ (ქ.) ვინ ნახე?"

ძგ-ზ-ბახ́ა-**და**? „ის (ნ.) ვის უნახავს?" („ვინ ნახა უკვე?)"

ძგ-მ-ცუშ-**და**? „ვინ არ წავა?" და სხვ.

სტატიკურ ზმნათა აწმყოში ამ რიგის ფორმებში დინამიკურ ზმნათა მსგავსად ინფინიტური აწმყოსეული **-ჷ (-გჷ>-უ)** სუფიქსი დაცულია და გვაქვს: ძ-რჴცჰ-**უ-და**? „ვინ არის საცოდავი, საბრალო?"

ძ-ბჴმ-**უ-და**? „შენ (ქ.) ვინ გყავს?"

ძ-აც-**უ-და**? „ვინ არის (იმყოფება)?" და სხვ.

სამაგიეროდ აღნიშნული აწმყოსეული ინფინიტური ფუძის სუფიქსი ნივთთა კლასის კითხვითს ფორმაში აღარ არის და გვაქვს:

ძ-აცა-**ძა** (**ძგ**ცა-**ძა**)? „რა არის (იმყოფება)?"

ძ-გჷთაჴჴ-**ძა** „შენ (მ.) რა გინდა?"

ძგ-**ზ**-თაჴ-**ძა** „რას უნდა ის (ნ.)?" და მისთ.

აშხარულ დიალექტში ორსავე შემთხვევაში ბუნებრივია კითხვითი ფორმები აწმყოსეული **-'გ'ჷ** სუფიქსის გარეშე (ლომთ. 1954, 110-111; 194-195).

ჩვეულებრივია პარალელურად აღწერითი წარმოება ამავე კითხვითი ფორმებისა. ამ შემთხვევაში აღებულია იგივე შესაბამისი სამიმართებო ნაცვალსახელოვანი ზმნური ინფინიტური ფორმა დროისა (ერთნაირად ყველა ზმნაში, როგორც დინამიკურში, ისევე სტატიკურში) და ერთვის გრამატიკული კლასების მიხედვით განსხვავებული კითხვითი სიტყვა: ადამიანთა კლასში— დ ზ ა ჴ° გ-

ა(დგზდა, დაზუდა), ნივთთა კლასში ა ზ ა პ° ა, ა ა პ°-ა, ა პ° გ ა, რომლებიც წარმოადგენენ ზემოთ დახასიათებულ ზმნურ კითხვით ფორმებს, მომდინარეთ მეშველი ზმნისაგან. მათი პოზიცია ზმნის ინფინიტურ ფორმასთან დაკავშირებით თავისუფალია:

დზაპ°გა აუგ ჰაუაზჰ°გზ? „ვინაა, ეს შენ ვინც გითხრა?“

ჩანქა ზგრცაუა დზაპ°გა? „რემას ვინც მირეკავს, ვინაა?“

ამანშაა აპ°გა? „რაც მოხდა, რაა?“

აპ°გა აუთაგუ? „რაა, შენ რაც გინდა?“ და მისთ.

თავად ამ კითხვით ნაცვალსახელებშიაც კითხვითობის **-ა, -და** სუფიქსური ფორმები პრეფიქსული ნაკვეთია (გრამატიკულ კლასთა დიფერენციაციით) ცალკე არსებულ რთულ კითხვით ნაცვალსახელთაგან მომდინარე (ლომთ. 1942).

აღნიშნული კითხვითი სიტყვები საჭირო შემთხვევაში პირებსაც განასხვავებენ და მრავლობითისთვის **-ქ°ა** სუფიქსსაც დაირთავენ: უ-ზაუ°გა უარა „ვინა ხარ შენ?“... ზაუ°-ქ°ა-ა? „რანია? რანი არიან?“.

მათ ფუძეში თვით საკითხავი სახელის ფუძეც შეიძლება ჩაერთოს: დზაპ°-ჯაწა-ა? „ვინ-კაცია?“ („რა კაცია?“) და მისთ.

ზემოთ მითითებული აღწერითი სახეობები უჩვეულო არ არის არც სხვა საგარემოებო კითხვითი ფორმებისათვის.

ასეთ შემთხვევაშიაც ზმნა ამა თუ იმ სამიმართებო-საგარემოებო ინფინიტური ფორმით წარმოგვიდგება და დაერთვის მეშველი ზმნა შესაბამისი საგარემოებო კითხვითი ფორმით:

ა ა ნ ბ ა-კ°უ დ ა ნ ჰ ა ა უ ა შ? „რ ო დ ი ს ა ა, რ ო ც ა მოვა?“ და მისთ.

კითხვა „რატომ?“ გამოიხატება „თვის“ თანდებულის ფუნქციის მქონე **ზ-** პრეფიქსული ელემენტით ინფინიტურ ზმნაში და მას ჩვეულებრივ ახლავს ან იგივე კითხვითი **-ა,** ან — აპ°გა: ა პ°-გ ა ა უარა უ გ ზ ჰ ა ა ზ (უგ-ზჰაა?) „რისთვის, რატომ მოხვედი?“, „რატომაც, რისთვისაც მოხვედი, რაა?“

უზ-ზგ-მ-ფხაშა-ხუა-ა? „შენ (მ.) რად არ გრცხვენია?!“.

ამავე კითხვის შინაარსით ჩვეულებრივ გამოიყენება ა ა უ ა (თავისი აგებულებით არაკითხვითი, მიმართებითი ფორმის მქონე ზმნა, პირთა მიხედვით ცვლადი) ცალკეც ხმარებული და იმავე **ზ-** პრეფიქსიან ფორმას დართული:

ჲაჶა́, ჶჰ°არჷქ°ჷნ... „რატომ, თუ იტყვი?“

ჲყ°ჶა́ შ°არა შ°ჷზწჷრჶა? „რაა (რატომ) თქვენ რისთვისაც ყვირით?“ და სხვ.

კითხვით ფორმებს ადვილად ეგუება ნეტავ ნიუანსის გამომხატველი **-ჲშ(ტ)**:

არჷჲ აქჷთ ჲთუდიშ(ტ) (<*ჲ-თუ-და-ჲ-შ-ტ) „ამ სოფელში ნეტავ ვინ ცხოვრობს?“

დადასტურებითი კითხვისთვის მეტყველების სხვადასხვა ნაწილს შეიძლება დაერთოს **-ჲ**: სარჷ**ჲ** „მე (ხომ)!?“ ან და მთელი გამოთქმა „ყოფნა“ ზმნის უარყოფით-კითხვითი ფორმით: აჶჷჲ გ́აკ°ჷმმა? „ასე (ეს) არაა?“.

სიტყვაწარმოება

ზმნისართები. ვითარების და ადგილის ზმნისართები სამი რიგის დაყოფას გვიჩვენებენ (1. მოსაუბრესთან ახლოს, ხილული, 2. მოსაუბრიდან მოშორებული, ხილული და 3. მესამე პირთან მყოფი, შესაძლოა უხილავიც. თარგმნისას ყოველთვის ვერ ხერხდება ასეთი დაყოფის დაცვა). მათ საერთო ფუძე აქვთ სათანადო ჩვენებით ნაცვალსახელებთან (იხ. გვ. 34-35): არა, ანა, აჶა (რომლებიც, მნიშვნელობის შეუცვლელად შეიძლება გართულებული იყოს **-ბა-** მორფემით: **აბარა, აბანა, აბაჶა**).

ამ საერთო ფუძეებიდან ვითარების ზმნისართების საწარმოებლად გამოიყენება ვითარების **-სა** სუფიქსი: არა́**სა** (ა́რ**სა**, არა́**ს**..) „ასე, ამგვარად“, ანა́**სა**... „აი, ეგრე“, აჶა́**სა**... „ისე“ („ეგრე“, „ასე“).

ამ საერთო ფუძეებს ადგილის ზმნისართთა წარმოებისას ერთვის თანდებულოვანი ელემენტები: ადგილისა -**ყა**, ადგილ-მიმართულებისა **-(ა)ხ́**[ა]: არა́-**ყა** „აქ, აქვე“, ანა́**-სა** „მანდ“, „აგე იქ“, აჶა́-**ყა** „იქ“, „იქვე“, არა́-**ხ́** „აქეთ“, „აქ“, ანა́-**ხ́** „მანდეთკენ“, „აგე იქით“, აჶა́-**ხ́** „იქით“...

იგივე -**(ა)ხ́** გვხვდება მთელი რიგი ზმნისართების წარმოებისას, როგორიცაა: აჴა**ხ́** „ზემოთკენ“, „ზემოთ“, აშთა**ხ́** „უკან“ (// „კვალისკენ“), აფა**ხ́** „წინ“, აწა**ხ́** „ქვეშ“... ფუძეს შეზრდილ მიმართულებისავე **-ჭა** ელემენტს შეიცავს ზმნისართები: ჰ°ჷგწა-**ჭა** „პირქვე“, აფ-**ჭა** „წინ“ (მას მიმართულების გამომხატველი სხვა სუფიქსებიც შეიძლება დაერთოს, მაგ., **ჲ-აფ-ჭა-ხ́-კ́ა-ლა** „მის (მ.) წინ“.

ფართოდ გამოიყენება ინსტრუმენტალისის **-ლა** სუფიქსი ადგილის ზმნისართების (და საერთოდაც სხვა ზმნისართების) წარმოებისას: აჩგ.. დაქ°პ°ან ანგ-**ლა**-გ´ი, არგ-**ლა**-გ´ი ქრგპ°გმარტ „ცხენზე შეჯდა და იქითაც-აქეთაც (იქით-აქეთ) ათამაშა“.

იგივე **-ლა** სხვა სუფიქსებით გაფორმებულ ფუძეებსაც ხშირად ერთვის.

დროის აღმნიშვნელ ზმნისართებში თითო-ოროლა ფუძე არავითარ საერთო მაწარმოებელს არ გამოგვაყოფინებს, მაგრამ ისეთებში, როგორიცაა **შე°გ** „ახლა“, **შაპ°გ** „ხვალ“, **შაპ°აშთა** „ზეგ“, „ხვალის მერე“, **შაპ°აშთათან(ა)** „ზეგის შემდეგ“, **შაპა** „ამაღამ“, **ჟაპა** „წუხელ“, **ჟაცგ** „გუშინ“... ხერხდება გაქვავებული საპირისპირო, „სიახლოვე-სიშორის“ პრეფიქსული ელემენტების გამოყოფა. აბაზურში ამ დაპირისპირების ნიადაგზე აიხსნება „დღეს“ დროის ზმნისართში წყვილი **შა-ხ´-პ°ა/ჟა-ხ´-პ°ა** საბეობათა არსებობა (ლომთ. 1954).

აღნიშნულ ზმნისართებში, მსგავსად **სგნპ°ა´** „წელს“ ზმნისართისა, გამოყენებულია **-პ°ა** „კუთვნილების“ აღმნიშვნელი ძირეული ელემენტიც სუფიქსად.

დროის (რაიმე პერიოდის, საქმიანობის სეზონის..) აღმნიშვნელ ზმნისართებში ჩვეულებრივია **-ნ(გ)** სუფიქსი: პ°ლაფ-**ნგ** „საღამოს“, შაარფ-**ნგ** „გამთენიისას“, ნხა-**ნ** „მუშაობის დროს“, არბაჯთგ-**ნ** „მამლის ყივილის დროს“. იგი შედის თვით წელიწადის დროთა ფუძეებში: ძგ**ნ** „შემოდგომა“ (ა-ძგ-**ნ** „შემოდგომით“), ღ-**ნგ** „ზამთარი“ (ა-ღ**ნგ** „ზამთარში“) და სხვ.

-ნ(<-**ნა**) სუფიქსური ელემენტი გამოვლინდება ზმნისართებში: უაწგპ°ა-**ნ** „შემდეგ“, „მერე“, “უადგრმ°ა-**ნა** „შემდეგ“, „შემდგომად“.

-ნგ(<-ნა) „ჯერობის“ სუფიქსით ნაწარმოებია ზ-**ნგ** „ერთხელ“, რომლის გაორკეცებული **ზნგ-ზან** სახეობა აღნიშნავს „ხან-დახან“, ხოლო განცალკევებით განმეორება **ზნგ ... ზნგ** გადმოსცემს დაპირისპირებას „ხან...ხან:“ (**ზნგ** დჩ°აჟ°ატ, **ზნგ** დაჭაასხგატ „**ხან** ლაპარაკობს, **ხან** დუმს (დგება, ჩერდება)“.

აბსოლუტივები სათანადო დროული შინაარსისა გამოიყენება დროის ზმნისართთა ფუნქციით: დგუკ აჯგმწგუა(თა) „მალე“ („დი-დი[დრო] არ-გადიოდა-რა, არ-იყო-გასული-რა“) და მისთ.

იმავე დროის გამომხატველ სიტყვებს, ზმნისართებს ხშირად ერთვის სხვადასხვა მოდალობის გადმომცემი ნაწილაკები. ასეთია, მაგალითად, რთული **-რკ°ა-ხ,** რომელიც შეიცავს, ერთი მხრივ,

განგრძობითობას (**-რკ°ა**) და, მეორე მხრივ, განმეორებადობას (**-ხ**). იგი იმდენად შეხორცებია ჲ-ა-თა- „კვლავობის“ ელემენტს, რომ დღეს ენაში „კვლავ“ ზმნისართისათვის ძირითადად **ჲათარკ°ახ** სიტყვა არსებობს.

-რკ°ახ გვხვდება სხვა ცალკე არსებულ ფუძეებთანაც:

უაჯა-რკ°ახ „ამაღამ კვლავ“, ჲაცგ-რკ°ახ „ხვალ ისევ, კვლავ“ (თაბულ. 1976, 251).

ასევე ამა თუ იმ ზმნისართით გამოხატული მთელი დროის მონაკვეთის გასახაზავად ზმნისართებს ერთვის რთული **-რა-კ** სუფიქსი: ჲაც-**რაკ** „გუშინ მთელი დღე“, ჲაჯა-**რაკ** „მთელი ღამე, მთელი ღამის განმავლობაში“. იგი გართულებული **-ი(ზ)შთარაკ** სახითაც გვხვდება: უახ̌ჯ°-**ი(ზ)შთარაკ** „მთელი დღევანდელი დღე“.

დაახლოებით ამავე დანიშნულებით გვევლინება პრეფიქსული ნაწილაკი **ჲგნი-**: **ჲგნი**-ფხგნ-კ „მთელი ზაფხული“, **ჲგნი-შ**აფგნ-კ „მთელი გაზაფხული“ და სხვ.

ზმნისართებს ერთვის:

-ინას „მოყოლებული, დაწყებული“: უაჯ°-**ინახ** „გუშინდლიდან“, უჷუ°-**ინახ** „ამიერიდან“...

ანსი- „ყოველ“: **ანსი-**უაჯ „ყოველ ღამე“, **ანსი-**სქ°შა „ყოველ წელს“.

ამავე მნიშვნელობას გადმოგვცემს (ზჱნის ინფინიტურ ფორმაშიაც გავრცელებული) **-(ი)ფხ̌აძა**, ან გართულებული **-(ჲ)შაძაფხ̌აძა**: უაჯგ-**ფხ̌აძა**, უაჯ-**იფხ̌აძა**, უაჯ-**შაძაფხ̌აძა**... „ყოველ ღამე“ და მისთ.

-ბგრგ გამაძლიერებელი ნაწილაკი მარტივი სახითაც და ინტენსივობის **-ძა-კ** ნაწილაკითაც გართულებული (**-ბგრძაკ**<-**ბგრგძაკ**) გვხვდება: უჷ°გ-**ბგრგ** / უჷ°გ-**ბგრძაკ** „ახლავე“...

გამაძლიერებელი შინაარსითვე ზმნისართებად გამოყენებულ ფუძეებს წინ მიერთვის ჩვენებითი შინაარსის მქონე ნაცვალსახელები, მაგ., **ჲარა**-საჰათ „მაშინვე“ („იმ საათში“)...

ზმნისართის საწარმოებლად სათანადო შინაარსის მასდარის ფორმას შეიძლება დაერთოს **-კ** („ერთის“ აღმნიშვნელი) სუფიქსური ელემენტი: ლაჯ°მაჯასრა-კ-(ლა) „სწრაფად“, „ერთ წამში“ (=ქართ. „თვალის დახამხამებაში“. ლაჯ°მაჯასრა „წამი“, „წამწამის დახამხამება“).

„ყოველთვის“, „უველგან“, „როგორღაც, როგორმე“... ზმნისართების დანიშნულებით გამოყენებულია „ყოფნა“ ზმნის საგარემოებო (ადგილის, დროის, ვითარების...) ინფინიტური ფორმები მყოფადი

დროისა (-გ̄ ̈გ ,,ც“ ნაწილაკდართული): ჲ-ან-აკ°გზ-ლაკ-გ̄ი ,,ყოველთვის“ („როცა [გინდ] იყოს“), ჲ-ჸ-აკ°ზ-ლაკ-გ̄ი ,,ყველგან“ („სადაც-[გინდ] იყოს„)..

უარყოფითი ზმნისართების „არსად“, „არასდროს“ და მისთანათა გამოსახატავად ენა იყენებს -გ̄ი („ც“) ნაწილაკდართულ განუსაზღვრელ ზმნისართებს (როგორიცაა: ზაკგთა „როგორმე“, ზჯარა „სადმე“...) და უწყობს მათ ზმნის უარყოფით ფორმას: **ზჯარაგ̄ი** დგ̄ გ მ ც ა ტ „არსად (არ) წასულა“ („სადმეც არ-წავიდა“), **ზაკგთაგ̄ი** ჲგგ̄მაჳგმ „არაფრით არაა ცოტა“ („რითიმეც ცოტა-არაა“), სარა აჟ̌გჲ **ზგნგ̄ი** დგგ̄სგმბატ „მე ის არასოდეს (არ) მინახავს“ („როდესმეც მე-ის-არ-მინახავს“) და სხვ.

უარყოფითი ზმნისართების შინაარსი **გადმოიცემა -დაჸა (-დჸა, -და)** სუფიქსით: ხ̄გმა დ ა ჸ ა „უმტკივნეულოდ“, ხ°გ დ ა-ჸ ა „უფასოდ“... ან კიდევ უარყოფითი აბსოლუტივების გამოყენებით: ჟ̌არა ჟ̌ ა ლ ა მ კ ° ა „უშენოდ“, ჳჾას ა მ ა მ კ ° ა „შეუჩერებლივ, შეუფერხებლად“ („გაჩერება უ ქ ო ნ ე ლ ა დ“), ალჵგაჟ° დ ა ჳჾამ ს-ჟ̌ ა მგჳაჳ°ა ჲჩფჟ̌ნ „ბერიკაცი განუწყვეტლივ (შ ე უ ჩ ე რ ე ბ ლ ი ვ) კოვზებს აკეთებდა“ და მისთ.

ზმნისართების საწარმოებლად ენა მიმართავს ფუძეთა გაორკეცებას: ზაკჵ „ერთი“ ზაკ(ჵ)-ზაკ „სათითაოდ“, მაჳ „ცოტა“, „მცირე“ მაჳ-მაჳ, (ან:-მცა სუფიქსით) მაჳ-მაჳგმცა „წყნარად“ („წყნარ-წყნარად“), „მცირე-მცირედ“, მაძა „საიდუმლო“, მაძა-მაძა „საიდუმლოდ“ და სხვ.

ფუძეთა განმეორებისას ხდება დაპირისპირებაც ფორმებისა: აჟ̌ასა-ანასა „ასე და ისე“, ანჵლა-არჵლა „აქეთ-იქით“...

ამ შემთხვევაში ვითარების -თა სუფიქსით გაფორმებული „შენ“ და „მე“ ნაცვალსახელთა დაპირისპირება იძლევა თავისებურ ახალ გაგებას: „თავისუფლად“, „ძალდაუტანებლად“: არჵჲ აგ°ჵფ ჟ̌ ა რ ა - ს ა რ ა თ ა ჲალაჳ „ამ ჯგუფში ყველა თავისუფლად გრძნობს თავს, თავისუფლად არის“ (შდრ. ქართ. „შენ-ჩემობით“ არის).

პირის დაპირისპირების გზითაა ნაწარმოები ზმნისართი ჟ̌ჳა-სჳა „[ყველა] ცალ-ცალკე“, „სხვადასხვა მხარეს“.

გაორკეცებისას პირველი კომპონენტი წარმოდგენილია უარყოფითი პირობითი კილოს ფორმით, მეორე კი მარტო ფუძით: ზნგმზარ-ზნგ „როდისმე“ („ერთხელ-რომ-არ-იქნება-ერთხელ“): ზნგმზარ-ზნგ დმაჲაჳ „როდისმე ის მოვა“. განმეორებისას მეორე კომპონენტს შეიძლება გაუჩნდეს **მ(გ)-** ელემენტი ზჯარა-მგზჯარა „სადმე“.

„უფრო“, „მეტად“ ზმნისართებში შეზრდილია III პ. მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი პრეფიქსი: **რჷწა**, **რაჰა** (გვხვდება განმეორებული **რჷწა-რჷწა** „უფრო და უფრო“).

ზმნისართებში (აბსოლუტივის მსგავსად) ხშირად გამოიყენება ვითარების **-თა** სუფიქსი: ხ°ით „თავისუფალი“ — ხ°ით-**თა** „თავისუფლად“, ჰაშა „მაღალი“ — ჰაშა-**თა** „მაღლა“, შ°აბჷჟ „ძლიერი“ შ°აბჷჟ**თა** „ძლიერად“ („ხმამაღლა“), ცქ°ა „წმინდა“, „სუფთა“ — ცქ°აა**თა** „სუფთად“, „წმინდად“, რაჷშა „პირდაპირი“ — რაჷშა**თა** „პირდაპირ“ და სხვ.

ასევე ხშირია ზმნისართების წარმოება ინსტრუმენტალისის **-ლა** სუფიქსით: მჩჷ „ძალა“ — მჩჷ-**ლა** „ძალით“, ჩანჷ „დღე“ — ჩაჷნ-**ლა** „დღისით“...

ზმნისართების წარმოებისას ხშირად გვხვდება ინტენსივობის **-ძა** ნაწილაკი: ბაღ°ა „მაგარი“ — ბაღ°ა-**ძა** „მაგრად“, შჷმთა „დილა, დილით“ — შჷმთა-**ძა** „დილაადრიან“... ზოჯერ იგი რაიმე შემცირებული თვისების გამომხატველიც გამოდის ზმნისართებში: გ°აჟ „მრგვალი“ — გ°აჟ-ძა „მომრგვალოდ“ (თაბულ. 1976, 266).

საერთოდ ზმნისართთა დანიშნულებით ფართოდ გამოიყენება აბსოლუტივები და აბსოლუტური წარმოებები ზმნისა.

აბაზურში ზმნა ძალზე მდიდარია სიტყვაწარმოებით, რაც იძლევა შესაძლებლობას ზმნის ფორმაში აისახოს მრავალგვარი კატეგორია: მოქმედების ორიენტაციისა და მოქმედება-მდგომარეობის სივრცეში ლოკალიზაციისა, პირთა სხვადასხვა სახის ვითარებისა და ურთიერთობებისა (იხ.: კაუზატივის, სათანაო, საურთიერთო, ქცევის კატეგორიები), შესაძლებლობა-შეუძლებლობა, უნებურობა, მოქმედება-მდგომარეობის განმეორებადობა, ინტენსივობა და სხვ.

რაკი მეტყველების სხვა ნაწილთა და ნაწილობრივ ზმნის ძირითადი სიტყვაწარმოებითი კატეგორიები მითითებულია სათანადო პარაგრაფებში, ქვემოთ შევჩერდებით ზოგ ზმნის კატეგორიაზე.

ორიენტაციის ძირითადად ორი მიმართულება გამოიხატება აბაზურ ზმნაში — საქართ **მა-** წინდებულით და საქითურ **ნა-** წინდებულით: დ-**მა**-რ-ბატ „მათ ის (ად.) **მო**-დაინახეს“ და ამის საპირისპირო დ-**ნა**-რ-ბატ „მათ ის (ად.) **მი**-დაინახეს“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დაპირისპირება არ არის სისტემებრ გატარებული, **ნა-** თითო-ოროლა ზმნაში გვხვდება და იშვიათად. ამის გამოა, რომ ორიენტაციის დაპირისპირებისას „იქითური“ ორი-

ენტაციის გადმოცემისას ხშირად **ნა-**ს გარეშე, ნულოვანი ფორმით არის მოპირისპირე მიმართულება გადმოცემული, მაგ.:

სარა ურარა პალ'ა-უგსთხუა, უარგ-ი სარა პალ'ა **ჭა**-სგუთხუა (ჰალაგარგქ°გნ)... „მე შენ ვადა „გაძლიო-რა“, შენც მე ვადა „მო-მაძლიო-რა“ (რომ დავიწყოთ)“... და მისთ. (ლომთ. 1944, 134-135). **ჭა-** მიმართულების პრევერბი ფართოდ გამოიყენება აბაზურ ზმნაში (Allen, 1956, 164-169).

რაც შეეხება ლოკალურ პრევერბებს, ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანნი არიან აბაზურში. აღნიშნულ ლოკალურ ელემენტთა ფუნქციით განზოგადება-აბსტრაქციის სხვადასხვა ხარისხით გამოდის სხეულის ნაწილები („თავი“, „ცხვირი“, „პირი“, „ხელი“, „გვერდი“, „გული“...), სახელები: „გზა“, „მთა“, „კერა“, „სახლი“, „ნაპირი“ და მისთ.

ისინი ამავე დროს სტატიკური ზმნების „ლოკალურ“ ფუძეებად გამოიყენებიან (შაბგ ზ-წა-მ... „რასაც ფეხი არა-აქვს (ქვეშ“), დინამიკურ ზმნებში ისინი ჩვეულებრივ ე.წ. ძირ-სუფიქსებს ირთავენ (გარდაუვალ ფუძეში — **-ლა, -წ**, გარდამავალ ფუძეში **-წა, -ხ**). მათთან შეუღლებისას ისინი მიმართულებასაც (აბიტიურსა და ადიტიურს) გადმოსცემენ (გარკვეულ შემთხვევებში — ვოკალიზებულ წინდებულებში ხმოვნის რედუქციის გზითაც). ისინი ასევე ერთვიან წინდებულებად როგორც ცალკე არსებულ, ისე დამოუკიდებლად არ-არსებულ ზმნურ ძირებს. ამ შემთხვევაში მათ შესაძლოა ერთვოდეს მიმართულების გამოსახატავად საგანგებო სუფიქსები: **-ჭა, -ლ'ა, -თ** (ლომთ. 1944, 135-142; ლომთ. 1952; კლიჩევი, 1972; ლომთ. 1981).

